პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68
) დამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დ ღ ი უ რ ი

- ამხ. მიქოიანის განცხადება ლატვია - საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ
- ყირიმში ადგილი ჰქონდა მიწისძვრის ახალ ბიძგებს.
- ტოკიოში (იაპონია) დამთავრდა მანქანების [illegible] ქარხნის მუშების გაფიცვა.
- საბჭოთა კავშირის ელჩი ამხ. დავთიანი სპარსეთში.
- ნორვეგიის მუშათა დელეგაცია საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შესახებ.
- საბჭოთა კავშირში ჩამოდის შვეიცარიის მუშათა დელეგაცია.

ხუთშაბათი, 29 სექტემბერი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 220 (1965)

შრომის ხელფასი მომავალ წელში

შრომის ხელფასის ზრდის საკითხი პირდაპირ დამოკიდებული არის სახალხო მეურნეობის მდგომარეობაზე. მომავალ 1927—28 სამეურნეო წელში ხელფასის პერსპექტივები უნდა შეფარდებული იქნეს მეურნეობის განვითარების პერსპექტივებთან.

მომავალ წლის დამახასიათებელ ნიშნებათ უნდა ჩაითვალოს მთელი რიგი მომენტები. მომავალ წელში მეურნეობის განვითარება გასულ წლებთან შედარებით იქნება რამოდენიმეთ უფრო ნელი. ეს აიხსნება მით, რომ მეურნეობის აღდგენითი პროცესი სრულიად დამთავრებულია. მეურნეობის შემდეგი განვითარება დამყარებული იქნება ახალ წარმოებების მოწყობაზე და ძველების ტეხნიკურად გარდაქმნაზე. ახალი მშენებლობა და ძველ წარმოებათა რეკონსტრუქცია მოითხოვს მეტ თანხებს.

მომავალი წლის მეორე დამახასიათებელი მომენტი არის შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობა. ომის საშიშროება მოითხოვს თავდაცვისათვის მომზადებას. ამისათვის საჭიროა მომარაგება ფულის, ვალიუტის, სათბობი მასალის და სამრეწველო საგნების.

შექმნილ საერთაშორისო მდგომარეობასთან ერთად ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საკითხი უფრო აქტუალურად სდგას. ყოველგვარი ზომები უნდა იქნეს მიღებული ინდუსტრიალიზაციის ტემპის დაჩქარებისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საბჭოთა კავშირის მაქსიმალური ეკონომიური დამოუკიდებლობა სხვა ქვეყნებისაგან.

მომავალ წლის სასოფლო-სამეურნეო მოსავლის პერსპექტივებსაც უნდა გაეწიოს ანგარიში. გასულ რამდენიმე წლის მოსავლიანობა შეიძლება შეიცვალოს მომავალი წლის ნაკლები მოსავლიანობით. ამისდა მიხედვით საჭიროა სათანადო თადარიგი.

ზევით ჩამოთვლილი მიზეზები ქმნიან მომავალ წელში სახალხო მეურნეობის განვითარების თავისებურ პირობებს და განსაზღვრულ ფარგლებში სვამენ ამ განვითარებას. ეს მიზეზები გავლენას ახდენენ შრომის ხელფასის ზრდის საკითხის გადაჭრაზედაც.

ხელფასის ზრდა როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საქართველოშიაც, ამ უკანასკნელ წლებში ფრიად საგრძნობი იყო. 1924 წლის ბოლოდან 1927 წლამდე საქართველოში მუშის საშუალო თვიური ხელფასი ჩერვონულ მანეთებში გაიზარდა 48 მანეთიდან 63 მანეთამდე; ესე იგი, ორი წლის განმავლობაში ხელფასმა მოუმატნია 32 პროცენტამდე. ამ ხნის განმავლობაში გაიზარდა რეალური ხელფასიც—23 პროცენტამდე. ასეთივე ტემპი ჰქონდა ხელფასის ზრდას მთელ საბჭოთა კავშირში.

უკანასკნელ წელში, თუმცა დასახული იყო ჩამორჩენილ ჯგუფების ხელფასის წინ წაწევა, მაგრამ ამასთან ერთად ჩვენ გვაქვს ხელფასის საერთო ზრდაც. მიმდინარე 26—27 სამეურნეო წლის პირველ ნახევარში მუშის საშუალო ხელფასი საქართველოს ყველა სამრეწველო დარგში შეადგენდა 64 ჩერვ. მანეთს. გასულ 25—26 წლის პირველ ნახევარში ის უდრიდა 57 მანეთს. აქედან სჩანს, რომ მიმდინარე წელში ნომინალური ხელფასი გაზრდილა 12 პროცენტამდე. ფასების დაკლების საშუალებით რეალური ხელფასის ზრდაც ამაზე ნაკლები აღარ არის. ცალკე სამრეწველო დარგებშიც ხელფასის ზრდა უფრო მეტი იყო; მაგალითად, ქვანახშირის წარმოებაში 19,6 პროც.; თამბაქოს—14 პროც.; ტყავის—12 პროც.; და სხვ.

მიმდინარე წელში საქართველოს მთელ რიგ წარმოებებში ადგილი აქვს შრომის ნაყოფიერების ზრდასაც (თამბაქოს, ტყავის, ფეხსაცმელების და სხვ.) ამ წარმოებებში ნაყოფიერების ზრდაზე დიდი გავლენა იქონია წარმოების ორგანიზაციულ-ტეხნიკურ გაუმჯობესებამ. ამასთან ერთად ზოგიერთ წარმოებებში ადგილი აქვს შრომის ნაყოფიერების ზრდის შეჩერებას და დაცემასაც (ქვანახშირი, პოლიგრაფიული მრეწველობა, ხის დამუშავება, საპნის მრეწველობა და ლითონის წარმოება) რაც უმთავრესად გამოწვეულია წარმოებითი მიზეზებით. ნაყოფიერების დაცემასთან ერთად ხსენებულ წარმოებებში ხელფასის ზრდას აქვს ადგილი.

მეურნეობის აღდგენის პერიოდში მიმდინარე წლამდე ადგილი ჰქონდა ხელფასის უფრო მეტ ზრდას, ვიდრე შრომის ნაყოფიერების. ეს აიხსნებოდა მით, რომ ხელფასი მცირე იყო და პირველ ხანებში მისი უფრო ჩქარი ზრდა ნორმალურ მოვლენად უნდა ჩავთვალოთ. მომავლისათვის ზრდის ეს დამოკიდებულება უნდა შეიცვალოს და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი უფრო ჩქარი უნდა იყოს, ვიდრე შრომის ხელფასის. მხოლოდ ამ გზით შეიძლება შეიქნას ხელფასის ზრდის რეალური პირობები. დაგროვების სხვა საშუალება ხელფასის ზრდის უზრუნველყოფისათვის და წარმოების განვითარებისათვის პროლეტარულ სახელმწიფოს არ აქვს. ხელფასის ზრდა სამრეწველო საგნებზე ფასების აწევით გამოიწვევს მუშათა კლასის გლეხობასთან განხეთქილებას და სამრეწველო პროდუქციის გასაღების შეფერხებას.

შრომის ნაყოფიერების ხელფასთან შედარებით უფრო ჩქარი ტემპით ზრდა იწარმოებს უმთავრესად ორგანიზაციულ-ტეხნიკური ზომებით და საწარმოო პროცესების გაუმჯობესებით. რაც შეეხება შრომის ინტენსივობას, ცხადია, მისი გაზრდისათვის უნდა იქნეს მიღებული ზომები, მაგრამ უმთავრეს როლს შრომის ნაყოფიერების აწევაში ითამაშებენ ორგანიზაციულ-ტეხნიკური მომენტები.

საკონტროლო ციფრებით და საწარმოო-ფინანსიური გეგმებით მომავალ 27—28 წლისათვის დასახულია მრეწველობაში ნომინალურ ხელფასის (ჩერვონულ მანეთებში) ზრდა 6,5 პროცენტამდე. ამავე დროს რეალური ხელფასი მომავალ წელში უნდა გაიზარდოს 11—12 პროცენტამდე. რეალურ ხელფასის ზრდას ხელს შეუწყობს, სამრეწველო საგნების თვითღირებულების 6 პროც. შემცირება.

6,5 % ხელფასის დასახული ზრდა გატარებული იქნება შემდეგი წესით. ამაზე გადადებულ თანხის ნაწილი მოხმარებული იქნება მუშების ჩამორჩენილ ჯგუფების სატარიფო განაკვეთის (ძირითადი ხელფასის) მექანიკურ მომატებისათვის, ნაწილი კი მოხმარდება ხელფასის ზრდას მუშების მიერ ნარდი მუშაობის წესით გადამუშავების გაზრდის საშუალებით მთელი წლის განმავლობაში.

ხელფასის მომატების გატარების დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ წარმოებებში ჩაბმულ მუშების ხელფასს, რომელნიც თავის მნიშვნელობით სხვა დარგებთან შედარებით უფრო საყურადღებო არიან. და აგრეთვე უნდა გადიდებულ იქნეს ხელფასი იმ წარმოებებში, სადაც ხელფასის აბსოლიუტური რაოდენობა ჯერ კიდევ მცირე არის. უნდა იქნეს აგრეთვე მიღებული ზომები შიგნით თვითეულ წარმოებებში ჩამორჩენილ ჯგუფების ხელფასის წინ წაწევისათვის.

დასახულ ფარგლებში ხელფასის მომატების გატარება უნდა მოხდეს გეგმიან საფუძვლებზე და არა სტიქიურად. უთუოთ უნდა იქნეს შეთანხმებული სხვადასხვა წარმოებებში ხელფასის მომატების საკითხები. ხელფასის მომატების გეგმით გატარებისათვის განზრახულია შეიქნას სპეციალური კომისია პროფესიონალური კავშირების მონაწილეობით. ეს კომისია დაამუშავებს ხელფასის საკითხს როგორც რესპუბლიკანურ, ისე ადგილობრივ წარმოებებისათვის .

პროფეს. კავშირების საბჭოს მიღებული აქვს დადგენილება ძველი კოლექტიურ ხელშეკრულებების პირველ იანვრამდე უცვლელად გაგრძელების შესახებ. ეს ფრიად მიზანშეწონილია, ვინაიდან ვადის გაგრძელება საშუალებას მისცემს როგორც კავშირებს, ისე სამეურნეო ორგანოებს უკეთ მოემზადონ ამ საკითხისათვის, შეისწავლონ სხვადასხვა წარმოებებში ხელფასის მდგომარეობა და ამით უზრუნველყონ პირველ რიგში ნამდვილად ჩამორჩენილ ჯგუფების ხელფასის გაზრდა.

დირექტივა არ არის შესრულებული

თუ მიმდინარე სამეურნეო წლის პირველ ნახევარში რამდენად არის შესრულებული დირექტივა თვითღირებულების დაკლების შესახებ, ამის გამორკვევის საშუალება მხოლოდ სექტემბერში მიეცა შრომისა და თავდაცვის საბჭოს. ეს, სხვათა შორის, გვიჩვენებს, თუ რამდენად მოუმზადებელია ჩვენი სააღრიცხვო აპარატი, რომელიც აგვიანებს მასალებს ჩვენი მეურნეობის განვითარების პროცესების შესახებ.

ეხლა უკვე გამოქვეყნებულია შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილება თვითღირებულების „დაკლების“ მსვლელობის შესახებ 1926—27 წლის პირველ ნახევარში. დადგენილების მშრალ პუნქტებში ჩვენი მეურნეობის ხელმძღვანელ უზენაეს ორგანოს გამოაქვს მკაცრი საბრალმდებლო განაჩენი დაუდევრობისათვის სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების დაკლების მნიშვნელოვან საქმეში.

დირექტივა ითვალისწინებდა თვითღირებულების დაკლებას 5 პროცენტით 1926—27 წლისათვის. ეს დირექტივა ჩამოყალიბებული იყო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამრეწველო-ფინანსიურ მთლიან გეგმაში.

მრეწველობის მთელ რიგ დარგებმა (ნავთის, ელექტრო ტეხნიკურმა და სხ.) რომლებიც შეუდგენ დირექტივის შესრულებას და ამ მიზნით გამოიყენეს სახ.კ. სამეურნეო სისტემით მინიჭებული ფართო შესაძლებლობანი, მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწიეს თვითღირებულების დაკლების საქმეში. მაგრამ ეს მიღწევები შთანთქა უაქტივობამ სხვა დარგებში, ცალკე სამრეწველო რაიონებში (ურალი), რომლებმაც წინააღმდეგ დირექტივისა გაადიდეს საწარმოო ხარჯები, რის გამოც სამეურნეო წლის პირველი ნახევრის შედეგები იძლევიან თვითღირებულების არა დაკლებას, არამედ გადიდებას პროცენტის ერთი-ორი მეათედის რაოდენობით საშუალოდ მთელს მრეწველობაზე. ასეთი გადიდების შედეგად, მიუხედავად წლის მეორე ნახევარში დაწყებულ გარდატეხისა, „უზრუნველყოფილი არაა მთავრობის დირექტივის სრული განხორციელება“, როგორც ამას აღნიშნავს შრომისა და თავდაცვის საბჭო.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თვითღირებულების დაკლება მთელი წლის განმავლობაში მოგვცემს მხოლოდ 2 პროც.

რასაკვირველია, აქ ადგილი ჰქონდა თვით მრეწველობისაგან დამოუკიდებელ ობიექტიურ მიზეზებს. ეს უდავოა. მაგრამ იმ მრავალ მიზეზებს შორის, რომლებითაც აიხსნება თვითღირებულების გადიდება, მისი დაკლების მაგიერ, პირველ რიგში დგას ჩვენი (ე. ი. სამეურნეო, პროფესიონალურ და პარტიულ მუშაკების) უმოქმედობა, ჩვენი მოდუნება, ჩვენი უსისტემობა და ჩვენი დაუდევრობა.

განა ეს ფაქტი არ არის, რომ თვითღირებულების საერთო დაკლების მიუღწევლობა წლის პირველ ნახევარში აიხსნება წარმოებების მოწყობა-მმართველობაში არსებულ ნაკლულოვანებათა აღმოუფხვრელობით?

განა ეს ფაქტი არ არის, რომ საჭირო შედეგების მიუღებლობა წლის პირველ ნახევარში აიხსნება ჩვენი უთავბოლო, უსისტემო მუშაობით?

განა ეს ფაქტი არ არის, რომ კაპიტალურ ხარჯებიდან ჩვენ ვერ მოვახერხეთ სათანადო ეფექტის მიღება? კერძოთ, ფაქტია, თუ არა ის, რომ მიუხედავათ კაპიტალური მშენებლობისა, საწვავი მასალის ხმარების ნორმის დარგში ჩვენ მაინც ვერ დავშორებივართ ომის წინადროინდელ დონეს? ნამდვილად კი ჩვენ შეგვეძლო ამ ნორმის მნიშვნელოვნად შემცირება ომის წინადროინდელ ნორმებთან შედარებით. კიდევ უფრო უარესადაა საქმე პროდუქციის ერთეულზე ნედლეულისა და მუშა ძალის ხარჯვის კოეფიციენტის დარგში, ასევე უვარგის, ნარჩენ და გამოუყენებელ საქონლის პროცენტის მხრივ და სხვ.

ფაქტი ისაა, რომ ცალკე წარმოებათა ხელმძღვანელები არ იჩენენ სათანადო აქტივობას და ფხიანობას თვითღირებულების დაკლების საქმეში.

ფაქტი ისაა, რომ დაწყებულ კამპანიაში სათანადოთ არ ჩაებნენ ზოგი ტრესტებიც კი, რომ აღარ ვილაპარაკოთ ფაბრიკებსა და ქარხნებზე.

ფაქტი ისაა, რომ მრავალ ადგილას ადმინისტრატიულ პერსონალს და პროფორგანოებს არ შეუთვისებიათ თვითღირებულების დაკლების კამპანიის უდიდესი მნიშვნელობა.

უდავოა, აგრეთვე, ისიც, რომ მუშათა მასა, რომელსაც ეხლა უკვე მშვენივრად ესმის ამ კამპანიის მნიშვნელობა ინდუსტრიალიზაციისა და ფასების დაკლებისათვის, დღემდე საკმაოდ არ არის ჩაბმული კონკრეტულ და პრაქტიკულ ბრძოლაში თვითღირებულების დაკლების დირექტივის შესრულებისათვის.

არ არის სათანადოთ შესრულებული თვით ისეთი დირექტივა, როგორიც არის ტრესტების და ქარხნების ზედნადებ და სამმართველო ხარჯების შემცირება.

ყველაფერი ეს ფაქტია. ამ ფაქტებიდან უნდა გამოვდიოდეთ, როცა მოქმედების ხაზი გვინდა გამოვიმუშაოთ 1927—28 წლისათვის.

როგორი ამოცანები იყო დასმული თვითღირებულების დაკლების კამპანიის წინაშე, როცა წამოყენებულ იქნა დირექტივა 5 პროცენტის შესახებ?

ძირითად ამოცანებს წარმოადგენდენ შემდეგი: მტკიცე ბაზის შექმნა ფასების (როგორც საცალო, ისე საგასაცემო) დაკლების პოლიტიკისათვის, რომელსაც ატარებს ჩვენი პარტია, საგასაცემო ფასების შემამცირებელ დონის მაქსიმალურად გაძლიერება, მრეწველობის საშუალებების დაგროვება მისი შემდგომი განვითარებისა და გარდაქმნისათვის, შემცირება პროდუქციის თვითღირებულების განსხვავებისა საბჭოთა კავშირში და ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში და სხვ.

ამჟამად თვითღირებულების დაკლების პრობლემას კიდევ უფრო აძლიერებს ომის საფრთხე. ამ მოკლე ხნის წინად, ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის გაშუქებისას, ომის საფრთხესთან დაკავშირებით, ჩვენ ვსწერდით:

„თვითღირებულების დაკლების თვითეული პროცენტი აჩქარებს მრეწველობის განვითარებას, აძლიერებს ქვეყნის თავდაცვის უნარს; თვითღირებულების გადიდების თვითეული პროცენტი არის დანაშაული მუშათა კლასის სახელმწიფოს წინაშე, არის თავდაცვის საქმის ღალატი“ (იხ. 1 სექტემბრის „პრავდა“).

ჩვენ ამ აზრისა ვართ ეხლაც და ვაღვიარებთ, რომ ამ სიტყვებში გამოხატული პრინციპები თვალწინ უნდა ედგას ყველას, ვისაც ესა თუ ის დამოკიდებულება აქვს თვითღირებულების დაკლების საქმესთან.

ტყვილად კი არ აღიარა შრომისა და თავდაცვის საბჭომ, რომ „მრეწველობის მმართველობის ორგანიზაციის ყველა საკითხები და წარმოებების მიმდინარე მუშაობა უნდა დაუქვემდებაროთ სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების დაკლების ამოცანას“.

1927—28 წლისათვის დირექტივად არის წამოყენებული სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების დაკლება „არა ნაკლებ 6 პროცენტისა 1926—27 წლის საშუალო წლიურ დონესთან შედარებით“. ეს იმას ნიშნავს, რომ მიზნად არის დასახული თვითღირებულების ანგარიშში გადავინარჩუნოთ არა ნაკლებ 450—500 მილიონ მანეთისა ფასების დაკლებისა და ინდუსტრიალიზაციის ფონდებისათვის.

განსაკუთრებით სერიოზული ამოცანები გვიდგას წინ საამშენებლო სამუშაოების გაიაფების და საამშენებლო მასალების დამზადების დარგში. აქ დირექტივად წამოყენებულია საამშენებლო ინდექსის დაკლება 15 პროცენტით.

ეს დირექტივები შესრულებული უნდა იქნენ გარდატეხა, რომელიც მოხდა თვითღირებულების დარგში უნდა განვამტკიცოდ და გულგრილობას გამოუცხადოთ სასტიკი ბრძოლა.

იმ ტრესტების და წარმოებების მიმართ, რომლებიც უყურადღებოდ სტოვებენ არა ერთხელ მიცემულ გაფრთხილებებს, უნდა მიღებული იქნეს ზეგავლენის ზომები. „არ უნდა დავერიდოთ თვით ფინანსების მიწოდების შეწყვეტას ან იმ წარმოებათა დახურვასაც, რომელთაც მომატებული აქვთ პროდუქციის თვითღირებულება“. ამასთანავე სათანადო ზომები უნდა იქნეს მიღებული ტრესტების და წარმოებების დაუდევარ ხელმძღვანელების მიმართ, აგრეთვე უნდა ტარდებოდეს წარმოების, მმართველობის და სხ. რაციონალიზაციაში მუშების და სპეციალისტების მატერიალური დაინტერესების პრინციპი.

თვითღირებულების დაკლების კონკრეტიული გზები ეხლა უკვე ნათელია. საჭიროა მხოლოდ მუშაობა. საჭიროა ნებისყოფის უაღრესად დაძაბვა, რაც თავისი სისტემატიური გაძლიერებით მოსპობს ყველა დაბრკოლებებს, რომლებიც გვიდგას მრეწველობის გაიაფების გზაზე.

„პრავდა“, 28 სექტემბერი.

დაიხურა ერთა ლიგის საბჭოს სესია
გამწვავდა ურთიერთობა გერმანიასა და საფრანგეთს შორის
პოლონეთში მოელიან სეიმის და პალატის გარეკას
საფრანგეთში დაარსდა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კომიტეტი

ჟენევის სალაყბოს დახურვა

ნანსენი სომეხ ლტოლვილთა დასახლების შესახებ

ბერლინი, 27 სექტემბერი. ერთა ლიგის პლენუმის 26 სექტემბრის სხდომაზე ნანსენმა პლენუმს მიმართა თხოვნით, რათა გადაწყვეტილ იქნას შემდეგი საკითხები: უნდა დამთავრდეს მუშაობა სომეხ ლტოლვილთა დასახლებისათვის, ვინაიდან თუ გაღებულ არ იქნება საჭირო თანხები, იგი იძულებული იქნება შესწყვიტოს ეს მუშაობა.

პლენუმმა ცნობად მიიღო ნანსენის შეკითხვა. (ადს).

ბრიანის მოულოდნელი გამგზავრების გამო

ბერლინი, 27 სექტემბერი. ბრიანის სასწრაფოდ გამგზავრება პარიზში სავსებით მოულოდნელი იყო გერმანიის პოლიტიკური წრეებისათვის ჟენევაში, მით უფრო, რომ ერთა ლიგის საბჭოს უახლოესმა სხდომამ უნდა შეიმუშაოს მომავალი სესიის და განიარაღების კონფერენციის მომწვევი კომისიის პროგრამა და აგრეთვე უნდა დანიშნოს უშიშროების გარანტიის კომისიის მოწვევის ვადა. (ადს).

სესია დაიხურა

ბერლინი, 27 სექტემბერი. ერთა ლიგის სესია 27 სექტემბერს დაიხურა. 28 სექტემბერს შესდგება ერთა ლიგის საბჭოს უკანასკნელი სხდომა. (ადს.

ბევრს ლაპარაკობენ

პარიზი, 27 სექტემბერი. ბარტუს და პუანკარეს უკანასკნელმა გამოსვლამ ჰინდენბურგის იმ სიტყვის საპასუხოდ, რომელიც მან წარმოსთქვა ტანენბერგთან მომხდარი ბრძოლის წლის თავზე, და აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ ერთა ლიგის პლენუმმა დაამტკიცა მესამე კომისიის დადგენილებანი, საფრანგეთის საზოგადოების ყურადღების მთავარ საგნად გახადა საფრანგეთ - გერმანიის ურთიერთობა.

მილიერანის ორგანო „ავენირი“ სწერს, რომ **ბრიანის სისუსტის გამო გერმანია მდგომარეობის ბატონ-პატრონად სთვლის თავს. ბრიანი უნდა გადადგეს. მისი კვლავ დარჩენა გარეშე საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს.**

„ფიგარო“ სწერს, რომ ომის პასუხისმგებლობის საკითხის აღძვრა წარმოადგენს მახვილის ჩაცემას ვერსალის ხელშეკრულებისათვის.

„კოტიდიენი“ სწერს: „**ჩვენ სიამოვნებით წავალთ დათმობაზე პაციფისტური გერმანიის მიმართ, მაგრამ არა იმ გერმანიის მიმართ, რომელსაც მეთაურობს ვილჰელმი**“.

„პოპიულერი“ სწერს: „**პუანკარე და ჰინდენბურგი ძალიან ბევრს ლაპარაკობენ**“. გაზეთის სიტყვით, „უნდა ავიცილოთ წარსულის სისხლიანი მოგონებანი; მუდამ ომის აჩრდილის გამოწვევა შეიძლება უბედურებად გადაიქცეს. დროა ეს შეიგნონ იმ პარტიებმა, რომელნიც მოწოდებულნი არიან ილაპარაკონ ხალხის სახელით. (ადს).

საფრანგეთ-საბჭ. კავშირის ურთიერთობა

ოსმალეთის პრესის აზრი

ანგორა, 27 სექტემბერი. „ჯუმხურიეტი“, განიხილავს რა საფრანგეთ-საბჭოთა ურთიერთობას, სწერს, რომ საფრანგეთის რეაქციონური პრესის ანტისაბჭოთა კამპანია წარმოადგენს ახალ ცდას, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირის იზოლიაციისაკენ.

ეს იზოლიაცია,—ამბობს გაზეთი,—**უდიდეს ზიანს მიაყენებს მთელ კაცობრიობას. ეკონომიური სიცალიერე, რომელიც წარმოიშვა საბჭოთა კავშირის იაზოლიაციის გამო, დაარღვევს მსოფლიო წონასწორობას. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჭეშმარიტებას შეიგნებენ არა მარტო საფრანგეთში, არამედ ინგლისშიაც.**“ (ადს).

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კომიტეტი

პარიზი, 27 სექტემბერი. პარიზში შესდგა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კომიტეტი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დაარსების მეათე წლის თავის აღსანიშნავად უახლოეს თვეებში აწყობს მიტინგებისა, კინემატოგრაფის სეანსებისა და სათეატრო საღამოების სერიას, რომლებიც მიძღვნილი იქნება რუსეთის შემოქმედებისადმი. **კომიტეტში შევიდენ მთელი რიგი ცნობილი არტისტები, მხატვრები და მეცნიერები.**

კომიტეტის მანიფესტში, სხვათა შორის, ნათქვამია:

„საბჭოთა რუსეთის არსებობა არის მოვლენა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი კაცობრიობისათვის. ახალი რუსეთი დიდ საქმეს წარმოადგენს მისი მისწრაფება მშვიდობიანობისადმი. ყველა პროგრესიულ პირების, როგორც ინტელიგენტების, ისე მუშების მოვალეობას შეადგენს აღმოუჩინონ საბჭოების რესპუბლიკას აქტიური დახმარება მისი განვითარებისა და განმტკიცების მიზნით“. (ადს).

ბულგარეთ სამხრეთ-სლავიის კონფლიქტი

ვენა, 27 სექტემბერი. სამხრეთ-სლავიის ელჩმა სოფიაში **ნეშიჩმა** ინახულა ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრი. შეხვედრის მიზანია ბულგარეთ-სამხრეთ-სლავიის კონფლიქტის მოწესრიგება. ეს კონფლიქტი აღიძრა მაკედონიის ავტონომიურ ჯგუფების ტერორისტულ გამოსვლების გამო სამხრეთ სლავიის ტერიტორიაზე. ბულგარეთის მთავრობამ განაცხადა, რომ ყოველივე ზომებს მიიღებს რათა ასეთ გამოსვლებს ადგილი არ ექნეს მომავალში. სოფიიდან მიღებული ცნობებით, ბულგარეთის მთავრობა ფიქრობს, რომ ამ დაპირებით კონფლიქტი ამოწურულია. (ადს).

უცხოეთის მუშათა დელეგაციები

ნორვეგიის მუშათა დელეგაცია

ოსლო, 27 სექტემბერი. საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებულ ნორვეგიის მუშათა დელეგაციის თავმჯდომარემ დიდრიხსენმა პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა: „**დელეგაციის ყველა წევრები მეტად კმაყოფილი არიან მოგზაურობით. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა დელეგატებზე იმ აღფრთოვანებამ, რომელსაც იჩენენ საბჭოთა კავშირის მუშები სოციალისტურ მშენებლობის საქმეში.** აგრეთვე ახლად დაწყებულმა კაპიტალურმა ნაგებობებმა და ღონისძიებებმა, რომელიც გატარებულია მუშათა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად. დღესასწაულზე, რომელიც მოეწყო ოსლოში დელეგაციის წევრთა საპატივსაცემოდ, დიდრიხსენი მოუწოდებდა მუშებს დელეგაციის მიერ საბჭოთა კავშირში მიღებულ გამოცდილების გამოყენებისაკენ ნორვეგიის კაპიტალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. დელეგაციის მონაწილენი მოხსენებებს გააკეთებენ პროფკავშირთა და სხვა ორგანიზაციების კრებებზე. (ადს).

შვეიცარიის მუშათა დელეგაცია

ბერლინი, 27 სექტემბერი. ბაზელში შესდგა საინიციატივო კომიტეტის სხდომა, რომელმაც უნდა მოაწყოს **შვეიცარიის მუშათა დელეგაციის გამგზავრება საბჭოთა კავშირში ოქტომბრის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებათ.** მოხსენების თანახმად, შეგროვილი თანხა ნებას იძლევა საბჭოთა კავშირში გაგზავნილი იქნეს 15 დელეგატი. 11 კაცი უკვე დამტკიცებულია კომიტეტის მიერ. ამათგან 2 უპარტიოა, 5 კომუნისტი და 4 სოციალ-დემოკრატი. (ადს).

ინგლისის მუშათა დელეგაცია

ლონდონი, 27 სექტემბერი. „სენდეი უორკერის“ ცნობით, **ლიდსში შედგენილია კომიტეტი, რომელსაც დავალებული აქვს დელეგაციის გაგზავნა საბჭოთა კავშირში ოქტომბრის ზეიმში მონაწილეობის მისაღებად.** კომიტეტის თავმჯდომარეა ლიდსის პროფკავშირთა საბჭოს მდივანი **ჯონ ბროდესტონი.** 8 ოქტომბერს კომიტეტი იწვევს ლიდსის ოლქის პროფესიონალურ ორგანიზაციათა წარმომადგენლების კონფერენციას საბჭოთა კავშირში გასაგზავნ დელეგაციის წევრთა ასარჩევად ((ადს).

რეფორმისტები სდევნიან რევოლიუც. ორგანიზაციებს

ბერლინი, 27 სექტემბერი. შვეიცარიის პროფკავშირთა გაერთიანების ყრილობამ 150 ხმის უმრავლესობით 17-ის წინააღმდეგ დაადგინა გამორიცხოს გაერთიანებიდან ბაზელის პროფკავშირთა საბჭო იმისათვის, რომ ის არ ასრულებდა გაერთიანების ცენტრალური კომიტეტის დირექტივებს ხელფასის კანონის შესახებ და **მხარი დაუჭირა აქ საკითხის გარშემო კომუნისტური პარტიის მიერ ბაზელში მოწყობილ რეფერენდუმს.**

ყრილობამ მიიღო დადგენილება გაერთიანების წესდების იმ მუხლების გაუქმების შესახებ, რომლებიც ეხება კლასთა ბრძოლის პრინციპს და წარმოების სოციალიზაციის ცნობას (ადს).

ფინეთის მენშევიკები თავს იმართლებენ

ჰელსინგფორსი, 27 სექტემბერი. ვიბორგის სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „კანსან ტიუიე“ მოწინავეში კომენტარიებს უკეთებს „საბჭოთა პრესის უარყოფით დამოკიდებულებას და შიშს ფინეთის არჩევის გამო ერთა ლიგის საბჭოში“.

„ამ შიშს ჩვენ გაზვიადებულად ვსთვლით,—სწერს გაზეთი,—ინგლისის პრესა გვაგრძნობინებდა, რომ ფინეთს უნდა უხაროდეს პატივისცემა და ნდობა, რომლითაც მას მოეკიდენ. ლიგის საბჭოში არჩევა სასარგებლოა ფინეთის ინტერესებისათვის. უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთივე თვალსაზრისისა იყო აგრეთვე ფინეთის მთავრობაც, კერძოდ, საგარეო საქმეთა სამინისტრო, როდესაც მათ საჭიროდ დაინახეს ასეთი საგარეო-პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმა და როდესაც არ იყვენ გაცნობილი სეიმის საგარეო საქმეთა კომისიის აზრთან და აგრეთვე სეიმის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის აზრთანაც“. გაზეთის სიტყვით „ფინეთს უნდა უკუეგდო პატივისცემა და არჩევა ლიგის საბჭოს წევრად, ვინაიდან ასეთი არჩევა ზარალის მეტს არაფერს მოუტანდა ჩვენს ქვეყანას“.

შემდეგ გაზეთი პირობას იძლევა, რომ ერთ-ერთ შემდეგ მოწინავე წერილს ის მიუძღვნის საკითხს იმ შედეგების შესახებ, რომელსაც გამოიწვევს ფინეთის არჩევა ლიგის საბჭოს წევრად ფინეთ-საბჭოთა ურთიერთობისათვის“. (ადს).

ლატვია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულება

ამხ. მიქოიანის განცხადება

მოსკოვი, 28 სექტემბერი. ლატვიის პრესის წარმომადგენელთან საუბარში საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარმა ამხ. მიქოიანმა დაახასიათა ლატვია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულება და განაცხადა, რომ **ხელშეკრულებამ უნდა უზრუნველყოს ნორმალური და სადი ეკონომიური ურთიერთობა მხარეთა სწორუფლებიანობის და ორივე ქვეყნის ინტერესთა განუყოფელობის ნიადაგზე.**

„ჩემთვის არაერთხელ მოუმართავთ—სთქვა ამხ. მიქოიანმა—ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ; ალბად, ფიქრობდენ, რომ ჩვენ მხოლოდ ხელი მოვაწერეთ ხელშეკრულებას, ხოლო მის რატიფიკაციას და შესრულებას არ ვფიქრობთ. მე უნდა ვსთქვა, რომ ამაში იმალება უნდობლობა, რომელსაც სთესავენ ჩვენს წინააღმდეგ და რომელსაც აბათილებს ჩვენი მრეწველობის მდგომარეობა. ჩვეულებრივ ჩვენ ვაწარმოებთ მოლაპარაკებას და ხანგრძლივად ვდავობთ თვითეული საკითხის გამო. **მაგრამ თუ ჩვენ თავის თავზე ვიკისრებთ ვალდებულებას, კიდევაც მტკიცედ შევასრულებთ მას. არავითარი ეჭვი აქ არ უნდა იქნეს, რასაკვირველია, თუ რაიმე ჩვენგან დამოუკიდებელი დაბრკოლება არ წარმოიშვა თვით ლატვიაში, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ორივე სახელმწიფოს თანამშრომლობის განმტკიცება ეკონომიკის დარგში ორივე ხალხის ინტერესთა სავსებით აღიარების ნიადაგზე**“. (ადს).

გოლდუინის „ნათესავები“

(წერილი ინგლისიდან)

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც კესტლ-დუგლასში, რომელიც არც ისე შორს იმყოფება ედინბურგიდან, სადაც ტრედიუნიონების ყრილობა იყო, ბოლდუინმა ლოზუნგი წამოისროლა, „მრეწველობაში მშვიდობიანობის ჩამოგდების“ სასარგებლოთ. მან სიტყვა-სიტყვით შემდეგი სთქვა: „ტრედიუნიონების კონგრესის ბელადებს შეუძლიათ დიდი გავლენა მოახდინონ ჩვენი ქვეყნის წარმატებაზე ან დაქვეითებაზეო“.

ეს ლოზუნგი გაგონებულ იქმნა ვისგან ჯერ ხრს. ედინბურგის კონგრესზე მაკდონალდი გამოცხადდა რათა ეთქვა ბოლდუინისთვის: „აქ ვარ და ვეცდები შენი ლოზუნგის გატარებასო“. ასევე მოიქცენ ტომასი, კლაინსი, ვენინი და ყველა რეფორმისტები. მაგრამ კონგრესის უმრავლესობა კიდევ უფრო შორს წავიდა. მან ურთიერთობა შესწყვიტა საბჭოთა კავშირის პროფკავშირებთან, გააფრთხებული, ცოფიანი შეტევა დაიწყო მემარცხენეებისა და უმცირესობის მოძრაობის წინააღმდეგ, უარი სთქვა გაეწბილებია ან, მით უმეტეს, გაეძევებია ტრედიუნიონებიდან ვილსონი და მისი „მეზღვაურთა კავშირი“, უარი სთქვა წინააღმდეგობა გაეწია ვერაგული კანონისთვის ტრედიუნიონთა შესახებ და სხ.

ტომასმა და ბევინმა (ეს შეუღლება ფრიად მაჩვენებელია) კონგრესს რეზოლიუცია მიაღებინეს ბოლდუინის მოწოდების საპასუხოდ. „მშვიდობიანობა მრეწველობაში არავის არ სწყურია დედამიწის ზურგზე ისე, როგორც ტრედიუნიონისტულ მოძრაობასო“. — ამბობს ეს რეზოლიუცია.

გენერალური საბჭოს ზეგავლენით (რომელიც მოკლებულია ყოველივე ინიციატივას და რომელმაც მთელი ტრედიუნიონისტული მოძრაობა მუშათა პარტიის პოლიტიკანებს ჩაუგდო ხელში), კონგრესმა უზარმაზარი ნაბიჯი გადასდგა უკან. ყოველივე ინტერნაციონალისტული გაჰქრა და ადგილი დაუთმო მეტად სახიფათო ვიწრო ნაციონალიზმს. ამას აღიარებს „მანჩესტერ გარდიენის“ კორესპონდენტიც, რომელიც პერსელის გამოსვლების გამო ამბობს, რომ „მისი სიტყვა შეიძლება ვაღიაროთ ტრედიუნიონების ინტერნაციონალისტური ავანტიურების უკანასკნელ წმინდა ნაშთათ“.

კონგრესზე წარმოებული კამათის დროს მხოლოდ ავტონომიაზე იყო ლაპარაკი და სხვა არაფერზე. არა მარტო ნაციონალურ ავტონომიაზე, არამედ კავშირების ავტონომიაზეც. ეს იყო სექციური სულის გადამლაშება. ჩემი კავშირის ინტერესები მაღლა დგანან მოძრაობის ინტერესებზეო, განუწყვეტლივ იმეორებდენ ტომასები და მათი დამქაშები. პროფკავშირის ერთმა დელეგატმა და მას შემდეგ სმიტმა (დიახ, ჰერბერტ სმიტმა... როგორ შეიძლება ადამიანი შეიცვალოს ერთი წლის განმავლობაში!) უსაყვედურეს ერთი კავშირის წევრს რათ ილაპარაკე საერთო საკავშირო თემაზეო.

განა ამის შემდეგ გასაკვირალია, რომ ასეთი ჭკუის მასწავლებლებისაგან დარიგებულმა დელეგატებმა სიტყვის შეუბრუნებლად მიიღეს რეფორმის-ბელადების „უდიდესი საბუთი“ საბჭოთა კავშირისა და უმცირესობის მოძრაობის წინააღმდეგ: „არავითარი ჩარევა ჩვენს საქმეებში უცხოეთიდანო“. თუ მათ დაუჯერებთ, ინგლისის მუშათა მოძრაობას შეუძლია დამოუკიდებლად იცხოვროს ინტერნაციონალური პროლეტარიატის მსოფლიოში.

ამრიგად ერთხელ კიდევ დამტკიცდა მემარჯვენე ბელადების უნიჭობა მოძრაობის ხელმძღვანელობაში, რაიც არა ერთხელ გამოაშკარავებულა უკანასკნელი წლის განმავლობაში. ჰაველოკ - ვილსონის საქმემ დაგვანახვა, რომ აქ კიდევ მეტთან გვაქვს საქმე ვიდრე უნიჭობასთან.

ჩვენ საქმე გვაქვს აშკარა, საზოგადო საბოტაჟთან. ვილსონი და მისი ყვითელი „მეზღვაურების კავშირი“ ფინანსიურად ეხმარება სპენსერსა და ჰოჯესს მემაღაროების ყვითელი კავშირის შექმნაში, რათა მემაღაროების ფედერაცია მოსძრიკოს, **ეს უძლიერესი ფედერაცია ტრედიუნიონთა კონგრესისა.** ეს არის ნამდვილი გამთიშველი მოღვაწეობა. კონგრესზე მოითხოვეს და კენჭი უყარეს კიდევ „მეზღვაურების“ გაძევებას. რაღაც უბადრუკი მოსაზრებით გენერალურმა საბჭომ არ ინდომა ეს გაძევება „ჯერ-ჯერობით“ (!) როგორც ყრილობაზე ითქვა. გენერალურმა საბჭომ იცოდა, როგორი იყო კონგრესის სულიერი განწყობილება. რათა ხელი შეეშალა მისი გამოხატულებისთვის, მან სკანდალურ ოინებს მიმართა.

და ტრედიუნიონისტული მოძრაობის საბოტაჟის მაწარმოებლები კონგრესის წევრებად რჩებიან. კიდევ მეტი, მათ ფარულად ამხნევებენ ასეთი გადაწყვეტილების შემწეობით.

აი, კიდევ მეორე ნაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელიც გვიჩვენებს რა ნახტომი გააკეთეს უკან მემარჯვენე ბელადებმა. 30 წლის წინათ ტრედიუნიონების კონგრესმა, რომელიც აგრეთვე ედინბურგში შესდგა სხდომათა დარბაზიდან გააძევა არა სინდიკალისტური გაზეთების წარმომადგენლები. მას შემდეგ მეთაურები მოჭკვიანდნენ და დღეს კონგრესს მემარჯვენე პრესის კორესპონდენტებიც ესწრებიან. პროვოკაციის მოსახდენად ედინბურგის ერთმა რეაქციონურმა გაზეთმა მოიგონა ეს ფაქტი. მაგრამ კონგრესმა „კეთილგონიერება“ გამოიჩინა და არ „წამოეგო პროვოკატორების ანკესზე“.

მემარჯვენეებმა ბევრი ილაპარაკეს ღირსებაზე და პატიოსნებაზე. არც ერთ საკითხში, რომელიც მემარცხენეებმა წამოაყენეს მათ არ გამოუჩენიათ ელემენტარული პატიოსნება.

მაგრამ რაც უნდა იყოს, ამ კონგრესმა გარკვეული მდგომარეობის შექმნას შეუწყო ხელი. **ერთი მხრით** სდგას მემარჯვენე ფრთა, რომელიც მუშათა პარტიის პოლიტიკანების ხელმძღვანელობით მზათ არის დასთმოს კლასთა ბრძოლის იდეა. ითანამშრომლოს ბურჟუაზიასთან, უარი სთქვას დამოუკიდებელ პოლიტიკაზე და რომელსაც ყველა ტკივილების წამლათ „საარჩევნო ბიულეტენი“ მიაჩნია. **მეორე მხრით** სდგანან მემარცხენეები, რომელნიც უფრო შემჭიდროვდნენ, უფრო გაერთიანდნენ, გარკვეული ბრძოლის პროგრამით აღიჭურვენ და განთავისუფლდნენ იმ უვარგისი ბელადებისაგან, ორი წლის წინათ სკარბოროში რომ სავსე ქიქით ხელში ერთგულებას ეფიცებოდნენ კლასთა ბრძოლის იდეას, მაგრამ შემდეგ ფეხ-ქვეშ გათელეს ყოველივე ეს.

ედინბურგი 15 სექტემბერი.

კ. დავიდ.

უთანხმოება გომინდანში

ვან-ცზინ-ვეი ხანკოუში

შანხაი, 27 სექტემბერი. გაზეთი „შინბაო“ იუწყება, რომ ხანკოუში ვან-ცზინ-ვეის ჩამოსვლის დროს მოწვეულ იქნა გომინდანის უხანელ მოღვაწეთა კრება. კრებამ შეეხო ურთიერთობას უხანელ გომინდანელებსა და ნანკინში ამას წინად შექმნილ გომინდანის საგანგებო კომიტეტს შორის. გაზეთის სიტყვით, **უხანელი მოღვაწეები საგანგებო კომიტეტს დიდი ეჭვით უყურებენ.**

კრებაზე გამოსულმა **ვან-ცზინ-ვეიმ გამოსთქვა მთელი აზრები, რომელიც ძლიერ ეწინააღმდეგება საგანგებო კომიტეტის დადგენილებებს.** მან განაცხადა, რომ საჭიროა უხანში მოეწყოს პოლიტიკურ საბჭოს განყოფილება. ეს საბჭო გააუქმა საგანგებო კომიტეტმა. ვან-ცზინ-ვეიმ განაცხადა, რომ „მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი რევოლიუციონურ ბაზის დაცვა უხანში“, თუ იქ დაარსდა პოლიტ საბჭოს განყოფილება. (ადს).

ნანკინის წინააღმდეგ

შანხაი, 27 სექტემბერი. „ნორტ ჩაინა დეილი ნიუს“-ი იუწყება, რომ **სუნ-ჩუან-ფანი ამზადებს და უახლოეს ხანში დაიწყებს ახალ კამპანიას ნანკინის წინააღმდეგ.**

ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა გოკუნის სააგენტოს ცნობა იმის შესახებ, რომ **სუნ-ჩუან-ფანმა „გამოურკვეველ წყაროებიდან“ მიღებულ თანხებით შეიძინა თოფების დიდი პარტია.** (ადს).

ტიანძინელ მასწავლებელთა საქმე

პეკინი, 27 სექტემბერი. ჩუნშეის სააგენტოს ცნობით, განათლების დარგში ცნობილი მუშაკნი ტიან-ძინში, სცდილობენ რამოდენიმე თვის წინად ტიანძინში დაპატიმრებულ მასწავლებელთა განთავისუფლებას. დაპატიმრებულ მასწავლებელთ ბრალდებათ კომუნისტობა. **დაპატიმრებულთა უმრავლესობის მიმართ ეს ეჭვები არ გამართლდა და ამიტომ მათ თანდათან ანთავისუფლებენ.** მაგრამ, რამდენიმე მასწავლებელი, რომლებიც აღიარებდენ თავის ყოფნას გომინდანში, მაინც ისევ დაპატიმრებული არიან. ტიან-ძინის განათლების მუშაკებმა განუცხადეს ხელისუფალთ, რომ გომინდანში ყოფნა არ არის დანაშაული. მოელიან, რომ ყველა დაპატიმრებულნი მოკლე ხანში განთავისუფლებული იქნებიან. (ადს).

საფრანგეთის კომუნისტების პროცესი

პარიზი, 27 სექტემბერი. ჰავასის სააგენტო იტყობინება: „**კომუნისტ დეპუტატებს ჟაკ დიუკლოს და მარტის, რომლებმაც მოიხადეს სასჯელი წინად გამოტანილ განაჩენის მიხედვით, 27 სექტემბერს კვლავ მიუსაჯა სასამართლომ პირველს—6 ჯერ 5 წლის ციხე და 3000 ფრანკი ჯარიმა, მეორეს—ორჯერ 5 წლის ციხე და 3000 ფრანკი ჯარიმა;** მათ დააბრალეს სამხედრო პირებს შორის ანარქისტული პროპაგანდის წარმოება. სასამართლომ ასეთივე ბრალდება წაუყენა **კომუნისტებს ბელანჟეს, მენევს, მორელს, ალუაპეს, მიშელს, ანრის და ბარბეს,** რომელთაც მიუსაჯა სამ-სამი წლის ციხე და ჯარიმა 2000 ფრანკი თვითეულს. ყველა ბრალდებულებმა განაცხადეს, რომ მათი საქმე არ ექვემდებარება გამასწორებელ ტრიბუნალს და არც სცნობენ სასამართლოს. ბრალდებულებმა დასტოვეს სხდომის დარბაზი, დარჩენ მხოლოდ დიუკლო, მარტი და ბარბე, რომლებსაც მცველები ადგენ თავს.

შენიშვნა: საფრანგეთის სასამართლოს ოფიციალური ფორმულიროვკით—6 ჯერ ხუთი წლის ციხე და ორჯერ ხუთი წლის ციხე ნიშნავს, რომ დიუკლოს შეუძლია ციხეში დაჰყოს ექვსი საქმისათვის 30 წელი, მარტის—ორი საქმისათვის—10 წელი (მაქსიმუმი) ან დაპატიმრების ვადა მათთვის შეიძლება შემცირებულ იქნეს, მაგრამ არა ნაკლებ ხუთი წლისა. (ადს).

კომუნისტების დეკლარაცია ბურჟუაზ. სასამართლოს

პარიზი, 28 სექტემბერი. კომუნისტ დეპუტატმა დიუკლომ, ყველა იმ კომუნისტების სახელით, რომელთაც ბრალდებათ ანტი - სამხედრო აგიტაცია და ამიტომ პასუხისგებაში არიან მიცემულნი სასამართლოს წინაშე, გამოაქვეყნა შემდეგი შინაარსის დეკლარაცია: „ჩვენ პასუხისგებაში ვართ მიცემულნი 1893—1894 წ. საზიზღარ კანონების ძალით. ჩვენ გვბრალდება ხმის მიცემა ჩინეთის რევოლიუციის სასარგებლოდ, ბურჟუაზიულ არმიებისა და ფლოტის ყაზარმებში ჩამწყვდეულ მუშებისა და გლეხების სასარგებლოდ. აი ჩვენი აზრი თქვენი სასამართლოს შესახებ. ძლიერდება რეპრესიები კომუნისტური პარტიისა და ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის წინააღმდეგ. ამას წინად პენლევე თავს იქებდა დეპუტატთა პალატაში იმით, რომ 1925 წლის ივნისიდან 1927 წლის სექტემბრამდე ე. ი. მაროკოს ომის პერიოდში გამოტანილ იქნა 1,371 განაჩენი სამხედრო საქმეზე და 535 სამოქალაქო საქმეზე. ამ დღიდან სამხედრო სასამართლოებს არ შეუწყვეტიათ ჯარისკაცების დევნა არმიასა და ფლოტში. სწარმოებს აქტიურ კომუნისტების სასტიკი დევნა: ციხეში ჩამწყვდევა და ჯარიმების გადახდევინება“.

დეკლარაციის შემდეგ ნაწილში აღნიშნულია, რომ „ყველა ამ რეპრესიების მიზეზია კომუნისტების მედგარი ბრძოლა ეროვნული მთლიანობის მთავრობის ანტი-მუშური პოლიტიკის წინააღმდეგ“.

დაგვსაჯეთ, ჩვენ მაინც უარს ვამბობთ პასუხის გაცემაზე, ჩვენ არ გამოვედავებით მთავრობის რეპრესიებს. გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას“! (ადს).

ამხ. დავთიანი პეხლევში

თეირანი, 27 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს სპარსეთში ამხ. **დავთიანის** და ამხ. **ლაგანოვსკის** პეხლევში გავლის დროს ნავთსადგურში შეხვდენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელნი გუბერნატორის მეთაურობით, რომელნიც ამხ. დავთიანს მიესალმენ სპარსეთის მთავრობის სახელით. ამხ. დავთიანს მიესალმენ აგრეთვე ვაჭრების წარმომადგენელი, პეხლევის და რეშტის საბჭოთა კოლონიების და სხ. წარმომადგენელნი. ამხ. დავთიანის საპატივსაცემოდ ვიცე-საკონსულოში გაიმართა ბანკეტი, რომელსაც დაესწრენ გუბერნატორი და ხელისუფლების სხვა წარმომადგენელნი. გარდა, ამისა, გაიმართა ვაჭრების წარმომადგენელთა ბანკეტი. ვაჭრებს განსაკუთრებით აინტერესებდათ სავაჭრო შეთანხმება საბჭოთა კავშირსა და სპარსეთს შორის და ხაზს უსვამდენ ამ შეთანხმების აუცილებლობას. **ამხ. დავთიანმა განაცხადა, რომ ახლო მომავალში მოაწერენ ხელს შეთანხმებას. ამასთანავე ამხ. დავთიანმა აღნიშნა, რომ საუბარი სპარსეთის ვაჭრების და სხვა საზოგადოებრივი წრეების წარმომადგენლებთან აძლევს საშუალებას იქონიოს იმედი, რომ შეთანხმება დამტკიცებული იქნება მეჯლისის მიერ. შეთანხმება, ამხ. დავთიანის სიტყვით, განამტკიცებს მეგობრულ ურთიერთობას სპარსეთსა და საბჭოთა კავშირს შორის.**

რეშტში და კაზვინში ამხ. დავთიანს შეხვდა საბჭოთა კოლონია. კაზვინში ამხ. დავთიანს საუბარი ჰქონდა ვაჭრების წარმომადგენლებთან. (ადს).

ამხ. იურენევი

საბჭოთა კავშირის ახლად დანიშნული სრულუფლებიანი წარმომადგენელი ავსტრიაში.

სეიმის აღსასრული

ტოკიო, 27 სექტემბერი. „სიბაურა კავასაკი“-ს კომპანიის მანქანის მკეთებელ ქარხნების მუშების გაფიცვა დამთავრდა გაფიცულთა დამარცხებით. მემარცხენე პროფკავშირების გაერთიანებამ განაცხადა, რომ გაფიცულები უბრუნდებიან მუშაობას და უარს ამბობენ წამოყენებულ მოთხოვნილებებზე.

„საბიურა კავასაკი“-ს კომპანიის მელითონეთა გაფიცვა დაიწყო სექტემბრის პირველ რიცხვებში. **გაფიცულები მოითხოვდენ დათხოვნილ 50 მუშის, მათ შორის პროფესიონალურ კავშირის თავმჯდომარისა და მდივნების, უკან მიღებას.** (ადს).

რეფორმისტების ხრიკები

ვარშავა, 27 სექტ. პოლონელ რკინისგზელთა ყრილობა მძიმე ატმოსფერაში მიმდინარეობს. 117 ხმის უმრავლესობით 93-ის წინააღმდეგ პროფკავშირმა შესძლო ხელში ჩაეგდო არჩევნების გარეშე თავმჯდომარეობა ყრილობაზე. **პროფკავშირი სცდილობს გვერდი აუხვიოს მთავარ საკითხს სახელმწიფო რკინის გზების კერძო კონსორციუმისათვის გადაცემის შესახებ.** ეს საკითხი განსაკუთრებით აღელვებს მუშებს. (ადს).

გაფიცვის დამარცხება

ვარშავა, 27 სექტემბერი. ოფიციოზი „გლოს პრავდი“ წინასწარმეტყველებს, **რომ მოახლოებულია სეიმისა და სენატის აღსასრული.** სეიმისა და სენატის უკანასკნელ გამოსვლას გაზეთი უწოდებს „საკანონმდებლო ორგანოების სიკვდილის წინ კრუნჩხვას“.

სეიმის თავმჯდომარე **რატაიმ** ხელმეორედ მიმართა პილსუდსკის წერილით, რომელშიაც ამტკიცებს, რომ კრიტიკას ვერ უძლებს ის განმარტება, რომელსაც მთავრობა აძლევს კონსტიტუციას პრესის შესახებ გამოცემულ დეკრეტის საკითხში. (ადს).

კომუნისტების დევნა

იტალიაში

რომი, 27 სექტემბერი. 27 სექტემბერს საგანგებო ტრიბუნალში დასრულდა რვა პირის პროცესი, რომელთაც ბრალდებათ კომუნისტური ორგანიზაციის წევრობა. **ყველა ბრალდებულთ მისჯილი აქვთ ციხე სხვადასხვა ვადით —4—12 ნახ. წლამდე** (ადს).

კაპაბლანკა-ალიოხინი

ნიუ-იორკი, 27 სექტემბერი. კაპაბლანკა-ალიოხინის მატჩის მეხუთე პარტია გადაიდო მე-41 სვლის შემდეგ. (ადს).

საქართველოს [illegible]

უკანასკნელი ცნობები

ერთა ლიგაში

ბერლინი, 28 სექტემბ. გუშინდელ სხდომაზე ერთა ლიგის საბჭომ ხელახლა გაანაწილა მომხსენებლების ფუნქციები. გერმანიას კვლავ დაევალა მოხსენებების გაკეთება ეკონომიურ საკითხების გარშემო, იტალიას — საარის საკითხი, ჩილის — დანციგის საკითხი. საბჭომ დაამტკიცა პლენუმის ყველა გადაწყვეტილებები არბიტრაჟისა, უშიშროებისა და განიარაღების შესახებ. ვესტერ - პლატეს (კუნძული დანციგის ნავთსადგურში) ექსტერიტორიალობის საკითხი გადაიდო დეკემბრის სესიამდე (ადს).

ჰავასის უარყოფა

პარიზი, 28 სექტემბ. ჰავასის სააგენტო იუწყება: „წინააღმდეგ ზოგიერთ საგაზეთო ცნობებისა, დღემდე არ ყოფილა ექსპერტთა არავითარი თათბირი რუსეთის ვალების საკითხის გამოსარკვევად. ამას უნდა დაემატოს კიდევ ის, რომ საფრანგეთის დელეგაციის თავმჯდომარე დემონზი იმყოფება პარიზიდან საკმაოდ მოშორებით და მონაწილეობას იღებს ლიგის დეპარტამენტის საბჭოს სესიაში“ (ადს).

ელჩების გაძარცვა

პეკინი, 27 სექტემბ. რამდენიმე ხნის წინად პეკინის მიდამოებში თავს დაესხნენ და გაძარცვეს ბელგიისა და ჩეხო - სლოვაკიის ელჩები.

გაზეთები იუწყებიან, რომ ამის გამო ჩან-ძო-ლინმა დაითხოვა პეკინის ოლქის სამოქალაქო გუბერნატორი გენერალი ლი-იუ-ანი (ადს).

„ფორვერტსი“ ამწვავებს მდგომარეობას

ბერლინი, 28 სექტემბერი. შტრეზემანთან დაახლოვებული ორგანო „ტეგლიხე რუნდშაუ“ უარყოფს გაზეთების ცნობას, თითქოს ჟენევიდან ბრიანის მოულოდნელი გამგზავრების მიზეზია შტრეზემანთან შემდეგი შეხვედრისაგან თავის არიდების სურვილი. „ყველაფერი, რის გარშემოც უნდა მოლაპარაკებულიყვენ მინისტრები,—სწერს გაზეთი,—წინასწარ უკვე განხილულია მათი შეხვედრის დროს“.

„ფორვერტსი“ პირიქით სწერს საფრანგეთგერმანიის დამოკიდებულების ერთგვარი გამწვავების შესახებ ჰინდენბურგის სიტყვის მიზეზით და ამტკიცებს, რომ ბრიანის გამგზავრება ნაკარნახევია პარიზიდან (ადს).

მემარცხენე გომინდანელთა დეკლარაცია სვატოუში

შანხაი, 28 სექტემბ. სვატოუში ჩამოვიდნენ მემარცხენე გომინდანელი გუომა-იო, დან-ენ-ჯას ყოფილი თანაშემწე (როდესაც დან-ენ-დას ეჭირა უხანის არმიის პოლიტგანყოფილების უფროსის თანამდებობა), და ჩჟუ-ი-ლაი, კომუნისტი, გლეხთა მოძრაობის ლიდერი აღმოსავლეთ მდინარის რაიონისა და გუანდუნის პროვინციაში. პოლიტბიუროს სახელით გუო-მა-იომ და ჩჟუ-ი-ლაიმ მიმართეს ხალხს მოწოდებით, რომელშიაც ნათქვამია: „რევოლიუციონურმა კომიტეტმა ნანჩაში დაიწყო აჯანყება სამართლიანობის გულისთვის და განაგრძობს ნამდვილ რევოლიუციონურ ბრძოლას ნანკინისა და უხანის წინააღმდეგ. რევოლიუციონური ჯარები ამჟამად დაბრუნდენ გუანდუნის პროვინციაში, რათა მთლიანად დაიპყრონ ის. რევოლიუციონურმა კომიტეტმა გამოაკრა ქალაქში რევოლიუციონური პლაკატები და ლოზუნგები. გუომა-იო დაინიშნა საგარეო საქმეთა კომისრად სვატოუში. კომუნისტები ჩან-ში-გუეი და ჩჟუ-ი-ლაი დაინიშნენ ადმინისტრატიულ თანამდებობაზე.

სესხზე უარის თქმა

ვაშინგტონი, 27 სექტემბ. ჩრ.-ამ. შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა სამინისტრომ უარი განაცხადა სესხის (30 მილიონი დოლარის) დამტკიცებაზე, რომელსაც ამერიკის ბანკები აძლევდენ პრუსიის მთავრობას (ადს).

ფანატიკოსების ამბოხება

ბერლინი, 27 სექტემბ. გერმანულ გაზეთების ცნობით, ვილნოში კათოლიკურ სამღვდელოების ქადაგებით აღტაცებულმა რამოდენიმე ათას ქალმა და ბავშვმა დაარბიეს მეთოდისტების სამლოცველო და გაანადგურეს ყველა დოკუმენტები. ქალებმა სცემეს პოლიციელებს, რომლებიც დაესწრნენ დარბევას. დაპატიმრებულია მრავალი ქალი (ადს).

ახალი ბიძგები

სიმფეროპოლი, 28 სექტემბერი. 27 სექტემბრის წინა ღამეს შემჩნეული იყო უმნიშვნელო ბიძგები. ზარალს ადგილი არ ჰქონია. 27 სექტემბერს, დილით ბიძგები მოხდა გურზუფში, ალუშტაში და ევპატორიაში 3 ბალის ძალით. არაფერი არ დანგრეულა.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

საიუბილეო საფოსტო მარკები

მოსკოვი, 28 სექტემბერი. ოქტომბრის მეათე წლის თავის აღსანიშნავად ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატის მიერ გამოშვებული იქნება შემდეგი ახალი საფოსტო მარკები: 3 კაპეიკიანი—წითელი ფერის, მუშის, გლეხის და წითელარმიელის პროფილის გამოხატულებით; 5 კაპეიკიანი—ლია-ყავის ფერი; მარკაზე გამოხატულია საბარგო ავტომობილი, რომელზედაც შეიარაღებულ მუშების ჯგუფში მოჩანს ლენინის ფიგურა; 7 კაპეიკიანი—მწვანე ფერის სმოლნი ინსტიტუტის გამოხატულებით. ყველა მარკებს აქვს წარწერები რუსულ, უკრაინულ, ქართულ და სომხურ ენებზე. (ადს).

ლოზუნგები ღრუბლებზე

ლენინგრადი, 28 სექტემბერი. ოქტომბრის დღესასწაულზე ლენინგრადში გამოყენებულ იქნება პროექტორი, რომლითაც საღამოობით ღრუბლებზე აღბეჭდილი იქნება სხვადასხვა ლოზუნგები. (ადს).

უკრაინა

მუშათა ბათალიონები მანევრებზე

ოდესა, 28 სექტემბერი. მანევრების მსვლელობამ ცხადყო, რომ მუშათა ბათალიონების მონაწილეობამ ოპერაციებში სავსებით გაამართლა თავისი თავი. განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს ილოვაის მუშ. ბათალიონი, რომელიც შესდგება ავიაქიმის მსროლელთა წრეების წევრებისაგან. ბათალიონმა ჩინებულად შეასრულა სამხედრო დავალება. პროლეტართა ბათალიონმა, რომელიც შესდგება ოდესის მუშებისაგან, მოახდინა მძიმე გადასვლა, რომლის დროს ბათალიონის თვითეულმა წევრმა გამოიჩინა სამხედრო ოპერაციების წარმოების უნარი. ოდესის მუშებს მიჰყავთ წითელი ახალგაზრდობის რაზმები, რომელთაც სწყურიათ მანევრებში მონაწილეობის მიღება. რადგან ძალიან ბევრია ნაწილებში ჩარიცხვის მსურველი, აუცილებელი გახდა მიღების შეზღუდვა.

მანევრებში მონაწილეობას იღებს სამხედრო ძაღლების რაზმი, რომელიც ერთ ბათალიონს ემსახურება. გამოცდილებამ ცხადყო, რომ ძაღლი საუკეთესო საშუალებაა კავშირის დასაჭერად. მანევრების განმავლობაში ძაღლები ძალიან ინტენსიურად მუშაობდენ, იცავდენ კავშირს ბათალიონსა და გუნდს შორის. (ადს).

თათბირი პროფტეხნიკური განათლების შესახებ

ამხ. კუიბიშევის მოხსენება

მოსკოვი, 28 სექტემბერი. 26 სექტემბერს გაიხსნა პირველი სრულიად საკავშირო თათბირი პროფტეხნიკურ განათლების შესახებ. მოხსენებით გამოვიდა ამხ. კუიბიშევი, რომელმაც აღნიშნა, რომ ჩვენი სამრეწველო განვითარების საფეხური, რომელზედაც ამჟამად ჩვენ ვიმყოფებით განსაკუთრებით მწვავედ აყენებს მრეწველობის და მთელი სახელმწიფოს წინაშე პროფტეხნიკურ განათლების სწრაფი განვითარების ამოცანას.

„ჩვენ გვესაჭიროება უფრო მაღალი ტეხნიკური კულტურა, ვიდრე ეს დღემდე გვქონდა —სთქვა ამხ. კუიბიშევმა,—ვინაიდან ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის განვითარების ტემპი წინ უსწრებს მრეწველობის მუშაკთა ცოდნის ზრდის ტემპს.

თათბირის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მან დაწვრილებით გაარჩიოს არსებული მდგომარეობა, გამოააშკარაოს ყველა ნაკლი და გამოიყენოს აღნიშნულ საკითხის განხილვის კარგი კრიტიკის მეთოდი.

როდესაც ჩვენ საზღვარგარეთ შევუკვეთეთ მოწყობილობა ჩვენი მრეწველობისათვის, თავი იჩინა ჩვენი ტეხნიკური პერსონალის არასაკმაო მომზადებამ. ჩვენ არ ვიცნობთ ტეხნიკის ახალ მიღწევებს და არ შეგვიძლია სწორათ შევადგინოთ სპეციფიკაცია. ჩვენი ტეხნიკური აზროვნება მცირედ არის მიმართული ახალ წარმოებებზე, ამავე დროს კი დასავლეთში და ამერიკაში ახალი წარმოება ზოგჯერ სრულიად სცვლის მრეწველობის მთელ სურათს. ჩვენ წარსულში გვქონდა შეცდომა, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ ტეხნიკურ ძალთა მომზადება იგვიანებდა ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების სწრაფი განვითარების მოთხოვნილებებთან შედარებით. ამ დაგვიანების გამო ჩვენ ვდგევართ მრეწველობის განვითარების ტემპის შენელების აუცილებლობის წინაშე. ამიტომ პროფტეხნიკურ მომზადების ხუთწლიან გეგმით გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ ტეხნიკურ ძალთა მომზადებამ რამოდენიმედ წინ გაუსწროს მრეწველობის განვითარების პერსპექტივებს იმავე პერიოდში.

ამის მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ სახალხო განათლების ორგანოები საკმაო ყურადღებას არ აქცევდენ ტეხნიკურ ძალების კადრების მომზადებას მრეწველობის განვითარების ტემპთან შედარებით.

სხვადასხვა სპეციალობის მუშაკების მომზადება ხდება თითქმის სტიქიურად, რაც იმის შედეგს წარმოადგენს, რომ მოუწესრიგებელია ურთიერთობა სახალხო განათლებისა და მრეწველობის ორგანოებს შორის. ახლა პროფტეხნიკურ განათლების საკითხი ჩვენ უნდა დავაყენოთ ერთ დონეზე ყველა იმ დანარჩენ პირობებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას. როდესაც მრეწველობა განსაზღვრულ მოთხოვნილებებს უყენებს განათლების სახალხო კომისარიატს, მას მხედველობაში რაიმე უწყებრივი ინტერესები კი არა აქვს, არამედ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის უდიდესი ამოცანა. მრეწველობისათვის უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ფაქტიური გავლენა სახალხო განათლებაზე, საჭიროა, რომ განხორციელდეს სახალხო განათლების სისტემის ფაქტიური დაქვემდებარება მრეწველობისათვის.

მრეწველობის აქტიურ მონაწილეობას ტეხნიკურ ძალთა მომზადების საქმეში და რ. ს. ფ. ს. რ. განათლების სახ. კომისარიატის გულწრფელ სურვილს მრეწველობასთან მჭიდრო ურთიერთობის დაჭერის შესახებ შედეგად მოჰყვა ის, რომ მრეწველობა ყველა რესპუბლიკების განათლების სახ. კომისარიატების ორგანოების სახით მიიღებს მძლავრ ბერკეტს მრეწველობის ტეხნიკურ ძალთა კადრების განახლებისათვის და ტეხნიკურ დონის მძლავრი ზრდისათვის სოციალიზმის მშენებლობის სასარგებლოდ“.

ამხ. ლუნაჩარსკის მოხსენება

27 სექტემბრის დილის სხდომაზე მოხსენებით გამოვიდენ ამხ. ლუნაჩარსკი და რადჩენკო.

ამხ. ლუნაჩარსკიმ აღნიშნა, რომ სამეურნეო მშენებლობის საქმე მტკიცედ არის დაკავშირებული კულტურულ მშენებლობის საქმესთან. ნამდვილი პროფესიონალური განათლება შეიძლება აგებულ იქნას მხოლოდ ცოდნის საერთო ზრდაზე ჩვენს ქვეყანაში. სახალხო განათლებისა და მრეწველობის ორგანოებს შორის უნდა არსებობდეს მჭიდრო კავშირი, როგორც განსაზღვრულად მომზადებულ ადამიანთა მასალის მიმწოდებელთა და შემკვეთთა შორის.

მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ის მისწრაფება გვქონდეს, რომ მხოლოდ ვაგროვოთ და ვწვრთნათ მუშები განსაზღვრულ ტეხნიკურ დახელოვნების შესაძენად. ჩვენს კავშირში პროლეტარიატს უნდა შეეძლოს არა მარტო ხრახნების კეთება, არამედ სახელმწიფოს ხელმძღვანელობაც.

ეს ამოცანა მეტისმეტად ძნელი განსახორციელებელია. მის გადასაჭრელად გარკვეული ურთიერთობა უნდა დამყარდეს მრეწველობისა და სახალხო განათლების ორგანოებს შორის. ესეც ფრიად ძნელი ამოცანაა. ჩვენი გეგმიანი მეურნეობა არ იმყოფება ისეთ მდგომარეობაში, როდესაც შეიძლება ციფრების სისწორისათვის თავდებობა რამოდენიმე წლით წინ.

რათა რაც შეიძლება მალე გამოვიმუშავოთ მრეწველობისა და სახალხო განათლების დაკავშირების მეთოდი, ჩვენ მწყობრად უნდა შევუთანხმოთ ერთმანეთს ყოველი ნაბიჯი; კავშირი სამეურნეო მუშაკებსა და სახალხო სამეურნეო განათლების ხელმძღვანელებს შორის სავსებით განუყოფელი უნდა გახდეს“.

ამხ. რადჩენკოს მოხსენება

უკრაინის ს. ს. რესპუბლიკის განათლების სახ. კომისარმა ამხ. რადჩენკომ აღნიშნა, რომ უკრაინის ს. ს. რ. განათლების სახ. კომისარიატის ხაზი პროფტეხნიკურ განათლების საქმეში მდგომარეობს იმაში, რომ სახალხო განათლების საქმე არ მოსწყდეს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ამოცანებს. ამ ხაზის ამოცანებს შეადგენს: საყოველთაო განათლება, მასიური პროფტეხნიკური განათლება, უმაღლეს სასწავლებლების რეკონსტრუქცია, სამეცნიერო-გამომკვლევ დაწესებულებათა ზრდა, ჩვენი ქვეყნის კულტურის საერთო ამაღლება.

ამხ. ხოდოროვსკის სიტყვა

რ. ს. ფ. ს. რ. განათლების სახ. კომისარის მოადგილემ, ამხ. ხოდოროვსკიმ, პასუხი გასცა ამხ. კუიბიშევის თეზისებს.

ამხ. ხოდოროვსკის აზრით მითითებანი იმაზე, რომ განათლების სახ. კომისარიატი აგვიანებს ტეხნიკურ ძალების მომზადებას, რომ ის არ იცავს პროპორციას სხვადასხვა კვალიფიკაციის მუშაკების მომზადებაში, რომ დამაკმაყოფილებელი არ არის ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადება, რომ ყურადღება არ ექცევა მრეწველობის ხმას და პროფტეხნიკურ განათლების საკითხს,—ყველა ეს მითითებანი, სავსებით აიხსნება იმით, რომ თითონ მრეწველობას არ შეეძლო ორი წლის წინად გაეთვალისწინებია, თუ რამდენი კვალიფიციური და მომზადებული მუშა-ხელი დასჭირდებოდა მას; მრეწველობას აგრეთვე არ გამოუმუშავებია მოთხოვნილებები მომზადებულ მუშაკთა ღირსების შესახებ. (ადს).

აზერბეიჯანის ცაკის სესია

ბრინჯის საცდელ მინდვრის საფუძვლის ჩაყრა

ლენქორანი, 28 სექტემბერი. 27 სექტემბერს საღამოს აზერბეიჯანის ცაკის სესიის წევრებისა, სახ. კომ. საბჭოს წევრებისა და მთელ რიგ პროფესორების, აგრონომების და ადგილობრივ გლეხების თანდასწრებით დაბა შექერ-ბაღირში (ტკბილი ბაღი) 2 ნახ. ვერსის მანძილზე ლენქორანიდან საფუძველი ჩაეყარა ბრინჯის საცდელ მინდორს. ეს მინდორი პირველია არა მარტო ამიერ-კავკასიაში, არამედ საბჭოთა კავშირშიაც. საცდელ მინდვრის მთავარი ამოცანას შეადგენს ბრინჯის მოყვანის ფორმების შესწავლა.

სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. მუსაბეკოვმა, ბუნიატ - ზადემ, პროფ. პრიეიბსკიმ და სხვ.

საცდელ სატყეო სადგურის საფუძვლის ჩაყრა

იმავე დღეს, 15 ვერსის მანძილზე ლენქორანიდან, სოფ. ალექსეევკას მახლობლად აზერბეჯანის ცაკის და სახ. საბჭოს წევრების თანდასწრებით საფუძველი ჩაეყარა საცდელ-სატყეო სადგურს, რომელიც პირველია ამიერ-კავკასიაში და მიზნად აქვს ტყის დარგვის რაციონალიზაცია და ლენქორანის მაზრაში ჩაისა და ფუჩუკის საქმის განვითარების შესწავლა. სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. მუსაბეკოვმა, ბუნიატ ზადემ, პროფ. ვინოგრადოვმა და სხვ. სადგური შენდება აზერბეიჯანის მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის ხარჯზე. (ადს).

სესიის დახურვა

ლენქორანი, 28 სექტემბერი. დღეს სესიამ მიიღო რეზოლიუციები, რომლებიც შემუშავებულია ლენქორანის აღმასკომის, ფინსახკომის მოხსენებების გარშემო და საგზაო მშენებლობის შესახებ.

დღის პირველ საათზე, შენობის წინ, სადაც სესია მიმდინარეობდა, გაიმართა სამხედრო ნაწილების, პროფკავშირების წევრთა და მოსწავლე ახალგაზრდობის დემონსტრაცია.

სესიამ შესწყვიტა მუშაობა და სრული შემადგენლობით გამოვიდა დემონსტრანტებთან. დემონსტრაციის წინ მიუძღოდენ წითელი ასკერები.

„იაშასუნ ყირმიზ ორდი!“. (გაუმარჯოს წითელ არმიას)—დაიძახა მუსაბეკოვმა. საპასუხოდ გაისმა—„იაშასუნ!“ (გაუმარჯოს).

ყველა რეზოლიუციების მიღების შემდეგ ამხ. ალამალი-ოღლის მოკლე სიტყვით დაიხურა სესია.

დღეს სესიის წევრები ბრუნდებიან თავ-თავიანთ სახლებში (ადს).

ინდუსტრიალიზაციის სესხი

საქ. კომ. პარტიის ცეკას მიმართვა

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტს, ყველა საოლქო, სამაზრო და სარაიონო კომიტეტებს

საბჭოთა კავშირზე საერთაშორისო ბურჟუაზიის გააფთრებული თავდასხმის, მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს წინააღმდეგ ომისათვის აშკარა მზადების და ფინანსიური გარემოცვის პირობებში, ქვეყნის საინდუსტრიალიზაციოდ გაღებულ თვითეულ კაპეიკს, ჩვენი სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის ტემპის დაჩქარების უმცირეს შესაძლებლობასაც კი მეტის-მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური მრეწველობის წარმატებით განვითარებისა და უმაღლესი ტეხნიკური ბაზის შექმნისათვის. ინდუსტრიალურად რამდენად უფრო განვითარებული და სამრეწველოტეხნიკურად რამდენად უფრო განმტკიცებული შევხვდებით მომავალ იმპერიალისტურ თავდასხმას, იმდენად უფრო მეტი შანსები, იმდენად უფრო მეტი შესაძლებლობა გვექნება მტრების იერიშების მოსაგერიებლად და მათზე გასამარჯვებლად.

ამიტომ საბჭოთა მთავრობის მიერ დაწყებულ კამპანიას 200 მილიონ მანეთის საინდუსტრიალიზაციო სესხის გასანაწილებლად, შეუძლია არა მარტო გააფართოოს არსებული ფაბრიკა-ქარხნები, საფუძველი ჩაუყაროს ახალ წარმოებებს, სამუშაო მისცეს მრავალ ათას მუშას და მით შეამციროს უმუშევრობა, მისცეს გლეხებს საჭირო სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღები, არამედ ეს სესხი წარმოადგენს ერთ-ერთ საიმედო ღონისძიებას ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავდაცვის უნარიანობის გასაძლიერებლად, წარმოადგენს საბჭოთა კავშირის—მშრომელთა მასების კოლექტიურ ღონისძიებას იმ იმპერიალისტური ომის საპასუხოდ, რომელსაც ჩვენ წინააღმდეგ ამზადებენ.

ამიტომ ყოველი მშრომელის, ყოველი პატიოსანი მოქალაქის ვალია იყოს სოციალისტური მშენებლობის პირველ რიგებში.

ოქტომბრს 10 წლის თავისთვის არ უნდა დარჩეს არც ერთი მუშა, არც ერთი გლეხი, მოსამსახურე, ინტელიგენტი და ხელოსანი, რომელსაც შეძენილი არ ქონდეს ინდუსტრიალიზაციის სესხის თუნდ ერთი ობლიგაციაც.

პირველი ცნობები სესხის წარმატებით გავრცელების შესახებ მოწმობენ, რომ საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხების ფართო ფენები განსაკუთრებული ენტუზიაზმით შეხვდენ ინდუსტრიალიზაციის სესხს.

ყოველ მხრივ ხელი უნდა შეეწყოს და განმტკიცდეს მშრომელთა მასების ასეთი შეგნებული გამოხმაურება და გამოიძებნოს მისთვის სათანადო ორგანიზაციული ფორმა და გამოხატულება.

ინდუსტრიალიზაციის სესხის კამპანიის ხელის შეწყობისა და მისი ფართო პოპულიარიზაციის მიზნით გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1) ყველა წარმოებებსა და დაწესებულებებში უნდა გაკეთდეს დაწვრილებითი მოხსენებები ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ; ამ მიზნით გამოყენებული უნდა იქნეს უკვე მოწვეული და დანიშნული კრებები. ამავე მიზნით საგანგებოთ უნდა მოეწყოს კრებები. გამოყენებული უნდა იქნეს აგრეთვე სესხის საპოპულიარიზაციოთ ყოველგვარი თათბირები, კონფერენციები, საბჭოების პლენუმები და სხვა.

ქალაქებში მუშებისა და მოსამსახურეების კრებებს გარდა, უნდა მოეწყოს ორგანიზაციებში დაურაზმავ მოსახლეობის—თავისუფალი პროფესიის მოქალაქეების, შინა-მრეწველების, ხელოსნების და სხვათა კრებები. კამპანიაში ჩაბმული უნდა იქნეს ზემოხსენებულ მოსახლეობის გამაერთიანებელი ორგანოები. სათანადო მოხსენებები უნდა გაკეთდეს აგრეთვე ქალთა სადელეგატო კრებებზე, რომელთა დღის წესრიგს და სამუშაო პროგრამას უნდა დაუკავშირდეს მოხსენება ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ.

10 ოქტომბრიდან ასეთივე კრებები უნდა ჩატარდეს სოფლებში, სადაც მუშაობაში უნდა ჩაებას სოფლის მთელი აქტივი.

ყველა მასიურ კრებებზე მოხსენების მოსმენის შემდეგ საჭიროა—შეძლების და გვარად მოეწყოს კინო-კონცერტები, წარმოდგენები და სხვ.

მოხსენებები, საუბრები, წარმოდგენები, კედლის გაზეთები და სხვა ასეთი საკლუბო მუშაობა ინდუსტრიალიზაციის სესხის გარშემო უნდა ჩატარდეს წითელ არმიელთა ნაწილებშიაც (საკადრო და ტერიტორიალურ ჯარში).

2) სესხის საპოპულიარიზაციოთ და ხელის შესაწყობად კლუბებსა, წითელ კუთხეებსა, ქოხ-სამკითხველოებსა, გლეხთა სახლებსა და სახალხო სახლებში უნდა მოეწყოს საუბრები, ხმამაღლა წაკითხვა, სათანადო პლაკატების და ლოზუნგების გამოფენა, წარმოდგენები, ცოცხალი გაზეთები, კედლის გაზეთები და სხვა.

3) ყველა შრომის სკოლებსა და ტეხნიკუმებში უნდა სწარმოებდეს სათანადო საუბრები, იკითხებოდეს მოხსენებები, იმართებოდეს წარმოდგენები და ბავშვების საგიტაციო გამოსვლები მოზრდილთა შორის.

4) ქუჩებში, ყველა წარმოებებსა და დაწესებულებებში და აგრეთვე ყველგან—ხალხის შესაკრებ ადგილებზე უნდა გაიკრას აფიშები, ლოზუნგები, მოხატული პლაკატები, ფურცლები; უნდა მოეწყოს აგრეთვე ქუჩებზე, თეატრებსა და კინოებში საგიტაციო ფურცლების დარიგება. მრავალ ხალხიან ქუჩებზე უნდა გამოიკიდოს დიდი ტილოები წარწერებით, მოეწყოს მოძრავი, კინო-რეკლამა და სხვ.

ყველა წარმოებებსა და დაწესებულებებში აუცილებლად უნდა მოგვარდეს როგორც ინდუსტრიალიზაციის სესხის, ისე 1927 წლის 10 პროცენტიანი სესხის მოგებათა ცხრილების გამოკვრა.

უნდა მოეწყოს ლოზუნგების გადმოყრა ჰაეროპლანებიდან და პლაკატ-ლოზუნგების გამოფენა მიმოსვლის გზებზე, მატარებლებში, გემებში, ნავთსადგურებში, რკინის გზის სადგურებზე და სხვაგან.

5) რაც შეიძლება, გამოყენებული უნდა იქნეს პრესა, რომელშიდაც ყოველდღიურად უნდა მოთავსდეს წერილები საუბრები, ლოზუნგები, ცნობები სესხის სარგებლიანობის და მისი გასაღების პირობების შესახებ, იმფორმაცია სესხის კამპანიის მსვლელობის შესახებ; უნდა მოეწყოს გაზეთის ფურცლებზე შეჯიბრების განყოფილება, სადაც უნდა თავსდებოდეს ცნობები ყველაზე უფრო დიდ კოლექტიურ ხელის მოწერაზე. საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს კედლის გაზეთებს.

6) ავტონომიურ რესპუბლიკებში საჭიროა გამოიცეს მოწოდებები მოსახლეობის მიმართ, პარტიის, კომკავშირის, ცაკის, პროფსაბჭოს და კოოპერატიულ ცენტრების და სხვ. სახელით.

მისალმებით სარგებლობა მოხსენებისათვის შეიძლება ფინსახკომის ადგილობრივ ორგანოებში.

ცეკას მდივანი **ლოლობერიძე**.

ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე **თათარიშვილი**.

ა.-კ. რკინისგზელთა საგზაო პროფკავშირ. მიმართვა

ყველა საუბნო პროფკავშირებისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

ინდუსტრიალიზაციის სესხის კამპანიამ ს. ს. რ. კავშირში ღრმად დააინტერესა მუშათა ფართო მასები და საბჭოთა კავშირის ყოველი მშრომელი სრულიად შეგნებულად მიისწრაფვის შეიტანოს თავისი წვლილი ამ საქმეში. ინდუსტრიალიზაციის სესხის წარმატებით ჩატარების მნიშვნელობა შეგნებული უნდა ჰქონდეს ჩვენი კავშირის ყოველ წევრს.

არსებულ საერთაშორისო პირობებში მეტად დიდი მნიშვნელობა ეძლევა იმ თანხების გამოყენებას, რომლებიც დაგროვილია მოსახლეობის ფართო მასების მომჭირნეობა-დაზოგვით, და ისეთ პირობების შექმნას, რომლებიც ხელს შეუწყობენ ახალ ღირებულებათა თანდათანობით დაგროვებას. ყველაფერი ეს საჭირო და აუცილებელია წარმოების განვითარებისათვის. ამ სესხის ამოცანაა გაერთიანებული იქნეს მომჭირნეობა-დაზოგვით შექმნილი ყველა თანხები და ამით საშუალება მიეცეს სახელმწიფოს გააფართოვოს ამჟამად დაწყებულ-განზრახული კაპიტალური ხომშენებლობა და მრეწველობის ინდუსტრიალიზაცია. სესხის წარმატებით ჩატარებისათვის კამპანიის გარშემო გაერთიანებული უნდა იქნეს საზოგადოებრივი აზრი და ობლიგაციების განაწილების საქმეში ჩაბმული უნდა იქნენ ჩვენი კავშირის ყველა წევრები.

იმისათვის, რომ ინდუსტრიალიზაციის სესხმა გამოიღოს რეალური ნაყოფი, საჭიროა რკინისგზელებისათვის ფართო ინფორმაციის მიწოდება სესხის შესახებ და შემდეგ ღონისძიებათა მიღება:

1. საუბნო პროფკავშირებთან მოეწყოს კომუჯრედის, უბნის პროფკავშირის, სამეურნეო ორგანოთა და მსხვილ ადგილკომთა წარმომადგენლებისაგან შემდგარი დახმარების კომიტეტები.

2. როგორც უბნის პროფკავშირის მდებარეობის ადგილზე, ისე ხაზზე მსხვილ ადგილკომებთან მოეწყოს დახმარების კომისიები პირველ მუხლში აღნიშნულ წარმომადგენლობის გზით.

3. ისეთ დაწესებულებებსა და წარმოებებში, სადაც მოსამსახურეთა რიცხვი მცირეა, გამოყოფილი უნდა იქნენ რწმუნებულები.

დახმარების კომიტეტებს და კომისიებს და აგრეთვე რწმუნებულთ ევალებათ შემდეგი.

ა) კავშირის წევრთა საერთო კრებებზე მოხსენებების მოწყობა ინდუსტრიალიზაციის სესხის საკითხის ირგვლივ (მომხსენებლები მოწვეულნი უნდა იქნენ სახელმწიფო ბანკიდან ან ფინ-ორგანოდან).

ბ) სახელმწიფო ბანკთან ან ფინ-ორგანოებთან მუდმივ კავშირის დამყარება და ხელის მოწერის ორგანიზაციის ხელმძღვანელობა.

გ) კავშირის წევრებისათვის ცნობების და რჩევის მიცემა ინდუსტრიალიზაციის სესხის საკითხებზე.

დ) რეგულიარული ინფორმაცია სესხის შესახებ კედლის გაზეთებსა და წარმოებებში.

3) ობლიგაციის ნომრების მიმაგრება კოლექტიურ ხელისმომწერის ყოველ თანაწილეზე.

ე) ადმინისტრაციის წინაშე საკითხის აღძრა ინდუსტრიალიზაციის სესხზე ხელმოწერილ მუშა-მოსამსახურეთა ხელფასიდან სათანადო თანხის დაჭერის შესახებ და აგრეთვე ნაყიდ ობლიგაციებზე ანგარიშის გამომუშავება სახელმწიფო ბანკთან, ფინ-ორგანოებთან და შრომის შემნახველ სალაროებთან.

ამიერ-კავკასიის რკინისგზელთა საგზაო პროფკავშირს იმედი აქვს, რომ ჩვენი პროფმუშაკები საკმაო ყურადღებას მიაქცევენ ინდუსტრიალიზაციის სესხს, რომლის წარმატებითი რეალიზაცია მოგვცემს ახალ საშუალებებს, გაზრდის ქვეყნის საწარმოო ძალებს, გააფართოვებს ჩვენი მრეწველობის ქსელს და გაზრდის მუშების რიგებს.

ა.-კ. რკინისგზელთა საგზაო პროფკავშირი.

სესხის ქრონიკა

ამხ დოგადოვის დეპეშა

საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოდან ამხ. დოგადოვის ხელმოწერით თბილისში მიღებულია დეპეშა, რომლითაც ყველა პროფორგანოებს წინადადება ეძლევათ მიიღონ აქტიური მონაწილეობა ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციაში და კოლექტიურ ხელის მოწერის გზით ჩააბან ამ საქმეში პროფკავშირთა მასა სრული ასი პროც.

ინდივიდუალური ხელისმოწერა

გუშინ სახელმწიფო ბანკის ამიერ-კავკასიის საოლქო კანტორამ გახსნა ინდივიდუალური ხელის მოწერა ინდუსტრიალიზაციის სესხზე.

ინდივიდუალური ხელის მოწერით ობლიგაციების საფასური გადახდილ იქნება ნაწილობრივი თანხის ორი შეტანაზე გადახდით. თანხის უკანასკნელ ნაწილის გადახდის ვადათ დაწესებულია 1928 წლის 31 იანვარი.

საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის

თავის დაცვა ქიმიურ თავდასხმისაგან

ცხადია ფრონტზე მყოფ ჩვენ ჯარს ექნება საკმაო იარაღი თავის დასაცავად და ეცოდინება სათანადო წესი და ხერხი თავდაცვისა. აქ საინტერესოა გამოვარკვიოთ ის თუ როგორ იმოქმედებს მოწინააღმდეგე ჩვენ ზურგში, რა მიზანს დაისახავს იგი ქიმიურ თავდასხმით. რასაკვირველია, მტრის მიზანი იქნება არა მარტო ის, რომ ამოხოცოს მცხოვრებლები, ან დაარბიოს ფაბრიკა-ქარხნები, საწყობები და სხვა. ამ მიზანს იგი გაცილებით უფრო ადვილად მიაღწევს, თუ დააყრის ჩვენ ზურგს ასაფეთქებელ აერო-ყუმბარებს. აეროქიმიური თავდასხმისას მტერი შეეცდება თავზარი დასცეს მცხოვრებლებს, შექმნას პანიკა, ანარქია, რომ დაშალოს ან ხელი შეუშალოს იმ დიდ და რთულ ორგანიზაციას, რომელსაც ჩვენ ზურგს ვეძახით და რომლის მონაწილეც თითქმის მთელი მოსახლეობაა.

ამისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოსახლეობისათვის იმას, რომ ის გაეცნოს, როგორც ქიმიურ თავდასხმის, ისე მოგერიების წესებს და ხერხს, რომ მომავალში საკადრისათ დახვდეს მტერს.

რაში გამოიხატება ქიმიურ თავდასხმის ხერხი და წესები?

ქიმიურ თავდასხმის იდეა მეტად უბრალოა. საჭიროა იმ უბნის ჰაერი, სადაც მოწინააღმდეგე გვგულება, გაჟღენთო მოწამლული ნივთიერებით, რომელიც ან შესუნთქვით შედის ადამიანის ფილტვებში ან მოედება გარედან ადამიანის ტანისამოსს და კანს, როდესაც ქიმიური ნივთიერება გაზისმაგვარია, იგი ემორჩილება ე.-წ. დიფუზიის კანონს, რომლის ძალით ერთი გაზი ვრცელდება მეორეში, როგორც სიცარიელეში.

ამის გამო ასეთი ნივთიერება სწრაფად გაჟღენთს ხოლმე ჰაერს, თუმცა ამავე კანონის ძალით იგი სწრაფად ჰკარგავს ე. წ. კონცენტრაციას, თუ ქიმიურ ნივთიერება მაგარია ან სითხის მაგვარი, იგი იხმარება მტვრის ან პატარა წვეთების სახით. ამ შემთხვევაში მათი მოქმედება ჰაერში უფრო რთულია, მაგრამ ჩვენთვის საკმარისია ვიცოდეთ, თუმცა მათი ნაწილები იმდენად პატარაა, რომ განსაზღვრულ ხანს შეუძლიანთ ჰაერში ყოფნა, მაგრამ მაინც ისეთი სიმძიმე აქვთ, რომ მიწა, ყველასათვის ცნობილ კანონის ძალით, იზიდავს მათ თავისაკენ. აი, ამის გამო ისინი ეშვებიან დაბლა და მოედებიან ხოლმე ყველა საგანს, რომელიც გზაში დახვდებათ, ადამიანის სხეულია ეს, სხვა რამე საგანი თუ თვით დედამიწა.

იმისათვის, რომ უბნის ჰაერი, სადაც მოწინააღმდეგე გვეგულება, გავჟღენთოთ მომწამლავ ნივთიერებით, არსებობს სხვადასხვა ხერხი.

პირველი—არის ეგრედწოდებული აერობალონების მეთოდი. იდეა ამ მეთოდისა იმაში მდგომარეობს, რომ სარგებლობენ ქარის ქროლვის მიმართულებით.

თუ ქარი ჩვენიდან მოწინააღმდეგის მიმართულებით ჰქრის, სათანადო საწყობებიდან—ფოლადის ბალონებიდან რომ მომწამლავი აირი გაუშვათ, ქარი მას მოწინააღმდეგისაკენ წაიღებს და აიძულებს მას ისუნთქოს მოწამლული ჰაერით. ადვილი მისახვედრია, რომ ამ მეთოდს აქვს დიდი ნაკლი. ჯერ ერთი უნდა უცადო, როდის დაჰქროლავს ქარი მოწინააღმდეგის მიმართულებით და მერე კიდევ ასეთი შემთხვევა კიდევაც შეარჩიოთ, ძალიან შესაძლებელია, რომ, ვიდრე მომწამლავი აირი მოწინააღმდეგემდე მივა, ქარმა პირი იცვალოს და ჩვენსკენ დაჰქროლოს და ჩვენვე ჩაგვაგდოს გაჭირვებაში. ამის გარდა ქარი უნდა იყოს განსაზღვრული სიძლიერისაც რადგან მეტად სუსტი ქარი ვერ მიიტანს მას მოწინააღმდეგემდე, მეტად ძლიერი კი ისე გაჰფანტავს გაზს, რომ მომწამლავი ნივთიერება დაჰკარგავს თავის სიძლიერეს.

არის სხვა ხერხიც, როგორც გაზის ბალონების ტყორცნა გაზმფრქვევით, გაზის ყუმბარების სროლა ზარბაზნების ან ავიაციის საშუალებით და უშუალოდ აეროპლანიდან მომწამლავ ბოლის გამოშვება. მართალია, ქიმიურ თავდასხმის უკანასკნელი მეთოდები ნაკლებად არიან დამოკიდებულნი ქარის [illegible] მიმართულებისაგან, მაგრამ [illegible] მეტად რთული და ძნელი საქმეა, მეტადრე აეროპლანიდან.

ამის გარდა უნდა გვახსოვდეს ერთი რამ: რომ მოაღწიოს კიდეც ჩვენამდე მოწინააღმდეგის მიერ გამოშვებულმა მომწამლელმა ნივთიერებამ, შესაძლებელია მან მაინც ვერ გამოიჩინოს თავისი მავნე თვისება სხვადასხვა ატმოსფერულ მოვლენების მეოხებით, მაგალითად, თუ ძალიან დიდი წვიმაა და სხვა.

ამრიგად ჩვენ ვხედავთ ნივთიერებამ მეტად რთული და ძნელი გზა უნდა გამოიაროს, რომ მიაღწიოს ადამიანის სხეულამდე.

ამის გარდა ჩვენა გვაქვს სხვადასხვა იარაღი და ხერხი თავდაცვისათვის, რომელნიც დააბრკოლებენ მოწინააღმდეგის მიერ გამოსროლილ მომწამლავ ნივთიერების შეჭრას ჩვენ სხეულში.

თავდაცვის იარაღი ორგვარია ინდივიდუალური ე. ი. ისეთი, რომელიც მარტო ერთ პიროვნებას იცავს და კოლექტიური, რომელიც იცავს კოლექტივს—რამოდენიმე პირს.

ინდივიდუალურ თავდაცვის საუკეთესო იარაღად მიჩნეულია გაზის საწინააღმდეგო ნიღაბი.

იმისათვის, რომ ადამიანი არ მოიწამლოს ქიმიურ ნივთიერებით გაჟღენთილ ჰაერით, საჭიროა რაიმე საშუალებით ამ ჰაერის გაწმენდა მომწამლავ ნივთიერებისაგან, რომ ფილტვებმა ისუნთქონ სუფთა ჰაერით. სწორედ ასეთი საშუალებათ არის მიჩნეული ნიღაბი, რომელიც შესდგება ორი ნაწილისაგან. პირველი თვით რეზინის ნიღაბი, რომელიც გერმეტიულად ჰფარავს ადამიანის სახეს და მეორე - ჰაერის გამწმენდი ყუთი. რეზინის ნიღაბს აქვს სათვალეები და ხვრელი, რომელსაც გერმეტიულად მიმაგრებული აქვს სპეციალური ყუთი. ამ ყუთს ორი გახსნილი თავი აქვს. ერთი თავით იგი მიმაგრებულია ნიღაბზე და მეორე გარეთ ჰაერშია. ამ ყუთის შუაში ჩაყრილია საგანგებოდ შემუშავებული ხის ნახშირი და, რომ უკანასკნელი არ დაიბნას, ორივე გახსნილ თავებზე პატარა ბადეები აქვს გამართული. აქ უნდა გავიხსენოთ ხის ნახშირის ერთი თვისება როგორც ყველამ ვიცით ხის ნახშირი ისეთია, რომ მასში ადვილად გადის ჰაერი, მაგრამ განსაზღვრულ კანონის ძალით, რომელსაც მეცნიერები ადსორბციას უწოდებენ, იგი იზიდავს თავის ზედაპირით ქიმიურ ნივთიერების ნაწილაკებს ისე, როგორც, ვსთქვათ, მაგნიტი რკინის ნახერხს ან სხვა პატარა რკინის ნაწილებს. ყუთის ჰაერში მყოფ გახსნილი თავის მომწამლავ ნივთიერებით გაჟღენთილი ჰაერი შედის ყუთში. აქ ნახშირის ზედაპირი იზიდავს მომწამლავ ნივთიერებას გაწმენდილი ჰაერი კი ნახშირის ფოროებით (поры) და ნიღაბზე მიმაგრებულ გახსნილ თავით შედის ნიღაბში, სადაც ადამიანი სუნთქავს უკვე სუფთა ჰაერით. ადვილი მისახვედრია, რომ თუ გაზის საწინააღმდეგო ნიღაბი ბევრი ხანი იმყოფება მოწამლულ ჰაერში, ხის ნახშირი მომწამლელ ნივთიერების იმდენ ნაწილაკებს მიიზიდავს, რომ ბოლოს უკანასკნელი ამოავსებს ნახშირის ფოროებს. მაშინ ჰაერიც ვერ გაივლის მის ფოროებში. აი რატომ არის, რომ გაზის საწინააღმდეგო ნიღაბი ადამიანს მხოლოდ რამოდენიმე საათი ემსახურება, რადგანაც 7—8 საათის სამსახურის შემდეგ ნახშირის ფოროების ამოვსების გამო ხშუდება სუფთა ჰაერის დენა და, რასაკვირველია, ადამიანს აღარ შეუძლიან ნიღაბში დარჩენა. ნიღაბის მოხმარება არც ისე ძნელი საქმეა, მაგრამ საჭიროებს ერთგვარ დახელოვნებას. საჭიროა წინასწარი ვარჯიში, რომ ადამიანმა შეითვისოს ნიღაბის დროულად და სწორედ მოხმარება.

კოლექტიურ თავდაცვის საუკეთესო საშუალებად უნდა ჩაითვალოს თავშესაფარი. პრინციპი მისი აგებისა იგივეა, რაც გაზის საწინააღმდეგო ნიღაბისა. გაზის თავშესაფარი (газоубежище) საგანგებოდ მოწყობილი შენობაა სადაც ჰაერი შედის გაზის საწინააღმდეგო ყუთით, რომელიც, როგორც ნიღაბის ყუთი, გავსებულია დამუშავებულ ხის ნახშირით. ჰაერის შესასუნთქავათ დადგმულია ვენტილიატორი, რომელიც ადამიანის გულის ყაფაზის (грудная клетка) როლსა თამაშობს. კარებიც ისეა მოწყობილი, რომ გარედან მოწამლული ჰაერი [illegible]ში ვერ შევა.

ამის გარდა არსებობს სხვადასხვა გვარი ქიმიური ნივთიერებანი, რომელიც მომწამლელ ნივთიერებებთან შეერთებისას (რეაქცია) უკარგავენ მას მავნე თვისებებს, როგორც მაგალითად კირი და სხვა, მაგრამ ამაზე შემდეგ.

არის კიდევ სხვა სახეობანი ქიმიურ თავდაცვისა, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მოსახლეობის დროზე გაფრთხილება ქიმიურ თავდასხმისას, მომწამლელ ნივთიერებისაგან დაზიანებულთა დახმარების ორგანიზაცია, ადგილის გაწმენდა მომწამვლელ ნივთიერებისაგან ერთ პიროვნებას არ შეუძლია. ქიმიური თავდაცვა ძალუძს მხოლოდ კოლექტივს. ამის გარდა საჭიროა ყველა ცალკე პიროვნების მომზადება მომავალ თავდაცვისათვის ქიმიურ თავდასხმისაგან.

ამისათვის კი ერთად ერთი სწორი გზაა, ყველა შეგნებული მოქალაქე შევიდეს თავდაცვაავიაქიმის საზოგადოებაში წევრად, იქ გაიცნობს იგი ყველა თავდაცვის იარაღს და შექმნის მტკიცე კოლექტივს-ორგანიზაციას, რომლისათვისაც საშიშარი არ იქნება არავითარი მტერი.

ლევ. გარსიაშვილი.

შვებული წითელ არმიელნი სოფლად

1903 წელში დაბადებული წითელ არმიელები უკვე გამოეშვიდობენ ყაზარმას და გაემგზავრენ სოფლად. წითელმა ყაზარმამ პირნათლად მოიხადა ვალი მათ წინაშე: აღჭურვა ისინი ისეთი ცოდნით, რომელიც საჭიროა მებრძოლისათვის და მოქალაქისათვის.

ეხლა ჩვენი ვალია სარგებლიანად გამოვიყენოთ შვებული წით. არმ. მიერ ყაზარმაში მიღებული ცოდნა და გამოცდილება. აქ არ უნდა განმეორდეს გასულ წლების შეცდომები. იყო მრავალი შემთხვევა, როდესაც შვებული უკან ბრუნდებოდა ქალაქად, რადგან მას ვერ ეპოვნა სათანადო სამუშაო სოფლად, მაშინ, როდესაც ყოველი ახალი ძალა ძვირფასია სოფლისათვის. ეს მოწმობს იმას, რომ ჩვენმა სოფელმა ვერ გამოიყენა სათანადოთ შვებულის ცოდნა, გვერდი აუხვია მას, ვერ დააფასა იგი.

ყოველ შვებული წითელ არმიელი მიდის სოფლად იმ მიზნით, რომ მოეხმაროს სოფელს თავისი ძალ-ღონე. და აი ეს სურვილი არ უნდა ჩაუხშოთ მათ, არამედ უნდა მივსცეთ მას ფართო გასაქანი.

ვინ უნდა ითავოს შვებულთა გამოყენება სოფლად? ვისი ვალია მათი მოწყობა სამუშაოზე? უეჭველია ეს საკითხები მოგვარებულ უნდა იქნეს სოფლის პარტუჯრედების და ადგილობრივ აღმასკომების მიერ. წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა შვებულთა შესახვედრათ უნდა ჩატარდეს ამ ორგანიზაციების მიერ განსაზღვრულ გეგმით, გამორკვეულ და აღნუსხულ უნდა იქნეს, თუ რომელი მხარე პარტიულ, კომკავშირის, საბჭოთა სამეურნეო და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას საჭიროებს ახალ ძალებს და შეიძლება შევსებულ იქნეს შვებულთა მიერ.

შვებულელ არმიელთა მისვლის შემდეგ სოფლად მოწვეულ უნდა იქნეს მათი კრება, სადაც უნდა მოხდეს მათი გაცნობა, გამორკვეული უნდა იქნეს ყოველი შვებულის მდგომარეობა და მათი სურვილი, თუ ვის სადა სურს მუშაობა.

ამ მუშაობის ჩატარების შემდეგ, ყოველ სოფელს ექნება ნათელი სურათი იმისა, თუ რას წარმოადგენენ შვებულნი და რომელ დარგში შეიძლება მათი მაქსიმალურად გამოყენება. და თუ ასე მოუდექით ჩვენ საკითხს, მაშინ არც ერთი შვებული არ დარჩება უმუშევრათ, არ მიანებებს თავს სოფელს და არ წავა მუშაობის საძებნელად ქალაქისკენ.

მუშაობის დროსაც საჭიროა თვალყურის დევნება, რომ შვებულმა კარგათ შეასრულოს სამუშაო, მივსცეთ მას დარიგება და დავეხმაროთ სიძნელეთა გადალახვაში. ამისათვის კი უნდა დამყარდეს მათთან მჭიდრო ამხანაგური კავშირი.

შვებული წითელ არმიელნი წარმოადგენენ დიდ პოლიტიკურ და კულტურულ ძალას, და, ვიმეორებთ, ისინი სავსებით გამოყენებულ უნდა იქნენ ჩვენი სოფლის მიერ.

მ. ხუციშვილი.

სახელგამის სამხედრო ლიტერატურის შესახებ

„კომუნისტის“ № 215-ში დაბეჭდილია პატარა წერილი ლ. ც.—ისა სათაურით—„სამხედრო ლიტერატურა.“ ავტორი სხვათა შორის ამბობს:

„სახელგამს აქვს გამოცემული რამოდენიმე სამხედრო პოპულიარული ბროშიურა, მხოლოდ ბროშიურებში ბევრი რამ არ შეეფერება თანამედროვე სამხედრო მეცნიერების და ტეხნიკის მოთხოვნილებებს. ამ გამოცემებს ალბად შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა, რადგანაც ისინი არ არიან გასინჯული კავკასიის არმიის შტაბის მიერ და გატარებულნი სამხედრო გამომცემლობის რედაქციაში“.

უპირველესად ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელგამმა გამოსცა არა რამოდენიმე, არამედ ოცდა ხუთი ბროშურა. გარდა ამისა, სტამბაშია და მალე გამოვა კიდევ ოცდა ხუთი სამხედრო წიგნაკი, ხოლო დასაბეჭდად მზადდება (ითარგმნება) თორმეტი (12) ბროშიურა.

აქედან ცხადია, რომ სახელგამის გამოცემებს არ შეიძლება შემთხვევითი ხასიათი ჰქონდეს, როგორც ამას შენიშნავს ავტორი. რაც შეეხება წიგნაკების შინაარსს, ამ საგანზე ავტორი, ჩანს, „ზეპირად“ ლაპარაკობს.

სახელგამის მიერ გამოშვებული სამხედრო ლიტერატურა წარმოადგენს, ორიოდეს გარდა, რ. ს. ს. ფ. რ. სახელმწიფო გამომცემლობის „ბიბლიოთეკა კრასნოარმეიცა“-ს სახელწოდებით გამოცემული წიგნების (სამხედრო ლიტერატურის განყოფილება) თარგმანს. გარდა ამისა, სახელგამი სცემს ხსენებულ წიგნაკებს ქართული მეორე დივიზიის შტაბის დავალებითა და შერჩევით, რომელთანაც ამ საგანზე განსაკუთრებული ხელშეკრულება აქვს დადებული, ყველაფერი ეს საკმაო გარანტიას იძლევა, რომ ჩვენ მიერ გამოშვებული წიგნაკები სავსებით შეეფერება შინაარსით თავის დანიშნულებას—ფართო მასებში სამხედრო ცოდნის გავრცელებას.

სახელგამის გამგე **გ. ბიბინეიშვილი**

სამხედრო ქრონიკა

მანევრები

28 სექტემბერს დაიწყო მეორე ქართ. მსრ. დივიზიის ნაწილების მანევრები გორის მაზრაში.

უმაღლესი წვევამდე მზადება

სამხედრო-რევ. საბჭოს დადგენილებით მიმდინარე წელს უმაღლესი წვევამდე მზადება ჩატარებულ იქნება საბჭოთა კავშირის 131 უმაღლეს სასწავლებელში. წვევამდე მზადების ჩატარება დავალებული აქვს სამხედრო სასწავლებლების მმართველობას. მზადების გავლა სავალდებულოა ყველა მსმენელებისათვის. სტუდენტებისათვის დაწესებულია ორთვიანი საბანაკო შეკრება. ყოველი სასწავლებელი მიმაგრებულ იქნება სპეციალობის მიხედვით ნაწილზე.

გრძელვადიან შვებულებაში

კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის ნაწილებიდან დაიწყო სამსახურ გათავებულ წითელ არმიელთა [illegible] გრძელვადიან შვებულებაში [illegible]. პირველი ეშელონი გაემგზავრა 26 სექტემბერს. თბილისის სადგურზე შვებულთათვის მოწყობილია საგიტაციო პუნქტი და იაფ-ფასიანი სასადილო.

მზადება ოქტომბრის დღესასწაულისათვის

წითელი ჯარის ნაწილებში მიმდინარეობს გაცხოველებული მზადება ოქტომბრის 10 წლის თავისათვის. ყველა ნაწილებში შექმნილია დღესასწაულის ჩამტარებელი კომისიები. განზრახულია მოეწყოს გამოფენა, რომელიც იქნება არმიის მიღწევების მაჩვენებელი ათი წლის განმავლობაში.

ახალწვეულთა შესახვედრათ

არმიის ნაწილებში მოკლე ხანში დამთავრდება მზადება ახალწვეულ არმიელთა შესახვედრათ. ახალწვეულნი პირველ ხანებში მოთავსებულ იქნებიან კარანტინში, სადაც იწარმოებს საუბრები ყაზარმის ცხოვრების პირობების გასაცნობად.

პარტიული ცხოვრება

მომჭირნეობის რეჟიმის კამპანია

მოსკოვი, 28 სექტემბერი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკამ მოისმინა მოხსენება პარტიის მასიური მუშაობის შემოწმების შესახებ მომჭირნეობის რეჟიმის აგიტაციის გაუმჯობესების დარგში; ცეკა მოხსენების გამო მიღებულ დადგენილებაში აღნიშნავს, რომ კამპანია მომჭირნეობის რეჟიმის გატარებისათვის პირველყოვლისა უნდა შეეხოს სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის, მრეწველობის, სახელმწიფო ვაჭრობის და კოოპერაციის მმართველ ორგანოების გაიაფებას და რაციონალიზაციას. ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის აგვისტოს პლენუმმა მომჭირნეობის რეჟიმისათვის ბრძოლის დარგში პარტიას კონკრეტიულ ამოცანად დაუსახა მომავალ სამეურნეო წლისთვის ადმინისტრატიულ - სამმართველო ხარჯების შემცირება 20 პროცენტით 1926—27 წელთან შედარებით. ამასთან დაკავშირებით, ცეკა წინადადებას იძლევა: ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ზომები მიიღოს სახელმწიფო, სამეურნეო და კოოპერატიული აპარატების გაიაფების და რაციონალიზაციის ამოცანის გარშემო ფართო მასიური მუშაობის გასაჩაღებლად მათ უნდა შეამოწმონ, რამდენად ასრულებენ საბჭოთა უჯრედები მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს ბიუროკრატიზმთან, უყაირათობასთან და სახელმწიფო აპარატის სხვა ნაკლოვანებებთან ბრძოლის საქმეში, შეამოწმონ სახელმწიფო დაწესებულებების, სამეურნეო ორგანოების და კოოპერაციის მუშაკთა შემადგენლობა იმ მხრივ, თუ რამდენად ატარებენ ცხოვრებაში ეს მუშაკები პარტიის გადაწყვეტილებებს მომჭირნეობის რეჟიმისათვის ბრძოლის დარგში; პრესამ მთელი ყურადღება უნდა მიაქციოს სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის წინააღმდეგობასთან ბრძოლას მომჭირნეობის რეჟიმის გატარების საქმეში. ადმინისტრაციის, უჯრედის და პროფორგანიზაციის მუშაობის კრიტიკა უფრო კონკრეტიული უნდა გახდეს; საჭიროა უფრო ფართოდ იქნეს გაშუქებული რეალური მიღწევები, ხოლო ამასთანავე გამომჟღავნებული იქნეს ყალბი ცნობები კამპანიის შედეგების შესახებ. სოფლად კამპანიის გაძლიერების მიზნით, საჭიროა გლეხურ და კომკავშირულ პრესის ფართოდ გამოყენება მომჭირნეობის რეჟიმის ამოცანების განსამარტივებლად და ამ მუშაობაში გლეხკორების ჩაბმა (ადს).

საარჩევნო კამპანია თბ. მაზრის ორგანიზაციებში

თბილისის მაზრის თემების პარტორგანიზაციებში აწ. ჟამად მიმდინარეობს უჯრედების და ბიუროების და თემკომების გადარჩევის კამპანია. გადარჩევა რამოდენიმე თემში უკვე ჩატარდა.

თბილისის კომიტეტის ცირკულიარის თანახმად თემკომების მიერ ჩატარებულ იქნა წინასწარი მუშაობა საგადარჩევო კამპანიის მოსამზადებლად. მოწვეულ იქნა თემკომების პლენუმები, რომელზედაც გამომუშავდა კამპანიის ჩატარების გეგმა.

გადარჩევები უკვე ჩატარდა მანგლისის, საგარეჯოს, ერწოს და გომბორის თემებში.

გადარჩევები წარსულ წელთან შედარებით მიმდინარეობდა ცოცხლათ და პარტამხანაგები იჩენდენ მეტ აქტივობას და დაბეჯითებით იხილავდნენ დღის წესრიგის საკითხებს და მსჯელობდნენ სოფლის საჭირ-ბოროტო საკითხებზე.

უჯრედების კრებებზე ისმოდა შემდეგი საკითხები: კ. პ. უჯრედის ბიუროს მუშაობის ანგარიში, ა. ლ. კ. კ. თანამოხსენება და უჯრედის ბიუროს არჩევნები.

უჯრედების მუშაობას ემჩნეოდა გაუმჯობესება: გაიზარდა უჯრედების წევრების აქტივობა, უჯრედები არჩევენ სოფლის მოსახლეობისათვის ყველა საყურადღებო საკითხებს, როგორიც არის, კოოპერატიული მშენებლობა, კულტურულ განმანათლებელი მუშაობის გაფართოვება. სოფლის კეთილ-მოწყობა, ღარიბესი გლეხობის შეკავშირება და მისთვის დახმარების გაწევა და სხვა.

ავადმყოფურ მოვლენებს პარტ-ამხანაგებში როგორიც არის ინტრიგა, კინკლაობა, ლოთობა, უდისციპლინობა თანდათან ბოლო ელება და ორგანიზაციის მდგომარეობა ჯანსაღდება.

უნდა აღინიშნოს თბილისის მაზრის უჯრედების წევრების პოლიტ-მომზადების დაბალი დონე, რომელზედაც შეაჩერა თავისი ყურადღება უჯრედების კრებამ და რომელსაც უნდა მიექცეს ხელმძღვანელ პარტორგანოების განსაკუთრებული ყურადღება.

ზემოაღნიშნულ თემორგანიზაციების კონფერენციები საკმაო შინაარსიანად ჩატარდა.

კონფერენციებზე, სხვათაშორის ისმებოდა საკითხი შინა-პარტიული მდგომარეობის შესახებ.. კონფერენციებმა ერთსულოვნად დაჰგმო ოპოზიციის ერთობ მავნე, პარტიის სიმტკიცის დამრღვევი მუშაობა. ოპოზიციონურ გამოსვლას ან განწყობილებას ადგილი არ ჰქონდა და სათემო კონფერენციები ურყევლად სდგანან პარტიის სწორ, ლენინურ ხაზის დაბეჯითებით გატარების ნიადაგზე.

თემკომების კონფერენციებმა დაადასტურეს თემის საზოგადოებრივი ორგანიზაციებზე პარტ-ხელმძღვანელობის გაძლიერება წარსულ წელთან შედარებით, რაც წარმატებით ემჩნეოდა სოფლის აღმშენებლობის ყველა დარგებს.

ასეთია მოკლედ საგადარჩევო კამპანიის მიმდინარეობის მდგომარეობა თბილისის მაზრის ორგანიზაციაში. გადარჩევების სრული შეჯამება მოხდება ამ დღეებში.

შ. პატარაია.—

ქალთა შორის მუშაობა გარე-კახეთში

საგარეჯოს თემში ჩამოყალიბებულია ორი სადელეგატო პუნქტი, ერთი თვით საგარეჯოში და ერთიც ს. ნინოწმინდაში. დელეგატ - ქალთა რიცხვი 87 უდრის. მათი უმეტესი ნაწილი შესდგება ღარიბ - გლეხობისაგან. საზაფხულო პერიოდში მუშაობა ინტენსიურად სწარმოებდა რის გამოც პროგრამები გავლილი იქნა მთლიანად. ჩატარდა 5-ჯერ დელეგატ - ქალთა გაფართოებული კრებები, რომელზედაც სხვა საკითხებთან ერთად გაირჩა: მიწის სყიდვა-გაყიდვის, შვილად აყვანის, ქორწინება - განქორწინების და სხვადასხვა მნიშვნელობის საკითხები. დელეგატი/ქალები ჩაბმული არიან სხვადა სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. ამას გარდა საგარეჯოს სამკითხველოში ტარდება საუბრები ლიტერატურულ და პოლიტიკურ თემებზე.

ამასთანავე აღსანიშნავია შემდეგი დეფექტიც, პირველი ის, რომ პარტიული უჯრედები ვერ აწარმოებენ საქმიან და ყოველდღიურ ხელმძღვანელობას სადელეგატო კრებებზე. პარტიის და ა. ლ. კ. კ. რიგებში ქალების ძლიერ მცირე პროცენტია ჩაბმული. გარდა ამისა სუსტია მუშაობა ამ მხრივ მანავის თემში. ასევე საგარეჯოს თემში შემავალ ზოგიერთ სოფლებშიც. მომავალში მუშაობა უფრო ფართოდ უნდა გავშალოთ. ახლად არჩეულმა დელეგატებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ქვეყნის თავდაცვა გასამხედროების და მორიგ ამოცანების გადაჭრის დარგში. უნდა ჩავაბათ ქალების საკმაო პროცენტი პარტიის და კომკავშირის რიგებშიც.

გიგა.

დელეგატ-ქალთა გადარჩევა

ზუგდიდი

20 სექტემბერს ქ. ზუგდიდში ქალთა განყოფილების ინიციატივით მოხდა დელეგატ - ქალების ხელახალი არჩევნები.

კრებაზე პირველად მოხსენება გააკეთა დელეგატ-ქალმა წარსული მუშაობის შესახებ. ამის შემდეგ სადელეგატო კრების მნიშვნელობის შესახებ ვრცელი მოხსენება წაიკითხა ქალთა განყოფილების გამგემ ამხ. **მახარაძემ**. მოხსენებამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია კრებაზე დამსწრეთა შორის. მომხსენებელს მისცეს მრავალი შეკითხვები, რაზედაც ამხ. მახარაძემ გასცა დამაკმაყოფილებელი პასუხი.

შემდეგ კრება შეუდგა დელეგატების არჩევნებს. არჩეულ იქნა 40 დელეგატი-ქალი.

20 სექტემბერს ჩატარებულმა ქალთა კრებამ დაგვანახვა, რომ ქალები დაინტერესებული არიან საზოგადოებრივ ასპარეზზე საქმიანობით. ისტორიას ჩაბარდა ის დრო, როდესაც ქალებს ეთაკილებოდათ კრებებზე დასწრება და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობაში მონაწილეობის მიღება.

უსურვებთ ახლად არჩეულ დელეგატ-ქალებს ენერგიულ მუშაობას მშრომელთა საკეთილდღეოთ.

თ. გვახალია.

ავირჩიეთ ახალი ბიურო

ბორჯომი

ბორჯომის გაზის და მჟავე წყლების ჩამომსხმელ ქარხნის კომუჯრედის ბიუროს გადარჩევა მოხდა 10 სექტემბერს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი კომუჯრედი ახალი დაარსებულია, მას ამ მოკლე ხნის განმავლობაში მაინც საგრძნობი მიღწევები აქვს.

კომუჯრედი დიდ ყურადღებას აქცევდა წარმოების რაციონალიზაციის და შრომის ნაყოფიერების აწევის საკითხებს და შესახებ შედეგებსაც მიაღწია.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ნაკლები ხელმძღვანელობა არსებობდა ა. ლ. კ. კ-ს უჯრედზე, რაც უნდა მიეწეროს სამუშაოდ გამოყოფილ ამხანაგების უმოქმედობას.

კომუჯრედის მუშაობის ნაკლად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ქალთა შორის მუშაობის სისუსტე, მიუხედავად იმისა, რომ ქარხანაში მუშაობს 20-მდე ქალ, ჯერაც არ არის ჩამოყალიბებული ქალთა კოლექტივი.

ამ ხნის განმავლობაში სუსტი იყო კულტურული მუშაობაც.

ახლად არჩეულმა ბიურომ, თავის სამოქმედო გეგმაში შეიტანა როგორც კომკავშირზე ხელმძღვანელობის გაძლიერება, ისე ქალთა შორის მუშაობის გაცხოველება. დიდი ყურადღება მიექცევა აგრეთვე საზამთრო პერიოდში მუშებს შორის კულტმუშაობას.

მემანქანე პაჭ—შვილი.

კომკავშირში

თვითმფრინავი „ამ.- კავკ. კომკავშირელი“

(როგორ ტარდება კამპანია მაზრებში)

საქ. ა. ლ. კ. კ' ცეკას დადგენილებით, კარგა ხანია, რაც საქართველოს ორგანიზაცია შეუდგა თვითმფრინავ „ამ.-კავკ. კომკავშირელის“ ასაგებ ფონდის შეგროვებას. ამ მიზნით საქ. კომკავშირის ცეკამ გაანაწილა მაზრებზე შესაგროვებელი თანხების რაოდენობა.

როგორც მიღებულ ცნობიდან ჩანს ადგილებზე ჩვენი ორგანიზაციები ამ მიმართულებით დიდ მუშაობას აწარმოებენ. თანხების შეგროვებისათვის იმართება საღამო-წარმოდგენები და ეწყობა თავისუფალი შემოწირულებანი. ამავე დროს ტარდება მოხსენებები კომკავშირელების და მოსახლეობის გასამხედროების შესახებ, ქვეყნის თავდაცვის საკითხებთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ ამ კამპანიამ კომკავშირის მასაში დიდი გამოძახილი ჰპოვა მაგ. ქ. თელავში ამასწინედ მოწყობილ იქნა საღამო-წარმოდგენა, რომელსაც მრავლად დაესწრნენ კომკავშირელების გარდა უპარტიო მასებიც. წარმოდგენიდან შემოსავალი იყო 119 მანეთი.

თელავის მაზრკომს უნდა შეეგროვებინა 700 მანეთი და როგორც ირკვევა, ეს თანხა უახლოეს ხანში იქნება შეგროვილი.

საჭიროა სხვა მაზრკომებმაც მიბაძონ ამ მაგალითს.

—ვალდ.—

სოფ. ჯუნჯუათის ა. ლ. კ. კ. უჯრედში

ს. ჯუნჯუათში ა. ლ. კ. კ. უჯრედი არსებობს 1921 წლიდან ამ ხნის განმავლობაში ორგანიზაცია პარტიასთან მჭიდრო კავშირით და მის ხელმძღვანელობით ყოველ დროს იყო მოწინავე რაზმი ამ სოფლის ახალგაზრდობისათვის. ამჟამად უჯრედი აერთიანებს 40-მდე მუშა და გლეხ ახალგაზრდობას. ამას წინად უჯრედმა დაამუშავა 2 ქცევა მიწა ღარიბ წითელარმიელ ი. მშვიდობაძის სასარგებლოდ. ტრადიც. დღესასწაულის დღეს „ფერიცვალობას“ გააკეთა ადგილობრივი გზა, რომელშიაც არა ერთხელ და ორხელ მიულევია თავის ძალ ღონე გლეხებს ტალახში ჩაფლულ ურმის ამოღებაზე. გზის კოლექტიურად დამუშავების დროს კომკავშირის წევრებთან ერთად მუშაობდა უპარტიო ახალგაზრდობაც.

ამ დღეებში ორგანიზაციამ დაამუშავა საქ. კ. კ. მეორე და საქ. კ. კ. მე-5 კონფერენციის რეზოლიუციები:: კრებები იმართება სისტემატიურად სადაც ისმება ფრიად საჭირბოროტო საკითხები, როგორიცაა: მასიურ-კულტურული მუშაობა, მეურნეობაში ჩაბმა და სხვადასხვა საორგანიზაციო საკითხები.

ლენინური კომკავშირი მუდამ იყო აქტიური და იქნება მომავალშიც.

[illegible] ძრიხელი.

მესამე საგლეხო სესხი

საქართველოს ყველა გლეხთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოებებს და მათ სამაზრო კომიტეტებს

ცირკულიარულად

ჩვენი ხელისუფლების წინაშე დღეს სდგას ფრიად მნიშვნელოვანი ამოცანა: მრეწველობის და სოფლის მეურნეობის აღდგენა და განვითარება. ამ ამოცანის შესრულებისათვის სახელმწიფოს ესაჭიროება მეტად საგრძნობი თანხები. ეხლანდელი ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა გვიკარნახებს, რომ ყველა ეს თანხები გამონახული უნდა იქნეს თვით სახელმწიფოს შიგნით, ვინაიდან კაპიტალისტურ სახელმწიფოებისაგან სესხის მიღების იმედი არ უნდა ვიქონიოთ. ამიტომ უმაღლესმა საკავშირო მთავრობამ გამოუშვა მესამე საგლეხო სესხი, რომლის დანიშნულებაა დააგროვოს ყველა ის თავისუფალი თანხები, რომლებიც მოეპოვება ჩვენს გლეხობას. გლეხთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოებებს ევალებათ ყოველგვარად ხელი შეუწყონ გლეხებს შორის ამ სესხის გასაღების საქმეს, გასწიონ თავიანთ წევრებს შორის სათანადო კამპანია და აგიტაცია, აგრეთვე თვით გლეხთა კომიტეტ შეიძინონ ამ სესხის ობლიგაციები. ვიმეორებთ, ამ სესხს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. ამ სესხის საშუალებით მთავრობა შესძლებს გააუმჯობესოს სოფლის მეურნეობა, მიაწოდოს მას სხვადასხვა სახის სამეურნეო იარაღები და გაუმჯობესებული სათესლე მასალა.

ამიტომ, ამ კამპანიის სასურველათ ჩატარების საქმეში გლეხკომებმა სოფლად უნდა ითამაშონ თვალსაჩინო როლი, ისინი ამ თავიდან უნდა შეუდგენ მის გავრცელებას გლეხებს შორის. არც ერთი გლეხკომი, არც ერთი გლეხთა საზოგადოების წევრი არ უნდა დარჩეს ისე, რომ ამ კამპანიაში მონაწილეობა არ მიიღოს.

სრ. საქ. ცენტრალურ გლეხკომის თავმჯდომარე კ. ხომერიკი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

მზადება ოქტომბრის ათი წლის თავისათვის

ქუთაისი, 28 სექტემბ. ყველა პარტიული, საბჭოთა, პროფესიონალური და კოოპერატიული ორგანიზაციები ემზადებიან ოქტომბრის რევოლიუციის მეათე წლისთავის დღესასწაულისათვის. ათ წლისთავზე განზრახულია დიმიტროკითის არხის საზეიმო გახსნა ბაღდათის რაიონში, ხიდის საძირკვლის ჩადგმა: გუბ-სკოროსა (ხონის რაიონი), სვირსა, კვახჭირსა და ზემო სიმონეთში. ამავე დღეს დაიწყება მუშაობა ქუთაისის წყალსადენის ასაგებად (ადს).

ოქტომბრის ათი წლის თავის დღესასწაულისათვის

თელავი, 28 სექტემბერი. ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის დღესასწაულზე თელავში მოწყობილ იქნება სასოფლო სამეურნეო გამოფენა და საძირკველი ჩაეყრება ქალაქის სავადმყოფოს ახალ შენობას (ადს).

აფხაზეთი

სოხუმის ჭაობების ამოშრობა

სოხუმი, 28 სექტემბ. დამტკიცებულია სოხუმის ჭაობების ამოშრობის პროექტი. ამოსაშრობ სამუშაოსთვის, რომელიც ამ დღეებში დაიწყება გაცემულია 60.000 მანეთი. აფხაზეთის მდინარეების ნაპირების გასამაგრებლად გამოთხოვილია 108.000 მანეთი. ამოშრობილი იქნება 400 დესეტინა ჭაობი.

ტყვარჩელის ქვანახშირი

სოხუმი, 28 სექტემბ. არაში-ყვარაში (ტყვარჩელის ქვანახშირის რაიონი) გათხრილია ახალი მაღარო, საიდანაც ამოღებული იქნება 1500 ფუთი ნახშირი. ოჩემჩირეში უკვე თავდება ნავსადგურის აგება (ადს).

წერილები

ამხ. ა. სმირნოვი და ა. გეგეჭკორი კახეთში

რ. ს. ფ. ს. რ. მიწათ. სახ: კომისარმა ამხ: ა. სმირნოვმა და საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარმა ა. გეგეჭკორმა ამ ერთი კვირის წინად დაათვალიერეს კახეთის მევენახეობა მეღვინეობის რაიონები. დათვალიერებულ იქნა წინანდალის სახალხო მამული და ღვინის ცენტრალური საწყობი. შემდეგ კი გლეხთა ცალკე მეურნეობები წინანდალში, კონდოლში ხაშმხარში და ყურდღელაურში.

ამხ. სმირნოვმა განაცხადა, რომ აღნიშნულ რაიონებში ვენახების ეხლანდელი მდგომარეობა 1924 წელთან შედარებით (ამ წელს ამხ. სმირნოვმა პირველად მოიარა კახეთი) გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია და ეტყობა დიდი გაუმჯობესება.

ამხ. სმირნოვის და ა. გეგეჭკორის აზრით მევენახეობის საქმის უფრო ფართო ნიადაგზე დასაყენებლად საჭიროა დაარსებული იქნის მევენახე გლეხთა არტელები და ამხანაგობები, რომლებიც საერთო ძალღონით შეუდგებიან მევენახეობის საქმის წარმოებას. ამ არტელებს სასოფლო სამეურნეო სესხი უნდა მიეცეთ პირველ რიგში და აგრეთვე გაეწიოთ ყოველგვარი დახმარება, როგორც ვაზის ნერგების, ისე ვაზის ავადმყოფობის საქიმო წამლეულობის თავის დროზე მიწოდებით. აგრეთვე საჭიროა ამერიკული ვაზის სანერგეების სივრცე 350-დესეტინა გაფართოებულ იქნეს 500 დესეტინ. რაც საშუალებას მოგვცემს ადგილობრივ დამზადებული ნერგებით დავაკმაყოფილოთ გლეხების მოთხოვნილება. ვინაიდან საზღვარგარეთიდან შემოტანილი ლერწი გაცილებით ძვირი ჯდება და ამავე დროს ხარისხითაც არ არის უკეთესი ადგილობრივ დამზადებულ ამერიკულ ნერგებზე.

რ. მ.

თიანეთი

იშვიათი მოუსავლიანი წელიწადი

ჩვენი რაიონის დაახლოვებით 90 პროც. მისდევს ხვნა-თესვას, დანარჩენი 10 პროც. მთიან ნაწილებში) მისდევს მსხვილ და წვრილფეხა საქონლის მოშენებას. ხვნა-თესვის მიმდევარი მოსახლეობა წელს განიცდის უკიდურეს მდგომარეობას. თიანეთის რაიონში ხორბლეულობის მოსავალი დაზარალდა თითქმის 100 პროც. გლეხობამ თუ მოკრიფა მოსავალი მინდვრიდან მხოლოდ და მხოლოდ საქონლის საკვებად. იყო მრავალი შემთხვევები, როდესაც ყანა არ გაულეწიათ და შეინახეს თივად.

თუ რამდენად დაზარალდა ხორბლეულობა სჩანს იქიდან, რომ ერთ დესეტინაზე გლეხი გალეწვის შემდეგ ღებულობს სულ დიდი 8-10 ლიტრამდე, (3 ფ.) ჩვეულებრივ კი 4—6 ლიტრამდე, ამ მიზეზით მოსახლეობა საერთოდ და მით უმეტეს მისი ღარიბი ნაწილი, აუტანელ მდგომარეობაშია.

თუ ვისმეს მოეპოვება შარშანდელი ხორბალი, ისიც მას უპირებს დათესვას. ასე, რომ რაიონის მთელი მოსახლეობა განიცდის უპურობას.

ზემოაღნიშნულის გამო ახმეტის რაიონში (თელავის მაზრა) ხორბლის ფასები გაიზარდა ერთიორად და ისედაც გაჭირვებაში მყოფი თიანეთის რაიონის მოსახლეობა ჩავარდა უარეს მდგომარეობაში.

ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანიზაციებს მგონი აღძრული აქვთ შუამდგომლობა რაიონისათვის ხორბლით დახმარების შესახებ მთავრობის წინაშე. გლეხობა დარწმუნებულია დახმარების მიღებაში და მოუთმენლად მოელის მას.

მართლაც, შექმნილ პირობების გამო მოსახლეობა საჭიროებს სასწრაფო დახმარებას ხორბლეულობით, ანდა გრძელვადიანი სესხის მიცემით. აქედანვე უნდა იქნეს ზომები მიღებული სათესი ხორბლის მისაწოდებლად.

ალ. დოლიაშვილი.

წერილებიდან

გორას თემი, ქუთაისის მაზრა

გამოსარკვევი საკითხი

გორას თემში არსებობს საექიმო პუნქტი, რომელშიაც მუშაობენ ექიმი და ბებია-ქალი. თემის გლეხობა დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამს საექიმო საქმის კარგათ დაყენებით, მაგრამ გამოსარკვევია ერთი საკითხი: ჩვენს თემში გავრცელებულია მალარია, რომლის საწინააღმდეგოდ ექიმი ავადმყოფებს უწერს ნემსებს. როდესაც გლეხები მიდიან ნემსების გასაკეთებლად საექიმო პუნქტში ბებია-ქალი ამ ოპერაციისა მათ ახდევინებს ათ შაურს ნაცნობებს კი ექვს შაურს.

გლეხობისათვის საინტერესოა იმის გაგება, ეკუთვნის თუ არა მათ ეს გადასახადი.

ლაჟვარდოვანი.

სოფ. ყარალაჯი, გორის მაზრა

დაამთავრეთ სასკოლო შენობა

თითქმის ოთხი წელიწადია, რაც ყარალაჯში დაიწყეს სასკოლო შენობის აგება. გაიწერეს გლეხობას ფული, ყოველ წელიწადს ირჩევენ სხვადასხვა პირებს შენობის აგების დამთავრებისათვის, მაგრამ მის დასრულებას არაფერი ეშველა. ყარალაჯში მცხოვრები გლეხობა უდრის 350 კომლს, რომელთა ბავშები უსწავლელი რჩებიან.

ამჟამად შენობის აგების საქმეს ხელმძღვანელობს ამხ. მიხანაშვილი, მაგრამ ვერ იჩენს უნარს მუშაობაში. სამოსწავლო წელი კარზე გვადგია და შენობა სკოლისათვის არა გვაქვს. სკოლის შენობის კედლები აგებულია და უპატრონობით ფუჭდება.

სასოფლო საბჭომ უნდა მიიღოს ზომები შენობის დასამთავრებლად.

ე—ი.

საგარეჯო, გარე-კახეთი

რატომ არაფერს აკეთებს

მესამე წელია, რაც საგარეჯოში არსებობს ფიზკულტურის წრე, რომელსაც განსაკუთრებული ხელმძღვანელი ჰყავს დანიშნული თბილისის ფიზკულტურის ბიუროს მიერ, მაგრამ მისი არსებობა ქაღალდზეა დარჩენილი და დღემდე არავითარი მუშაობა არ სწარმოებს.

[illegible] ვიცოდეთ, როდემდის უნდა იყოს მიძინებული ფიზკულტურის წრე, ან და რაში ხარჯავენ ფულს თუ კი საზოგადოებას არაფერს არგებს?

გრიგალი.

სოფ. კოდა, თბილისის მაზრა

უპატრონოდ ნადგურდება

სოფ. კოდის ზემო უბანში არის უყურადღებოდ მიტოვებული სავენახე მამულები და აგრეთვე ნამყენი ხეხილების ბაღები, რასაც ადგილობრივ ზოგიერთი გლეხობა ჭრის და შეშათ ხმარობენ. ამჟამად ამ მამულებს პატრონი და მომვლელი არავინ ჰყავს და კოდის გლეხობას საძოვარ ადგილათ გაუხდიათ.

ამ გარემოებას ადგილობრივმა თემაღმასკომმა დროზე უნდა მიაქციოს ყურადღება და უპატრონოდ გავერანებულ მამულებს.

მ. თვარაძე.

სოფ. ხევი, ოზურგეთის მაზრა

ფერშალი არა გვყავს

ჩვენს სოფელს ჰყავდა ფერშალი, რომელიც დახმარებას უწევდა გლეხობას ავადმყოფობის დროს, მაგრამ ის წავიდა, დღეს სოფ. ხევი უფერშლოდ არის დარჩენილი და დიდ გაჭირვებას განიცდის.

ოზურგეთის ჯანმრთელობის განყოფილებამ უნდა გაგვიწიოს დახმარება ფერშლის მოსაწვევად.

გულშემატკივარი.

სოფლის ქრონიკა

— **ღვინის სარდაფი**, თელავში ეწყობა დიდი ღვინის სარდაფი, რომლის აგება დაჯდება 100.000 მან.

— **ახალი ქარხანა**, ახალციხის მაზრაში შეუდგნენ რძის ნაწარმოების დამამზადებელ ქარხნის აგებას.

— **ხეხილის ნერგები**. გოშორის სახალხო მამულმა გასასყიდათ დაამზადა 300.000 ცალი ვაშლის და მსხლის ნერგი.

— **დისპანსერი**. ოზურგეთის სამაზრო საავადმყოფოსთან პირველ ოქტომბერს გაიხსნება ვენერიული დისპანსერი.

— აგრო პუნქტი სოფ. ასპინძაში (ახალციხის მაზრა) ამ თვის ბოლოს გაიხსნება აგრო-საბეითლო პუნქტი.

— **ლაბორატორია** „საქართველოს ჩაი“ ოზურგეთში აწყობს ჩაის საცდელ ლაბორატორიას.

— **საავადმყოფო** ახალქალაქის აღმასკომმა საავადმყოფოს შესაკეთებლად გადასდო 8000 მანეთი.

— **თამბაქოს მეურნეებზე** სესხად დასარიგებლად აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა სესხად მიიღო 260.000 მან.

— **ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის** თავზე აწყურში გაიხსნება გლეხთა სახლი.

მუშათა ცხოვრება

ჩვენს მუშკორებში

გუშინ, 28 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე „კომუნისტი“-ს რედაქციის ბინაზე შესდგა ამავე გაზეთის მუშკორთა საერთო კრება.

დღის წესრიგში იყო: 1) მოხსენება ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობისა და მუშკორთა ამოცანების შესახებ, 2) მზადება ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავისთვის და მუშკორები, 3) „კომუნისტი“-ს მუშკორთა რკინის ფონდის მდგომარეობა.

პირველ საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა საქ. ფინსახკომის მოადგილემ ამხ. ი. ფანცხავამ, რომელიც ვრცლად შეეხო ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობას.

გააცნო კრებას ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციების ხელისმოწერის პირობები და აღნიშნა, რომ სესხი მოგროვილი იქნება 200.000.000, რომელიც მოხმარდება ინდუსტრიალიზაციისა და საბჭოთა აღმშენებლობის საქმეს.

დასასრულ, ამხ. მომხსენებელმა მოუწოდა ამხ. მუშკორებს, რათა მათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ ობლიგაციების გავრცელებაში.

მომხსენებელს მისცეს მრავალი შეკითხვები, რაზედაც მან დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

ამხ. ფანცხავას მოხსენების ირგვლივ კრებამ მიიღო სათანადო რეზოლიუცია.

ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავის მზადებისა და მუშკორთა ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ვასო ნანუაშვილმა, რომელიც დაწვრილებით შეეხო მუშკორის მონაწილეობას ოქტომბრისათვის მზადებაში.

მომხსენებლის თქმით, მუშკორებმა უნდა გააშუქონ პრესაში, რა მიღწევები აქვს წარმოება-დაწესებულებებს რევოლიუციის შემდეგ, როგორ გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, მათ უნდა შეადარონ, ოქტომბრის რევოლიუციამდე არსებული მდგომარეობა წარმოებაში და რევოლიუციის შემდეგ.

ეს საკითხი უნდა გაშუქდეს, აგრეთვე ადგილობრივ კედლის გაზეთებშიაც.

გაზეთ „კომუნისტი“-ს მუშკორთა წრესთან არსებული რკინის ფონდის მდგომარეობის შესახებ ილაპარაკა ამხ. ნ. იტრიევმა. ამხ. მოკლეთ შეეხო ამ საკითხს და აღნიშნა, თუ რა მდგომარეობაშია მუშკორთა რკინის ფონდი.

კრება დაიხურა, საღამოს 8 ნახ. საათზე.

მუშკორი რადიუმი.

ასე ვმუშაობთ

თბილისის საყუდში საშეფო საზოგადოება არსებობს 1925 წლიდან. პირველ წელიწადს საყუდს თავის შეფობის ქვეშ აყვანილი ჰყავდა სოფ. ქარელი. საყუდის მუშები შეძლებისდაგვარად ემსახურებოდენ აღნიშნულ სოფლის გლეხებს და აწარმოებდენ მათში მუშაობას. პირველ ყოვლისა საშეფო კომისიამ სოფელს გაუხსნა სამკითხველო, გამოუწერა სხვადასხვა გაზეთები და წიგნები და ასეთი საშუალებით ადგილობრივი გლეხები ჩააბა კულტმუშაობაში.

გარდა ამისა, საშეფო საზოგადოებამ ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად, შეაკეთა ელექტრო - მატორი და სულ მცირე ხნის განმავლობაში მოაწყო ელექტრონის სადგური. მოწყობილ იქნა აგრეთვე კლუბი.

დიდ დახმარება აღმოუჩინა საშეფო საზოგადოებამ ქარელის აღმასკომს ლენინის ძეგლის დადგმაში. სხვადასხვა დღესასწაულზე საშეფო საზოგადოებამ გადასცა გლეხებს სამი გუთანი.

1926 წლის ივლისიდან საყუდის საშეფო საზოგადოებამ თავი დაანება სოფ. ქარელს და შეფობის ქვეშ აიყვანა სოფ. ვაყა, რომელიც მდებარეობს სადგ. გომიდან სამი ვერსის მანძილზე. სოფელი კულტურულად ძალიან ჩამორჩენილი იყო. საშეფო საზოგადოებამ აქაც მოაწყო სხვადასხვა კულტდაწესებულებები. ჩაატარა სხვადასხვა კამპანიები, გამოუწერა ჟურნალ-გაზეთები და დაიქირავა სამკითხველოს გამგე, რომელსაც აძლევს ყოველთვიურად ხელფასს.

ყოველ საზეიმო დღესასწაულზე საშეფო ბიურო მიაქვს გლეხების ბავშვებისათვის რვეულები, ფანქრები და სხვა სასწავლო ხელსაწყო ნივთები. სოფ. ვაყის სასწავლებელი იყო ერთ პატარა შენობაში, სადაც ძლივს ეტეოდენ ბავშვები. საშეფო ბიუროს თაოსნობით ამჟამ. დ, სკოლა მოთავსებულია ყოფ. თავადიშვილების სახლებში, რომელიც დღემდე უსარგებლოდ იყო მიტოვებული.

საყუდის საშეფო საზოგადოებაში ირიცხება 293 წევრი. აქედან 283 მამაკაცია, ხოლო 10 ქალი. საზოგადოების მუშაობას ხელს უშლის ის გარემოება, რომ საყუდის მუშების უმრავლესობა ირიცხება ორთქლმავალთა ბრიგადებში და ყოველთვის გზაში იმყოფებიან. ამიტომ მუშებს საშუალება არა აქვთ ჩაებან საშეფო მუშაობაში. ამის გამო საწევრო გადასახადის აკრებაც ფერხდება.

მუშკორი ნინო გვრიტიშვილი.

ბუღალტერიაც ასეთი უნდა

რკინის გზის მთავარ სახელოსნოს ბუღალტერიაში ვერ არის ყველაფერი რიგზე. აქ მალიან ხშირად შეხვდებით საქმეების არევ - დარევას, გვარების შეცვლას, მუშების ჯამაგირებიდან არ არსებულ ვალების გამოქვითვას და სხ.

ამას წინად სახელოსნოში დაარიგეს ჯამაგირები. აღმოჩნდა, რომ სამჭედლო - საამქროს მუშას ამხ. თედო სუხიშვილს შეცდომით გამოუქვითეს 70 მან. სუხიშვილმა მიმართა ბუღალტერიას და მოითხოვა ანგარიშები ამ არ არსებულ ვალის გამოსარკვევად, რის შემდეგ ბუღალტერიამ შეუვსო ამხ. სუხიშვილს დანაკლისი.

ასეთივე შემთხვევა მოხდა ხუთ სხვა მუშის მიმართაც, რაც იმის დამამტკიცებელია, რომ მთ. სახელოსნოს ბუღალტერიაში ყველაფერი რიგზე არ არის.

მუშკორი გოგია მეჩონგურე.

რესპუბლიკის მილიციის მეთაურთა სკოლა

წითელი მილიცია წარმოადგენს რევოლიუციონურ კანონიერების უშუალოდ გამტარებელ ძალას. ამ კანონიერების სისწორით გასატარებლად საჭიროა მილიციის თანამშრომელთა კულტურულ - პოლიტიკური შეგნების დონის აწევა.

ამ მიზნით მილიციაში სხვადასხვა ტიპის სკოლების დაარსებით შემცირდა მოუმზადებელი მილიციელების რიცხვი. მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა ამ მხრივ მუშაობის უფრო გაღრმავება, მეტი ცოდნისა და გამოცდილების შეძენა. რათა მილიცია შეიქმნეს სავსებით საღი.

ამ საქმეში პირველი ადგილი უნდა მივაკუთვნოთ რესპუბლიკის მილიციის მეთაურთა სკოლას, რომლის დაარსებით დიდი ნაბიჯი იქნა გადადგმული რევოლიუციონური კანონიერების დაუმახინჯებლივ გატარებისათვის.

სკოლის მიზანია საქართველოს ყველა კუთხეს მისცეს სრული ნდობით აღჭურვილი და საქმისათვის მომზადებული პასუხისმგებელი მუშაკები. სკოლა მილიც. მუშ-ბს მოამზადებს როგორც სპეციალურ, ისე საერთო განათლების დარგში — სამაზრო და სარაიონო უფროსთა და სისხლის სამძებრო მუშაკთა თანამდებობაზე დასანიშნად.

წარსულ სამოსწავლო წლის თეორიულ მეცადინეობამ, ხოლო ზაფხულში პრაქტიკულ მუშაობამ თვალსაჩინოთ დაგვანახვა, რომ სკოლა შესძლებს მასზე დაკისრებულ მოვალეობის შესრულებას.

ის ხაზი, რომელიც დღეს მილიციის კულტ-განათლების დარგში ტარდება, არის ნდობისა და ავტორიტეტის მოპოების და მილიციის საბოლოოდ განმტკიცება - გაჯანსაღების საწინდარი.

საჭიროა მხოლოდ ამ საქმეს მეტი ყურადღება მიაქციონ სათანადო ორგანოებმა.

ტ.

საზეიმო საღამო

26 სექტემბერს, სწავლის ახლად დაწყების გამო, რკინის გზის მუშფაკში გაიმართა საზეიმო საღამო.

საღამო გახსნა პროფკომის თავმჯდომარემ ამხ. ვაშაკიძემ, რომელმაც მოკლეთ გააცნო დამსწრეთ მუშფაკის წარსული და ეხლანდელი მდგომარეობა.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა მუშფაკის გამგემ ამხ. ჭავჭანიძემ, რომელმაც ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ რაც დრო გადის, მუშები უფრო ეტანებიან სწავლას და ჩვენი მუშფაკის მსმენელთა რაოდენობაც ყოველ წლიურად იზრდება. ამხ. ჭავჭანიძე მოუწოდებს ახალ მსმენელებს ენერგიულად შეუდგენ სწავლას.

კომუჯრედის ბიუროს სახელით გამოვიდა ამხ. კოზაევი, რომელიც შეეხო საერთაშორისო მდგომარეობას და მუშფაკის მსმენელების მონაწილეობას საბჭოთა კავშირის თავდაცვის საქმეში.

ხოლოს მუშფაკის მსმენელთა სახელით სიტყვა სთქვა ამხ. ხელიძემ. მან დაახასიათა ის მიღწევები, რომელიც აქვს მუშფაკს დღემდე და მოუწოდა დამსწრეთ ენერგიულ მუშაობისაკენ.

დასასრულ, ადგილობრივ წრეების მიერ გაიმართა წარმოდგენა. რუსულ მომღერალთა გუნდმა შეასრულა მასწავლებელ ამხ. სიკორსკის მიერ შედგენილი მუშფაკელთა ჰიმნი. შემდეგ დადგმულ იქნა 1 მოქ. ვოდევილი „დედის ერთა“, „სიმართლე“ და ჟურნალ „ტარტაროზიდან“ ამოღებული „ცოცხალი გაზეთი“ კვინტრაძე.

საღამო საუცხოვოდ ჩატარდა.

მუშფაკელი ვაშლაძე.

საყურადღებო წვრილმანები

ნაკლი გამოასწორეთ

(წერილი ქობულეთიდან)

ქობულეთის სანატორიუმს ზაფხულობით დიდ-ძალი ავადმყოფები აწყდება, მაგრამ სანატორიუმი ისე ვერ არის მოწყობილი, რომ შეიძლებოდეს ყველა ავადმყოფების დაკმაყოფილება: საწოლები ძალიან ცოტაა. ამ ნიადაგზე ავადმყოფებს ხშირად მოსდით ერთმანეთთან ჩხუბი. ამავე დროს კი საწყობში უხმარებელი გადაუკრავი საწოლები აწყვია.

ასეთივე მდგომარეობაა ბალიშების მხრივაც; ჯერ ერთი ბალიშები ძალიან ცოტაა, მეორეც, რაც არის, ისიც უვარგისია. სანატორიუმს მოწყობილი აქვს „ვერანდა“, რომელშიც წვანან ავადმყოფები. ამ „ვერანდაში“ წვიმის დროს წყალი ჩამოდის.

გარდა ამისა სანატორიუმის ადმინისტრაცია 10 საათზე აქრობს შუქს, რაც ყოვლად დაუშვებელია.

სანატორიუმის გამგემ გამოასწოროს ეს ნაკლი.

მუშკორი ტია—ტია.

მოუმატეთ შტატი

(მუშკოოპის გამგეობის საყურადღებოდ)

მუშკოოპის განყოფილება № 34-ში მუშაობს მხოლოდ ერთი გამგე და ერთი ნოქარი. ესენი ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებენ მომხმარებელთა მოთხოვნილებას. ხშირად განყოფილებას ამდენი მუშტარი აწყდება, რომ მიუხედავად იმისა, რომ ნოქარიც და გამგეც ოფლში იწურებიან, მაინც ვერ ასწრებენ მომხმარებელთა დაკმაყოფილებას. მაღაზიაში მომხმარებელთა განუწყვეტი რიგებია, რის გამო შეუძლებელი ხდება თავისუფლად მიბრუნ - მობრუნება.

ზამთრის პერიოდში ამ მაღაზიაში ვაჭრობა უფრო გადიდდება და საქმეც საგრძნობლად გართულდება. ამას კი ასეთი მცირე რიცხვიანი შტატი ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაუძლებს.

მუშკოოპის გამგეობამ დროზე უნდა მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას და მიიღოს ზომები მომხმარებელთა დროზე დასაკმაყოფილებლად.

ირ. როსტომაშვილი.

ამხ. ი. ე. რუძუტაკი თბილისში

გუშინ საღამოს საქართველოს სამხედრო გზით თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და გზათა სახალხო კომისარი ამხ. ი. ე. რუძუტაკი.

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ამხ. რუძუტაკმა საექსპორტო ნავთის პროდუქტების გაზიდვის გაძლიერების შესაძლებლობის შესახებ განაცხადა:

— ჩვენ ვფიქრობთ, რომ ნავთსადენის გადაკეთებას და მეორე ხაზის გაყვანას არავითარი დაბრკოლება არ გადაეღობება. საექსპორტო ნავთის პროდუქტების თავის დროზე გატანა დამოკიდებული იქნება მხოლოდ და მხოლოდ ნავთის სინდიკატზე, რომლის შესახებაც უნდა ითქვას, რომ მისი მუშაობა ხშირად ფერხდება, ვინაიდან იგი სხვადასხვაგვარ მოთხოვნილებებს გვიყენებს საექსპორტო ნავთის პროდუქტების გადაზიდვის შესახებ.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირის ტრანსპორტის მდგომარეობას, უნდა ითქვას, რომ თუ წინეთ ჩვენ ბალანსის შედგენის დროს გვაკლდა 18—20 ათასი ვაგონი, ეხლა ექსპლოატაციის სისტემის შეცვლის შემდეგ მარაგში გვაქვს 100.000 ვაგონი. ორთქლმავლების რიცხვი, საბარგო ვაგონების ბრუნვის ზრდის გამო, მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ტრანსპორტზე ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს ანგარიშწარმოების შემცირება. ეს ღონისძიება მომავალ წელში საშუალებას მოგვცემს შევასრულოთ საგრძნობლად გაფართოებული პროგრამა, რადგან იმ თანხებს, რომლებიც საჭიროა ტრანსპორტზე მუშათა რიცხვის 25—30 ათასით გასადიდებლად, ჩვენ მივიღებთ საკანცელარიო აპარატის შემცირებისაგან.

საბჭოთა კავშირის მთავრობამ დაადგინა მომავალი საოპერაციო წლიდან გაადიდოს ტრანსპორტის ძირითადი კაპიტალი.

ომამდი ტრანსპორტში და მრეწველობაში ერთნაირი თანხები იყო დაბანდებული. რევოლიუციის პირველ წლებში ტრანსპორტში გაცილებით ნაკლები თანხები იყო დაბანდებული, ვიდრე მრეწველობაში. აქედან გამომდინარე დაბრკოლებები გადალახული იქნება 1927—28 წელში ძირითადი კაპიტალის გადიდების საშუალებით. ამ მიზნით გამოშვებული იქნება სპეციალური სატრანსპორტო სესხი 60 მილიონი მანეთის რაოდენობით.

ეს სესხი საშუალებას მოგვცემს დავამთავროთ თურქესტან - ციმბირის (სემირეჩიის) რკინისგზა, გავაფართოვოთ ხარკოვის, მოსკოვის, როსტოვის და სხვა ცენტრების საკვანძო ხაზები.

1927—28 წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის რკინისგზის ტრანსპორტის მუშაობა გაიზრდება 14 პროც., ხარჯები კი იგივე დარჩება. რკინისგზის ტრანსპორტი მომავალ საბიუჯეტო წელში მთლიანად შეასრულებს მასზე დაკისრებულ მუშაობას.

ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობა

(საუბარი საბჭოთა კავშირის კონსულთან ყარსში—ამხ. როშალთან)

თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კონსული ყარსში—ამხ. **როშალი**.

ჩვენს თანამშრომელს ამხ. როშალმა აცნობა:

— ოსმალეთ - საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულებამ, რომელმაც ოსმალეთს მიანიჭა ტრანზიტის უფლება, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ხორბლის და სხვა სასოფლო - სამეურნეო ნედლეულის იაფ და სწრაფად გადაზიდვას აღმოსავლეთ ანატოლიის მდიდარ რაიონებიდან დასავლეთ ვილაეტებში ბათომის საშუალებით. ამ სატრანზიტო უფლების მნიშვნელობა ნათლად სჩანს შემდეგი ციფრებიდან: მიმდინარე წლის აგვისტოს და სექტემბრის განმავლობაში ტრანზიტით გადატანილია დასავლეთ ვილაეტებში ორი მილიონი კილო ხორბალი და ორი მილიონი კილო სხვა სასოფლო - სამეურნეო პროდუქტები. ეს რაოდენობა გატანილია მხოლოდ ამიერკავკასიის ორი მოსაზღვრე ვილაეტიდან ... ყარსის და ბაიაზეთის რაიონებიდან. ოსმალეთისათვის ტრანზიტის უფლების მინიჭებამდი აღმოსავლეთ ანატოლიის მდიდარი სასოფლო - სამეურნეო მარაგი გზების უქონლობის გამო გაუსაღებელი რჩებოდა, რაც ხელს უშლიდა აღმოსავლეთ ანატოლიის ეკონომიურ და სამეურნეო განვითარებას.

გერმანელი მუშები თბილისში

ამჟამად თბილისში იმყოფებიან გერმანელი მუშები ამხ. შტრონბერგი და ამხ. კოპპი ორთავე არიან გერმანიის კომპარტიის წევრები.

ამხ. შტრონბერგი, რომელიც ექვსი წელიწადია იჯდა საპატიმროში, ბავარიაში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად ბრძოლისათვის, ამჟამად არის გერმანიის რემედასის აღმასკომის მდივანი, ამხ. კოპპიც არის ერთი თვალსაჩინო მებრძოლთაგანი,, რომელმაც რვა წელიწადი დაჰყო გერმანიის ციხე საკნებში. ორივე ეს ამხანაგი ჩამოყვენ გერმანელ მუშათა პირველ პარტიას, რომელიც სამკურნალოდ გამოემგზავრა საბჭოთა კავშირის კურორტებზე. უკანასკნელად ამხანაგები იყვნენ ჩრდილოეთ კავკასიის კურორტებზე—კისლოვოდსკში და სხვაგან.

ამხანაგები მეტად კმაყოფილნი არიან ჩვენი დასასვენებელი სახლების კეთილმოწყობით, იქ შემოღებული წესით და, განსაკუთრებით, იმ მზრუნველობით, რომელსაც ჩვენი სამკურნალო და საკურორტო დაწესებულებები იჩენენ მუშებისადმი. გუშინ მათ დაათვალიერეს თბილისის თვალსაჩინო წარმოებები, მუშათა სახლები, სახელოსნოები და სხვა. სხვათა შორის, ისინი ამხ. ს. თოდრიასთან ერთად ეწვიენ იმ სტამბასაც, სადაც ჩვენი გაზეთები იბეჭდებიან. გუშინ ნაშუადღევს ისინი იყვნენ აგრეთვე გამასწორებელ სახლში, სადაც გაეცნენ გამასწორებელი სახლის რეჟიმს, პატიმართა მდგომარეობას და სხვა.

ამხ. შტრონბერგმა ჩვენს თანამშრომელს გააცნო გერმანიის რემედასის დღევანდელი მდგომარეობა. მისი გადმოცემით, გერმანიის რემედასი დღეს წარმოადგენს საკმაოდ ძლიერ ორგანიზაციას, რომელიც საკმაო ნივთიერ დახმარებას უწევს რევოლიუციისთვის დაპატიმრებულ მუშებს. მას ამჟამად ჰყავს ნახევარ მილიონზე მეტი წევრები. შედარებით, უფრო ახალგაზრდა ორგანიზაცია არის წითელ ფრონტელების კავშირი, რომელიც დღეს აერთიანებს 260 ათასზე მეტ წევრს. ეს კავშირი თანდათან აფართოებს თავის მუშაობას და თავის რიგებში რაზმავს დიდძალ მუშებსა და გლეხებს, რომელთაც განიცადეს იმპერიალისტური ომის საშინელებანი.

სახკომსაბჭოში

დებულება საქ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის შესახებ

თანახმად სახ. საგეგმო კომისიის დასკვნისა, სახკომსაბჭომ დაამტკიცა დებულება საქართველოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის შესახებ.

სოფლის ხელოსნების მიწით სარგებლობა

სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ გამოყო სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა შეისწავლოს სოფლის ხელოსანთა მიწით სარგებლობის უფლების საკითხი და თავისი დასკვნა წარუდგინოს სახკომსაბჭოს.

კომისიაში მოწვეული არიან: **ი. ვარძიელი**, (თავმჯდომარე), **ხ. თოდრია, გოგოლაძე** (მიწათმოქმ. სახკომისარიატიდან), **მიქელაძე** (იუსტიციის სახ. კომისარიატიდან) და **ლუნკევიჩი**.

შრომის არტელები

სახკომსაბჭომ დაადგინა — ა.-კ. სახკომსაბჭოს დადგენილება შრომის არტელების შესახებ გაატაროს ცხოვრებაში საქ. იუსტიციის სახ. კომისარიატის შესწორებით.

სამოქალაქო კოდექსის მე-69 მუხლი

სახკომსაბჭომ მოიწონა იუსტიციის სახ. კომისარიატის მიერ შემუშავებული სამოქალაქო კოდექსის მე-69 მუხლის შენიშვნის დამატება— მოუვლელათ დატოვებულ **სახლების** მუნიციპალიზაციის შესახებ.

საქართველოს მუზეუმი

სახკომსაბჭომ დაამტკიცა საქართველოს მუზეუმის დამამთავრებელ კომიტეტის მიერ მოიჯარადრესთან დადებული ხელშეკრულება.

საქ. ცაკში

— **გლეხის სახლი დუშეთში**. დიდი ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე დუშეთის მაზრაში გაიხსნება **გლეხის სახლი**. გლეხის სახლის საჭიროებაზე მოსახმარათ დუშეთის სამაზრო გლეხკომს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ დახმარებათ მისცა **ხუთასი მანეთი**.

— **გაცემული პენსიების და დახმარებების რაოდენობა**. სრ. საქართველოს აღმასრულებელი კომიტეტის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობით: საბიუჯეტო წლის მესამე კვარტალში თელავის სამაზრო აღმასკომის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებამ შრომის, ომის ინვალიდების და ნივთიერად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილ პირებს პენსიების და დახმარების სახით დაურიგა:—1.909 მანეთი და 52 კაპიკი; ამავე დროს განმავლობაში პენსიების და დახმარების სახით დაარიგა სიღნაღის აღმასკომის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებამ —1071 მანეთი.

— **საინვალიდო სახლი ფოთში**. ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე უპატრონო, შრომის და ომის ინვალიდების თავშესაფარათ ფოთში გაიხსნება საინვალიდო სახლი. საქ. ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ ამ სახლისათვის საჭირო ავეჯეულობის შესაძენათ გუშინ დახმარებათ გადაუზავნა ფოთის აღმასკომს ხუთასი მანეთი.

ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულისათვის

საბჭოთა აჭარისტანის მიღწევათა გამოფენა

ოქტომბრის დღესასწაულის ჩამტარებელ ცენტრალურ კომისიის დადგენილებით აჭარისტანის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან მოწყობილია საგამოფენო კომისია, რომელშიდაც შედიან სახალხო კომისართა საბჭოს, ბათომის აღმასკომის განათლების სახკომისარიატის, აჭარისტანის მრეწველობის სამმართველოს და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლები.

მუშაობა ოქტომბრის 10 წლის თავისთვის საბჭოთა აჭარისტანის მიღწევებს გამოფენის მოსაწყობად გაძლიერებული ტემპით მიმდინარეობს. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება: სასოფლო მეურნეობა, მრეწველობა, ქალაქის მეურნეობა, პროფესიონალური კავშირები, სახალხო განათლება და სხვა.

იმ ექსპონანტებს გარდა, რომელნიც ამ მიღწევების სურათს იძლევიან, გამოფენილი იქნება სასოფლო მეურნეობის მდგომარეობის გამომხატველი დიაგრამები და კარტოგრამები გასაბჭოებამდე და გასაბჭოების შემდეგ. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება აგრეთვე იმ მომენტების ილიუსტრაციები თებერვლის რევოლიუციამდე და მის შემდეგ პერიოდიდან. რომელნიც ახასიათებენ თვითმპყრობელობის პოლიტიკას აჭარისტანში, თვითმპყრობელობასთან ბრძოლას. რევოლიუციონურ მოძრაობის ზრდას. 1-ლ რევოლიუციონური ორგანიზაციებს. მათ შემადგენლობას და სხვ.

მატარებლების ახალი მიმოსვლა

სახალხო მატარებლების მოძრაობის საზამთრო ცხრილი

1 ოქტომბრიდან ამ.-კავკ. რკ. გზებზე შემოღებული იქნება სახალხო მატარებლების მოძრაობის საზამთრო ცხრილი.

ახალი ცხრილით მატარებლების მოძრაობაში არსებითი ცვლილებები არ არის შეტანილი და იგი უმთავრესად ისეთივეა, როგორიც ზაფხულში იყო.

ცვლილება გამოიხატება იმაში, რომ მატარებელი № 7 და 8, რომლებიც გადიოდენ თბილის - მოსკოვის შორის ყოველდღიურად, 1 ოქტომბრიდან ივლიან ორშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

სრულიად მოხსნილია ერთი რეისი ჩქარი მატარებლის № 1—2, რომელიც გადიოდა თბილისიდან შაბათობით და მოდიოდა ხუთშაბათობით.

მატარებელი № 17 და 18, რომლებიც დადიოდა თბილის - ბორჯომის შორის 1 ოქტომბრიდან ივლიან ხაშურამდე ისიც მხოლოდ კვირა და უქმე დღეებში.

კრედიტების დახურვა

1926—27 წლის ხარჯთ - აღრიცხვით გათვალისწინებული ყველა კრედიტები იხურება 30 სექტემბერს.

იმ სამუშაოების ხარჯები, რომლებიც დაწყებულია 1926—27 წელში და ამ დროისათვის ვერ იქნება დამთავრებული, გადატანილი იქნება 1927—28 წელში და კრედიტები გაიცემა ახალი ხარჯთ - აღრიცხვით, დარჩენილ კრედიტის ფარგლებში.



შემომაქვს სამ მანეთ ნახევარი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ პირებს: თბილისიდან: **მიშა ბერიშვილს, ჯაჯუ ცაგიდიას**, ვალოდია თოდუას, ესტატე ლატარიას, **სპირიდონ ხაბურზანიას, გრიშა ბარკალაიას, ძუნატა კობახიძეს, ალექსანდრე გოგიშვილს** და **გრიგოლ ფარნიევს**; მანგლისიდან: **სიმონ ჭყონიას, ალექსანდრე კამიშინს, სპირიდონ პაპავას, გრიშა ავაკოვს, მატილდა კონტრიძეს**; ასურეთიდან; **ერემია იმნაიშვილს, ოტტო კოხს, კოწია ნემსაძეს, შალვა ლეჟავას, გრიშა ჩხაიძეს, აგრონომ ლაშხს, ედუარდ ბარსეგოვს, ილიკო კურტანიძეს** და **სტეპკო გასპაროვს**.

პლ. ბუკია.

„საქართველოს აბრეშუმთან“ არსებულ ავიაქიმიის უჯრედის ყველა წევრების სახელით ვიგზავნით ოცდა ათ (30) მანეთს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევთ ლითონტრესტის, სატყეო ტრესტის, სამთო ტრესტის, პოლიგრაფტრესტის, აბრეშუმის საქსოვი ქარხნის, საპნის ტრესტის, ტყავ-ტრესტის და „საქართველოს ჩაი“-ს ავიაქიმის უჯრედის წევრებს გაიღონ თავის წვლილი თუ მეტი არა, ამდენივე თანხა მაინც.

ტ. შარიქაძე.

ამხ. ნიკოლოზ გეგეჭკორის გამოწვევით შემომაქვს „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად **ერთი მანეთი** და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ნიკორწმინდის თემკომის მდივანს **კოლია გურგენიძეს**, მასწავლებლებს: **დავ. კუბლაშვილს, ვლად. გურგენიძეს, ალ. კობახიძეს, ვარ. დოხნაძეს, ისაკი ბაკურაძეს, არტემ გურგენიძეს, შურა კანდელაკს, ილარიონ კობახიძეს, ვარლამ წულუკიძეს** და **სილევან ჯმუხაძეს**.

ნიკორწმინდის ფ.-ტ. გამგე **ნიკოლოზ კანდელაკი**.

ამხ. სერგო ნარმანიას გამოწვევით შემომაქვს **3 მან.** თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: **საშა შავგულიძეს, ვ. კაჭახიძეს, ი. ვარლამოვს, ვ. გვრიტიშვილს, გ. კეკელიძეს, ს. ხოხიაშვილს, ლ. ცაგარეიშვილს, პლატ. ლოსაბერიძეს, გ. მშვიდობაძეს, ვ. ცაბაძეს, კ. კურცხალიას, ვ. ქეიშვილს, ე. ვარდოსანიძეს, ვ. გაბუნიას, ვ. შავგულიძეს, ლ. ფხაკაძეს, დ. ჭყონიას, ვ. კობახიძეს, ხ. დავლიანიძეს**.

ე. ერისთავი.

ამხ. ევგენია ჩახუნაშვილის გამოწვევით შემომაქვს **3 მანეთი** თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ **ლავრენტი უკანიას** და **ევგენი ებრალიძეს**.

ს. ბახტაძე.

ამხ. ვლად. დემურიას გამოწვევით თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდში შემომაქვს **სამი (3)** მან. და ვიწვევ ახალ-სენაკიდან: **სამსონ ჯობავას, ალექსანდრე ჩხეტიას, ოლია ხუხუას, ბეგლარ იოსავას, არტემ ღვამბერიას, იოსებ წერეთელს, ევგენი ეჯიბიას, აკაკი შონიას**; აბაშიდან: **ალექსი ჭანტურიას**, გოხოშიდან: **ალექსი მალანიას** და წყემიდან **ბიქტორ ჯეჯელავას**.

გრიგოლ ხუროძე.

ქუთ. საბჭ. 11 აფთიაქის და საავთ. საწყობის თანამშრომლებს შემოაქვთ 15 მანეთი თვითმფრინავ „თბილ. პროლეტარიატის“ ასაგებად, თანახმად ქუთ. 4 სახ. აფთიაქის გამოწვევისა.

ად. ჭეიშვილი.

ამხ. ს. მამულიას გამოწვევით გიგზავნით **10 მანეთს** თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: **ვერა გეგეჭკორს, ი. გულარდავას, კ. ცავას, აპ. ჯიბლაძეს, ბ. ცავას, ჯვებე ჩიჩუას, ვ. კაჭარავას; ლ. ჭოკაიას; კ. ჭიჭინაძეს**.

პ. ჩარგაზია.

გიგზავნით შრომის შვიდწლედის (ძირულის თემის) მასწავლებელთა მიერ შემოწირულ თანხას **14 მანეთს და 38 კაპ.** თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის სასარგებლოდ. თანხა შემოწირულია შემდეგი მასწავლებლებისაგან: (დღიური ხელფასი) **ხუხიაშვილი დავით, მიქაბერიძე ვლადიმერ, გველესიანი ფლოლენტი, ჩიხლაძე ნინა, გველესიანი გრიგოლ, გველესიანი იპოლიტე, შველიძე ვასილ, ალავიძე კატო, სამხარაძე გიორგი, ხუხიაშვილი თამარა**.

„თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს **3 მან.** პავლე ჯანჯღავას გამოწვევით და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: **ალექსანდრე შახოვს, გრიშა ჩიქოვანს, სარდიონ ჭანტურიას, სიმონ მეხუზლას, ისლამი წოწორიას, ჯონდი ბაჩილავას, შარუ ჯანაშიას, თედორე ბაჩილავას**.

ალ. ღურჭუმელია.

ექიმ ყურაშვილის და მ. ნიკოლავას გამოწვევით „თბილისის პროლეტარიატის“ სასარგებლოდ შემომაქვს **ხუთი მან.** და ვიწვევ: გალიდან (სამურზაყანო): **იასონ ხაბურზანიას, ტარასი ლაგვილავას, ექ. ანდრია პატარაიას, ექ. ნ. ბენდელიანს, საშა ბენდელიანს და ბორის ეზუგბაიას**, ქ. ზუგდიდიდან: **ექ. ბ. გობეჩიას და ექ. ს. შენგელაიას**.

ექ. კაკუბერი.

„თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს **5 მანეთი**.

ქუთ. ალმ. მიწათ-განყ. გამგე **ს. ნამჩევაძე**.

დღეს შემოვიდა 59 მ. 88 კ. სულ შემოსულია 7.594 მ. 59 კ. და ერთი მაჯის ოქროს საათი.

მისაღები გამოცდების შედეგები სახელმწიფო უნივერსიტეტში

(საუბარი მიმღებ კომისიის თავმჯდომარე ამხ. კ. სულაქველიძესთან).

1927—28 სამოსწავლო წელში სახელმწიფო უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების შედეგების შესახებ სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმღებ კომისიის თავმჯდომარემ ამხ. კ. სულაქველიძემ ჩვენი გაზეთის თანამშრომელს აცნობა შემდეგი: გასულ წლებთან შედარებით —განაცხადა ამხ. სულაქველიძემ— წელს უნივერსიტეტში შესვლის მსურველები გაცილებით უფრო მომზადებულნი არიან, რაც უნდა მიეწეროს თბილისში და ქუთაისში გახსნილ უნივერსიტეტისათვის მოსამზადებელ კურსებს.

მომავალ წლისათვის განზრახულია ამ კურსების უფრო სათანადო სიმაღლეზე დაყენება, რათა უნივერსიტეტში შესვლის მსურველები სავსებით მომზადებულნი იქნენ უმაღლესი ცოდნის მისაღებათ.

ჩემის აზრით, გამოცდებს ხშირად აბარებენ ისინი, რომლებმაც საგნები ზეპირად იციან, ხოლო უფრო ნიჭიერები რჩებიან უნივერსიტეტის გარედ. ასე რომ გამოცდები არ შეიძლება ჩაითვალოს სწორ საზომად და უკეთესი იქნებოდა მომავალში სხვაგვარად იქნეს მოწყობილი უნივერსიტეტში მიღების საქმე.

უნივერსიტეტში მისაღებ სტუდენტთა რიცხვი, თანახმად განათლების კომისარიატის დადგენილებისა, განსაზღვრული იყო 500 კაცით. მაგრამ ჩემი მოხსენების შემდეგ ეს რიცხვი განსახკომმა გაადიდა 150 ადგილით. ამას გარდა განათლების კომისარიატმა გადასწყვიტა 100 კაცი მიღებული იქნეს კანდიდატებათ. ამგვარად წელს უნივერსიტეტში განზრახულ 500 კაცის მაგიერ მიღებული იქნება 730 კაცი. აქედან პედაგოგიურ ფაკულტეტზე მივიღებთ 340 კაცს; აგრონომიულ ფაკულტეტზე—80 მსმენელს; სოციალ-ეკონომიურ ფაკულტეტზე—115 მსმენელს, სამკურნალო ფაკულტეტზე—115 და პოლიტეხნიკურზე—80 მსმენელს.

მათ შორის 92 კაცი მიღებული იქნება მუშათა ფაკულტეტებიდან უგამოცდელოთ.

ამავე რიცხვში აჭარისტანიდან მიღებული იქნება—25 კაცი, აფხაზეთიდან—10, ხოლო სამხრეთ-ოსეთიდან—5 კაცი. დანარჩენი კი მიღებულ იქნება საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან.

მიღებულ სტუდენტთა გვარები გამოცხადებული იქნება ამ ორ დღეში.

ქართული სკოლა და თეატრი ბაქოში

(წერილი ბაქოდან)

ბაქოში ქართული სკოლა დაარსდა 1926 წ. თებერვალში ამხ. **დ. კანდელაკის** ინიციატივით და დახმარებით. მაშინ სკოლაში 20—25 მოწაფემ ძლივს მოიყარა თავი. ბევრი იმასაც ფიქრობდა, თითქოს ქართული სკოლა ბაქოში ვერ იარსებებდა, მაგრამ დღეს სულ წინააღმდეგს ვხედავთ. სკოლა შესდგება ოთხი ჯგუფისაგან დაახლოებით 120 მოწაფით. სწავლის საქმე დაყენებულია შესაფერ დონეზე. ქართული სკოლა ერთ საუკეთესო სკოლათაგანია ბაქოში.

სკოლას დიდ დახმარებას უწევს საქ. განათლების კომისარიატი, უნდა აღინიშნოს, რომ თუ არა საქ. განსახკომის მზრუნველობა და ავტორიტეტი შეიძლება ქართული სკოლა არც გვქონდა ბაქოში. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ განსახკომი მომავალშიაც არ მოგვაკლებს მზრუნველობას, მით უმეტეს, რომ ჩვენი სკოლა ჯერ კიდევ ნორჩია და მფარველობა სჭირია.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე სკოლის გამგის ამხ. **ა. დონდოლაძის** შრომა.

სკოლასთან არსებობს მშობელთა წრე, მოწაფეთა კოოპერატივი და სხვა ახალგაზრდათა ორგანიზაციები, რომელნიც თავ - თავიანთ დარგში შესაფერ დახმარებას უწევენ სკოლას.

უფრო ცუდ მდგომარეობაშია ბაქოს ქართული თეატრი. ვერ იქნა და ვერ ეღირსა ის მოქალაქეობრივი უფლების მოპოვებას. დღემდე ქართული თეატრი არ არის შეტანილი სახელმწიფო ხარჯთ აღრიცხვაში და მას უხდება შემთხვევითი შემოსავლით ვაი - ვაგლახით თავის გატანა. ეს გარემოება ძალს ასვამს თეატრის საქმიანობას. არც იდეური მხარე იყო დღემდე დამაკმაყოფილებელი: გვკვებავდენ ძველი რეპერტუარით. ძალების უყოლობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

საჭიროა ახალმა სათეატრო გამგეობამ მიიღოს სათანადო ზომები, როგორც მატერიალური, ისე მხატვრული მხარეების გასაუმჯობესებლად. საჭიროა დასი შევსებული იქნას ახალი ძალებით უფრო გამოცდილი და საქმის მცოდნეებით, ვიდრე ბაქოს სცენის-მოყვარენი არიან. პიესები უნდა იდგმებოდეს დროის შესაფერისი.

მხოლოდ ამ გზით შეიძლება შევაყვაროთ ბაქოს ქართველ მშრომელებს თეატრი, რომელსაც თავის მხრივ შეუძლია დიდი კულტურული როლი ითამაშოს მშრომელთა თვითგანვითარების საქმეში.

ბაქოელი.

სოფლის ელექტროფიკაცია

„ელექტროსელსტროიმ“, რომელიც მოწოდებულია [illegible] სოფლის ელექტროფიკაციის დაამთავრა ამიერ-კავკასიაში განზრახულ სამუშაოთა გეგმის დამუშავება მომავალ სამეურნეო წლისათვის.

ეს გეგმა, შედარებით წარსულ წლებთან, ერთობ ფართოა „ელექტროსტროის“ განყოფილების გამგემ ინჟ. **სტოგოვმა** მომავალ სამუშაოების შესახებ განაცხადა:

— წელს ჩვენ დავამთავრებთ ის სამუშაოებს, რომელიც აღებული გვაქვს ტელასთან დადებულ ხელშეკრულების თანახმად. მაგრამ ამ სამუშაოებით არ ამოიწურება ჩვენი მოღვაწეობა. მთავარ-სამუშაოებს, რომლებიც ჩვენ უნდა ჩავატაროთ, ეკუთვნის აბაშის ელსადგურთან დადებულ ხელშეკრულების შესრულება. ეს სამუშაო შეფასებულია 300.000 მან. ჩვენ უნდა ავაშენოთ აბაშიდან ახალ-სენაკამდე და აბაშიდან ფოთამდე მაღალი ძაბვის ელექტროგადაცემის ხაზი 75 კილომეტრის მანძილზე და დავდგათ ხუთი სატრანსფორმატორო ქვესადგური. მასალები, მანქანები და მთელი მოწყობილობა ამჟამად მიტანილია ადგილზე და დაწყებულია მონტაჟი. საჰაერო ხაზის გაყვანა განზრახულია დამთავრდეს 15 ნოემბრისათვის, ხოლო ქვესადგურების მონტაჟი დამთავრდება არა უგვიანეს 1 იანვრისა.

აბაშის ელსადგურთან დაკავშირებულ მუშაობას გარდა, განზრახულია დაბალ-ვოლტიანი განაწილებელი ქსელის მოწყობა ქვესადგურებიდან მომხმარებლისათვის ენერგიის უშუალოდ მისაწოდებლად. ელექტრო ენერგიას მივაწოდებთ სოფ. ბანძას, მარტვილს, ქალ. ახალ-სენაკს და ფოთს. განსაკუთრებით გვაინტერესებს ჩვენ ქსელების მოწყობა სოფლად.

განზრახული გვაქვს აგრეთვე ხელშეკრულების დადება აბაშის ელსადგურთან მაღალ ვოლტიან ხაზების გასაყვანად ხონიდან სამტრედიამდე და ქვესადგურებისა და დაბალ ვოლტიან ქსელების მოსაწყობად ამ პუნქტებში.

გარდა ამისა გადაწყვეტილი გვაქვს ორი ელსადგურის აგება: სვანეთში—[illegible] მესტიას მახლობლად და [illegible]—ლეჩხუმის მაზრაში ორივე ეს სადგური დაჯდება 450—500.000 მან.

დაბოლოს განზრახულია მთელ რიგ პატარა ელსადგურების აგება სოფლად.

სულ მომავალ სამეურნეო წელში შესრულებული იქნება 1.250.000 მან. სამუშაოები, აქედან სოფლის ელექტროფიკაციასთან დაკავშირებული სამუშაოები დაჯდება არა ნაკლებ 70.000 მან.

უჯრედთა ბიუროების და სათემო კომიტეტების გადარჩევისათვის

(ა. ლ. კ. კ. ცენტრ. კომიტეტის დირექტივები უჯრედთა ბიუროების და სათემო კომიტეტების გადარჩევის კამპანიისათვის)

საკავშირო კომკავშირის ა.-კავკასიის საოლქო და საქართველოს ცენტრალურმა კომიტეტებმა დაადგინეს მიმდინარე წლის სექტემბრის 25 შეუდგნენ უჯრედთა ბიუროებისა და სათემო კომიტეტების გადარჩევას, რაც დასრულებულ უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში, ე. ი. ოქტომბრის დამლევამდე.

მომენტის თავისებურობა ჩვენს ორგანიზაციას აყენებს ახალ პოლიტიკურ მდგომარეობის წინაშე, როგორც შინაორგანიზაციულ საკითხებში, ისე მთელი ჩვენი ქვეყნის განვითარებაში, რაც ძირითადად გამოიხატება შემდეგში:

1. ძირითად ორგანოების წარსულ გადარჩევის შემდეგ პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ წამოაყენეს მუშათა კლასისა და გლეხების წინაშე მთელი რიგი კულტურული და ეკონომიური ხასიათის კონკრეტიული საკითხები, რომლებიც გამომდინარეობენ ჩვენი პარტიის მე-14 ყრილობის დადგენილებებიდან, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოციალიზმის პრაქტიკულად განხორციელების საკითხებიდან.

2. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობენ კავშირის ამოცანები განვლილი პერიოდის განმავლობაში, რომლებიც წამოაყენა საკავშირო ა. ლ. კ. კ. მე-7 ყრილობამ და მის მომდევნო პლენუმებმა და კონფერენციებმა და რომლებიც ძირითადად ჩამოყალიბდენ:

ა) კავშირმა უფრო ინტენსიური და ენერგიული მონაწილეობა მიიღოს შრომის ნაყოფიერებისა და ჩვენი მრეწველობის რაციონალიზაციის საქმეში.

ბ) პრაქტიკულად დაისვა საკითხი ჩვენი კავშირის მონაწილეობის შესახებ სასოფლო მეურნეობის დონის აწევისა და სოფლის კოოპერაციაში ჩაბმის საქმეში.

გ) საკითხის პრაქტიკულად დაყენებაში კომკავშირის მონაწილეობის შესახებ ბიუროკრატიზმთან ბრძოლასა და სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაციაში.

დ) უფრო ნათელი ზომების გამონახვაში დაბალ ორგანიზაციებისათვის, უკანასკნელთა მონაწილეობის მიღების მიზნით ახალგაზრდათა ეკონომიურ და უფლებრივ ინტერესების დასაცავად, მათთვის საინტერესო ჯანსაღ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში, (კვალიფიკაციის აწევა, სწავლისაკენ ლტოლვა და სპეციალური კურსების ჩამოყალიბება და სხვადასხვა).

ე) უფრო ზომიერი, მიზანშეწონილი და ახალ გაზრდობისათვის საინტერესო ფორმების გამონახვაში მასიურ კულტურულ - გამანათლებელ მუშაობის ჩასატარებლად.

ვ) ყოველდღიურ გეგმაშეწონილ მუშაობაში, მასების სწორი, ნამდვილ—ლენინურ, პოლიტიკურ-იდეოლოგიურ მომზადებაში ლენინიზმისაგან გადახრისა და მისი დამახინჯების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ზ) მომენტის ხასიათის მიხედვით შეთანხმების გამონახვა ისეთ ფორმებისა და მეთოდების, რომლის საშუალებით შესაძლო არის ფართედ გაიშალოს მასის თვითმოქმედება, რომელიც წარმართავს მას სწორი გზით.

თ) დღევანდელ მომენტის დამახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე მოსალოდნელი ომის საფრთხე, რომელსაც ჩვენ წინააღმდეგ ამზადებენ ბურჟუაზიული ქვეყნები, ეს მოვლენა რამდენიმედ იწვევს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაში მყოფ ანტი-საბჭოთა ელემენტების და ყოველგვარი ნაძირალების გამოცოცხლებას. შექმნილი მდგომარეობა გვავალებს, ერთის მხრით, დაუზოგველი ბრძოლა ვაწარმოოთ ყოველგვარი ანტისაბჭოთა დაჯგუფებების წინააღმდეგ, ხოლო მეორეს მხრივ, შევაკავშიროთ მშრომელი ახალგაზრდობის მასები, ხელი შეუწყოთ მათ გასამხედროების საქმეს და შევქმნათ შეურყეველი საზოგადოებრივი აზრი.

ყველა ჩამოთვლილი ამოცანების გადაწყვეტაში ჩვენს ორგანიზაციებს უსათუოდ აქვს შესამჩნევი მიღწევები, მაგრამ ეს სრულიად არ ასუბუქებს ზემოაღნიშნულ ამოცანათა სირთულეს.

აქედან გამომდინარეობს ის მიდგომა გადარჩევითი კამპანიებისადმი და ძირითადი აქტივის შერჩევისა, რომლითაც უნდა შეიარაღდეს ადგილობრივი ორგანიზაციები, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ისეთი აქტივის წამოყენებას, რომელიც შესძლებს სათანადო ხელმძღვანელობის გაწევას და რომელიც იკისრებს პასუხისმგებლობას მთელი ორგანიზაციის წინაშე აღნიშნულ რთულ პირობებში.

უჯრედთა ბიუროებისა და სათემო კომიტეტების წარსული გადარჩევების შემდეგ განვლილი პერიოდი დამახასიათებელია საქართველოს ორგანიზაციებისათვის, როგორც პერიოდი გარდატეხის ხელმძღვანელობისა და მთელი საკავშირო მუშაობის სისტემის ახალგაზრდათა მასებისათვის საინტერესო მოთხოვნილებებთან შეთანხმებით და ამავე მასის ჩაბმით სოციალისტურ აღმშენებლობაში.

ამიტომ უკანასკნელი გადარჩევები უნდა ჩატარდეს შემდეგი ლოზუნგის ქვეშ: გადასინჯულ იქნეს ის დირექტივები, რომლებიც კავშირის წინაშე წამოაყენა საკავშირო ა. ლ. კ. კ. მე-7 ყრილობამ და მის შემდეგ კონფერენციებმა და პლენუმებმა.

ამ მიზნით სავალდებულოა: ჩატარებულ იქნეს აუცილებელი მოსამზადებელი მუშაობა, საჭიროა აგრეთვე ყოველ უჯრედს მიუდგეთ თავისებურად.

ც. კ. პრაქტიკულად აყენებს შემდეგ ფორმებს:

ქალაქებსა და სამრეწველო ორგანიზაციებში

(თბილისი, ხაშური, ბორჯომი, სამტრედია, ტყიბული, ბათომი; სოხუმი).

1. კომიტეტების წარმომადგენლები ვალდებულნი არიან მიიღონ აქტიური მონაწილეობა და უხელმძღვანელონ ბიურო-კოლექტივებისა და უჯრედების გადარჩევებს. ამისათვის მათ უნდა გამოიმუშაონ წინასწარი კალენდარული გეგმა იმ ანგარიშით, რომ ყოველი უჯრედის ბიუროს გადარჩევას უხელმძღვანელოს კომიტეტმა თავისი წარმომადგენლის საშუალებით.

2. საწარმოო უჯრედებში ბიუროს ანგარიშის დროს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს უჯრედების მონაწილეობის საკითხს: ა) შრომის ნაყოფიერების ზრდისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებაში, ბ) წარმოების მეთოდების გაუმჯობესებასა და სამეურნეო ერთეულების რაციონალიზაციაში, გ) შრომის დაცვის პრაქტიკულ მიღწევებსა და ახალგაზრდა მუშათა მასების ინტერესების დაცვაში, დ) ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე უჯრედთა თვითმოქმედებას და ინიციატივას მასიურ კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის დარგში.

ყველა ზემოჩამოთვლილი საკითხები ნაჩვენები და საკმარისად გაშუქებული უნდა იქნეს საწარმოო უჯრედთა ბიუროების მოხსენებებში, რათა საშუალება გვექნეს ნათლად წარმოვიდგინოთ ნაკლი და მიღწევანი ჩვენი უჯრედებისა.

აუცილებელია აგრეთვე, ყურადღება მიექცეს ახალგაზრდობის გასამხედროების საქმეს და მის პრაქტიკულად განხორციელებას, აღნიშნული ანგარიშების საფუძველზე უნდა იქნეს დამუშავებული პრაქტიკული წინადადებანი ბიუროს ახალი შემადგენლობისათვის.

3. თვითკრიტიკის გაძლიერების მიზნით, თანახმად წარსული მაგალითებისა ც. კ. წინადადებას იძლევა არჩეულ იქნეს კომისიები უჯრედებში და კოლექტივებში, რომლებიც წინასწარ დაათვალიერებენ უჯრედთა პრაქტიკულ მოღვაწეობას, რომლებიც უნდა გამოვიდნენ, როგორც თანამომხსენებლებად, ისე პრაქტიკული წინადადებებით. იქ კი, სადაც საამისოდ საკმარისი ძალა არ არის, საჭიროა თავი შევიკავოთ ასეთი კომისიების გამოყოფისაგან.

4. საჭიროა ყველა ჩამოთვლილი საკითხების შესახებ კომიტეტები სწერდენ შენიშვნებს და პატარა ინფორმაციის სახით ადგენდენ მას კომიტეტში.

5. ის უჯრედები, რომლებიც სდგანან ყურადღების ცენტრში, ანგარიშის წარმოდგენის დროს ვალდებულნი არიან, აღნიშნონ უჯრედების პრაქტიკული საქმიანობის შედეგები ბიუროკრატიზმთან ბრძოლასა და სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაციის საქმეში. არა ნაკლები ყურადღება უნდა მიექცეს, აგრეთვე მასების კულტურულ დონის აწევასა და გასამხედროებას ყოველგვარი დეფექტები გამომჟღავნებულ უნდა იქნეს უჯრედთა ბიუროების გადარჩევების კამპანიის დროს, ე. ი. უნდა მოვიქცეთ ისე, როგორც საწარმოო უჯრედების მიმართ.

6. სასკოლო უჯრედთა ბიუროების მოხსენებების დროს: ა) ნათლად და უნაკლოდ უნდა იქნეს გაშუქებული კომკავშირის უჯრედის როლი ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში, ბ) გაშუქებული უნდა იქნეს ფორმა და მეთოდი მოსწავლეთა თვითმოქმედების გაფართოების საქმეში (სხვადასხვა წრეების ჩამოყალიბება, მრავალგვარი ნებაყოფლობითი საზოგადოებანი და სხვ. და სხვ.). გ) ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე კომკავშირის მონაწილეობას სკოლის აკადემიურ ცხოვრებაში, ე) უჯრედის მონაწილეობას სკოლების შევსებაში და ვ) უჯრედთა წევრების პრაქტიკულ მუშაობას ზაფხულის განმავლობაში.

სოფლის ორგანიზაციებში აუცილებელია

1. რაც შეიძლება მეტი ხელმძღვანელობა სამაზრო, სარაიონო და სათემო კომიტეტების მხრივ ბიუროების გადარჩევებში, იმ ანგარიშით, რომ თემის აქტივმა თითონ უხელმძღვანელოს გადარჩევებს. სასურველია, რომ არც ერთი გადარჩევები არ იქნეს ჩატარებული სათემო, ან სამაზრო კომიტეტის წარმომადგენლის დაუსწრებლად.

2. სოფლის უჯრედთა ბიუროების გადარჩევების დროს ძირითად ლოზუნგად ცხადდება: „უჯრედების გადასინჯვა იმისათვის, რომ გამორკვეული იქნეს, თუ როგორ გატარდა ცხოვრებაში სრულიად საქართველოს კომკავშირის მე-2 კონფერენციის მიერ მოცემული დირექტივები კომკავშირის მონაწილეობის შესახებ სოფლის მეურნეობის აწევასა და მისი კოოპერატიულ საფუძველზე მოწყობის საქმეში.

ბიუროების ანგარიშში ამ საკითხებს მთავარი ადგილი უნდა დაეთმოს და მათ შესახებ გაიმართოს ცოცხალი კამათი. როგორც ანგარიშებში, ისე მსჯელობაში საგრძნობი ადგილი უნდა დაეთმოს სოფლად საზოგადო-სასარგებლო და საზოგადო-პოლიტიკურ მუშაობის საკითხებს.

საჭიროა დიდი ყურადღების დათმობა მასიურ კულტურულ და კომკავშირის გასამხედროების საკითხებისათვისაც.

უნდა დაისვას, აგრეთვე საკითხი მოჯამაგირეთა ეკონომიურ ინტერესების დაცვაში კომკავშირის უჯრედის როლის შესახებ.

3. **სოფლის სკოლების უჯრედების** შესახებ უნდა ითქვას ის, რაც ქალაქის სკოლების უჯრედებზე; მხოლოდ აქ ხაზი უნდა გაესვას სკოლის მნიშვნელობას ადგილობრივ გლეხურ რაიონისათვის.

აი, დაახლოვებით ის საკითხები, რომელნიც უნდა გაშუქდეს მაქსიმალურად ამ საარჩევნო კამპანიის წინ.

საორგანიზაციო ამოცანები

1. ამ გადარჩევაში წამოყენებულ უნდა იქნეს ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა—კავშირის დაბალ აქტივში პროლეტარულ ბირთვის პროცენტის ამაღლება. უნდა აღინიშნოს, რომ წარსულ გადარჩევების დროს ჩვენ გვქონდა უჯრედთა ბიუროებში მუშათა პროცენტის დაკლება ზოგიერთ პროლეტარულ ორგანიზაციებშიც.

საქალაქო და საწარმოო ორგანიზაციებმა მაქსიმუმი ღონისძიება უნდა მოახმარონ უჯრედების ბიუროებში და კოლექტივებში მუშათა პროცენტის გაზრდას, რისთვისაც ადგილებს უნდა მიეცეს გარკვეული დირექტივები.

2. სოფლის ორგანიზაციებმა ყოველგვარი ზომები უნდა მიიღონ სოფლის უჯრედების ბიუროების შემადგენლობაში, ღარიბ გლეხ ახალგაზრდობის და მოჯამაგირეთა პროცენტის ასაწევად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოჯამაგირეთა წამოყენებას თემის კომიტეტების შემადგენლობაში.

3. ჩვენი მუშაობის სირთულე მოითხოვს საუკეთესო აქტივის შერჩევას. ანგარიში უნდა გაეწიოს მის პოლიტიკურ-იდეოლოგიურ სიმტკიცეს, ის უნდა უზრუნველყოფდეს პარტიის ხაზის კომკავშირში სწორად გატარებას. ამ მიზნისათვის საჭიროა:

ა) უჯრედების ბიუროების, კოლექტივების შემადგენლობის და განსაკუთრებით მათი მდივნების პარტიზაცია. ამ გადარჩევებში დაბალ აქტივში არამც თუ უნდა შემცირდეს პარტბირთვი, არამედ ყოველ ზომას უნდა მივმართოთ მის გასაძლიერებლად.

ბ) რომ შევინარჩუნოთ გამოცდილი აქტივი, ამისათვის საჭიროა თავიდან ავიცილოთ თემკომის და ბიუროების შემადგენლობის სავსებით გადახალისება. ორგანიზაციების მუშაობის ნორმალურად წასაყვანად ძველი მუშაკები უნდა შენახულ იქნან ახლად არჩეულ ამხანაგებისათვის სათანადო დარიგების და გამოცდილების გასაზიარებლად.

4. სრულიად საქართველოს კომკავშირის მე-2 კონფერენცია და ც. კ. მთელ რიგ პლენუმებში გარკვეულად წამოაყენეს საკითხი აქტიურ სამუშაოებზე ახალგაზრდა ქალების წამოყენების შესახებ. ქალები ჩაბმულ უნდა იქნან, როგორც დაბალ ორგანიზაციების, ისე ხელმძღვანელ ორგანოების აქტიურ მუშაობაში. მაგრამ ეს ღონისძიება ცხოვრებაში გატარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იწარმოებს დაბალ ორგანიზაციებში ქალების გეგმიანი წამოყენება. ამისათვის ზომები უნდა იქნას მიღებული უჯრედთა ბიუროების შემადგენლობაში ქალების პროცენტის გასადიდებლად.

5. ნაციონალურ შემადგენლობის მიხედვით აქტივის წამოყენება წარსულში სწარმოებდა სწორად. საჭიროა ამ გადარჩევების დროსაც ვისარგებლოთ წინანდელ სახელმძღვანელო დებულებებით.

6. მუშაობის ნაყოფიერ საწარმოებლად საჭიროა კავშირის რიგითი წევრებს მიეცეს ფართე გასაქანი პოლიტიკურ საკითხების განხილვა-გარჩევაში, რაც უნდა ხდებოდეს შინა-პარტიულ დემოკრატიის საფუძველზე და არავითარ შემთხვევაში კომიტეტების წარმომადგენლებმა არ უნდა ჩაახშონ ადგილების ინიციატივა და თვითმოქმედება.

როგორ უნდა ჩატარდეს მოსამზადებელი მუშაობა

1. საჭიროა მოწვეულ იქნეს რაიონული და ქალაქის თათბირი (თბილისში, ხაშურში, ბორჯომში, სამტრედიაში, ბათომში, ჭიათურაში; სოხუმში), სადაც გაკეთებული უნდა იქნეს საინსტრუქციო მოხსენებები თანახმად მოცემული დირექტივებისა; გაიმართოს მის გარშემო კამათი, რათა ყოველ აქტივს საშუალება მიეცეს ნათლად წარმოიდგინოს საორგანიზაციო ფორმები და პოლიტიკური ამოცანები მომავალი გადარჩევებისა.

2. სამაზრო კომიტეტებში მიეცეს ინსტრუქცია პრაქტიკულ მომუშავეებს, რის შემდეგ გადაიგზავნოს ისინი რაიონებსა და თემებში.

3. თემის მასშტაბით მოწვეულ იქნეს აქტივის თათბირი უჯრედთა ბიუროების წარმომადგენელთა თანდასწრებით და მიეცეს მათ დირექტივები გადარჩევების შესახებ. აღნიშნული ღონისძიებათა ასრულების შემდეგ შეუდგნენ გადარჩევების პრაქტიკულ განხორციელებას.

მუშაობის შედეგები

აღნიშნული გადარჩევების კამპანიების ჩატარებამ, როგორც ეს გვქონდა აღნიშნული, უნდა მოგვცეს ჩვენი ორგანიზაციების მუშაობის ცოცხალი სურათი. ამ მიზნით, ყოველმა ამხანაგმა, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს გადარჩევებს, ვალდებულია ჩაიწეროს თავისი შენიშვნები და შეადგინოს მოხსენება ამა თუ იმ უჯრედებსა და ორგანიზაციებში გადარჩევების ჩატარების შედეგების შესახებ და აგრეთვე იმ ამოცანებზედაც, რომელნიც დასმულია ამ გადარჩევის კამპანიის წინაშე.

ყველა კომიტეტები ვალდებულნი არიან, ციფრებთან ერთად წარმოადგინონ წერილობითი მოხსენებები გადარჩევის კამპანიის შედეგების შესახებ.

შენიშვნა: ჭიათურის ორგანიზაცია იმყოფება განსაკუთრებულ სპეციალურ პირობებში, ამიტომ ის ვერ შეეხება შრომის ნაყოფიერების საკითხებსა და წარმოების რაციონალიზაციას, ხოლო დირექტივების სხვა დანარჩენი ნაწილი შეეხება მასაც.

ს. ა. ლენინური კომკავშირის ც. კომიტეტის მდივანი **მ. გოგეჩია**.

საორგანიზაციო განყოფილების გამგე— **გ. ჯავახიძე**.

ქრონიკა

ამხ. დუბსონის ჩამოსვლა

28 სექტემბერს სპარსეთიდან თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის გენერალური კონსული თავრიზში ამხ. დუბსონი.

ამხ. სოლოვიევის გამგზავრება

გუშინ თბილისიდან მოსკოვს გაემგზავრა საბჭოთა რუსეთის ჯანსახკომის მოადგილე და სამხედრო-სანიტარული სამმართველოს უფროსი ამხ. სოლოვიევი.

უცხოეთის ფირმების წარმომადგენელთა ჩამოსვლა

გუშინ ბაქოდან თბილისში ჩამოვიდნენ ამერიკის ფირმა „ინგერსონ განცის“ კონსულტანტი **კარლ ნიმან** და ამავე ფირმის ინსტრუქტორი **გ. გ. შვალბახი.**

„საქართ. მარგანეცის“ კონსულტანტის ჩამოსვლა

მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა კონცესია „საქართველოს მარგანეცის“ კონსულტანტი, ამერიკელი ჟურნალისტი **ბ. მ. შენფილდი.**

თბილისის აღმასკომში

◆ **გამოკვლევა.** თბ. აღმასკომმა დაადგინა მოახდინოს ქალაქში წარმოებულ აღმშენებლობის საქმის გამოკვლევა.

◆ **ზოოლოგიური ბაღი.** საგეგმო კომისიას დაევალა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად დაჩქარებით შეიმუშაოს ზოოლოგიური ბაღის მოსაწყობი ხარჯ-აღრიცხვა, რომ მუშაობის დაწყება შესაძლებელი იქნეს მიმდინარე წელს.

◆ **სანიტკომისიები.** ჯანმრთელობის განყოფილებას დაევალა მუშათა უბნებში დაარსოს სანიტარული კომისიები.

◆ **საკანალიზაციო გადასახადის** შემოღების შესახებ აღმასკომმა დაამტკიცა წარმოდგენილი სავალდებულო დადგენილების პროექტი. დადგენილება გამოქვეყნდება ამ დღეებში.

◆ **საორგანიზაციო განყოფილების** გამგედ დაინიშნა პრეზიდიუმის წევრი ამხ. თხილავა.

◆ **სასწრაფო დახმარების ავტომობილების** შესაძენად აღმასკომმა გადასდო 27.500 მანეთი.

◆ **კბილის საექიმო ამბულატორიის** შესაკეთებლად გადაიდო 4.000 მანეთი.

◆ **მასწავლებელთა ხელფასის გასასტუმრებლად** განათლების განყოფილებას გადაეცა 31.079 მანეთი.

◆ **საბინაო-საიჯარო ამხანაგობების რიცხვი** ამჟამად თბილისში უდრის 235.

მიწსახკომში

◆ **თევზის ჭერა.** მიწსახკომის დადგენილებით აკრძალულია რესპუბლიკის მდინარეებში თევზის ჭერა სათანადო ნებართვის გარეშე.

◆ **ძვირფასი ჯიშის მცენარეულობის სანერგეები.** სახ. მამულების ტრესტს დაევალა სახალხო მამულებში მოაწყოს ძვირფასი ჯიშის მცენარეების სანერგეები.

◆ **თათბირი.** დღეს მიწსახკომის საგეგმო კომისიაში დაინტერესებულ ორგანიზაციების მონაწილეობით შესდგება თათბირი ნამყენ ნერგების დამზადების და მათზე ფასების დაწესების შესახებ.

◆ **თესლის დამზადება.** მიწსახკომი შეუდგა თესლის დამზადებას დაზარალებულ გლეხებისათვის დასარიგებლად.

◆ **ღვინის ახალი სარდაფი.** მიწსახკომმა გადასწყვიტა რაჭის მაზრაში მომავალ წელში ააგოს ღვინის დიდი სარდაფი.

გემების ახალი მიმოსვლა

1-ლ ოქტომბრიდან ძალაში შევა საბჭოთა სავაჭრო ფლოტის გემების მიმოსვლის ახალი (საზამთრო) ცხრილი ყირიმ-კავკასიის ხაზზე. ყოველ კვირაში ბათომში მოვა და გაემგზავრება სამ-სამი გემი. გარდა ამისა, დაწესებულია სასწრაფო დამატებითი სავაჭრო-სამგზავრო გემის მიმოსვლა ორ კვირაში ერთხელ. სამგზავრო ტარიფი 1-ლ ოქტომბრიდან 1-ლ კლასის ბილეთზე დაკლებულია 25 პროც., მეორე კლასის ბილეთზე 20 პროც.

დეპეშები ადგილობრივ ენებზე

გამოიცა ბრძანება, რომლის თანახმად ნებადართულია დეპეშების და კორესპონდენციების მიღება, რომელნიც დაწერილი არიან იმ რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების ენებზე, სადაც ისინი იგზავნებიან. ნებადართულია აგრეთვე დეპეშების მიღება საბჭ. კავ. გზათა მიმოსვლის კომისარიატის სატელეგრაფო პუნქტში გასაგზავნად, რა ენაზედაც არ უნდა იყოს დაწერილი. ამავე დროს აკრძალული არ არის დეპეშების გაგზავნა რუსულ ენაზე.

წითელი ჯვრის სამდღიური

1, 2 და 3 ოქტომბერს თბილისში და მაზრებში ჩატარებული იქნება საქ. წითელი ჯვრის სამდღიური. ამ დღეებში ყველა მუშათა რაიონებში გაკეთებული იქნება მოხსენებები. წითელი ჯვრის ორგანიზაციის იდეებზე და ამოცანებზე. ამასთანავე გამართული იქნება კლუბებში საღამოები, კონცერტები და სხვ. რომლებშიაც მონაწილეობას მიიღებენ თბილისის თეატრების საუკეთესო ძალები. ყულაბებით შემოწირულების შეგროვება მოხდება, როგორც ქუჩებში, ისე დაწესებულებებში.

შემოწირულება მიიღება მთელი კვირის განმავლობაში.

წითელი ჯვრის და ნახევარ-მთვარის სესიის დელეგატები.

წითელი ჯვრის და ნახევარ მთვარის მესამე საკავშირო სესიის დელეგატებმა გუშინ დაათვალიერეს ზაჰესი, ნატახტრის წყაროები და თბილისის ღირსშესანიშნავი ადგილები.

დელეგატები თბილისიდან მიემგზავრებიან დღეს.

გამომცემლობა „შრომა“
ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო გამომცემლობა „შრომა“-ს შემდეგი ახალი წიგნები:

◆ **ი. კოდუა**—შრომის დაცვა სოფლის მეურნეობაში; **დ. თურდოსპირელი**—არაზინდო; **ნოე ზომლეთელი**—უმუშევარის დღიურიდან; **ს. ცვეიგ**—ამოკი (თარგმანი რუსულიდან) **ლელი ჯაფარიძის**); **ალ. ყაზბეგი** ელგუჯა; **ალ. ყაზბეგი**—მამის მკვლელი.

რედაქციამ მიიღო აგრეთვე ილია ჭავჭავაძის ნაწერები, ტ. მე-6, გამოცემა „ქართული წიგნი“-ს.

სხვადასხვა

◆ **კოოპერატიულ კურსებზე** შესავლელი განცხადებების მიღება იწარმოებს 10 ოქტომბრამდე. სწავლა დაიწყება 15 ოქტომბერს.

◆ **29 სექტემბერს,** საღამოს 6 საათზე სასახლის კულტ-კუთხეში მოწვეულია კრება იმ დაწესებულებათა ადმინისტრაციისა და ადგილკომების წარმომადგენელთა, სადაც არსებობენ ქალთა კოლექტიური ბუფეტები. განხილული იქნება მუშა-მოსამსახურეთათვის ბუფეტიდან ნისიის მიცემის საკითხი.

შემთხვევები

ხულიგნების თავდასხმა

გუშინ წინ, ღამის პირველ საათზე, სახლში მიმავალ ნ. პ—ს (20 წლისა) ლოტკინის ქუჩაზე თავს დაესხა 7 ხულიგანი.

ხულიგნებმა მოინდომეს ქალის გაუპატიურება.

ქალმა მორთო კივილი. თავდამსხმელებმა გაზეთის ქაღალდით ამოუვსეს მას პირი. მეეზოვე მიემხრო თავდამსხმელებს და ისიც ცდილობდა ქალის გაუპატიურებას.

ხულიგნები შეიარაღებული იყვნენ დანებით. ქალს სიკვდილით ემუქრებოდნენ, მაგრამ ქალი მაინც წინააღმდეგობას უწევდა. ასე გასტანა დილის 4 საათამდე. ქალს შემოახიეს ტანთსაცმელი, მაგრამ ნ. პ. ენერგიულათ იცავდა თავს.

შემთხვევით ამ ამბავს წააწყდა ორი მგზავრი, რომლებმაც სასწრაფოთ აცნობეს მილიციას.

ოთხი ბოროტმოქმედი დააპატიმრეს. ისინი აღმოჩნდნენ: გიორგი ქავსროლიაშვილი (22 წლისა), კოსტა სულხანიშვილი (18 წლისა), ამბროსი კაპიანიძე (17 წლისა) და ალექსანდრე სამადაშვილი მეეზოვე (28 წლისა).

სამმა ბოროტმოქმედმა მოასწრო მიმალვა.

საექიმო შემოწმებით ქალს ბლომათ აღმოაჩნდა ძალდატანებით გაუპატიურების განზრახვის ნიშნები.

მიღებულია ზომები მიმალულ თავდამსხმელების დასაპატიმრებლად.

◆ **დაჭრა.** 27 სექტ., ვანქის ქუჩაზე, სპეცდანიშნულების იზოლიატორის უფროსმა ზედამხედველმა გრიგოლ ბილანიშვილმა რევოლვერით დასჭრა ერვანდ ისააკისძე ავაკომოვი, რომელიც გადაიგზავნა საავადმყოფოში. ბილანაშვილი შეიპყრეს.

◆ **საკონდიტეროს გაქურდვა.** 27 სექტ., სოლოლაკის ქ., № 3, გაქურდეს კაციტაძის საკონდიტერო.

◆ **შეპყრობა.** 27 სექტემბერს, დააპატიმრეს ბაგრატ ალექსანდრესძე ზაქარიაშვილი, რომელმაც დანით ზურგში დასჭრა სანდრო სოლისძე ჯანაშვილი.

◆ **ყორესის ქუჩის** კუთხეში ტრამვაიში სერგო პოპოვს ამოაცალეს 70 მანეთი.

◆ **„გრუზგოსტორგი“-ს მაღაზიის გაქურდვა.** 27 სექტემ. კედლის გამონგრევის საშუალებით სადგურის და ცეტკინის ქუჩების კუთხეში გაქურდეს „გრუზგოსტორგი“ს მე-5 მაღაზია. წაიღეს 2.841 მან. ფულად.

◆ **სოფ. მამუკინში** ქურდობისათვის შეიპყრეს შაქრო სოლომონისძე კახნიაშვილი.

◆ **ქურდი ქალი.** 27 სექტ. ქურდობისათვის დააპატიმრეს ანა ლევანის ასული შახნაზაროვი.

◆ **ჯიბგირის შეპყრობა.** 27 სექტ. შეიპყრეს თევდორე კატნოვი, რომელმაც შალვა ჭეჟავაშვილს მოპარა პარტბილეთი.

◆ **ქურდი ქალების დაპატიმრება.** ამავე დღეს ქურდობისათვის დააპატიმრეს ასტვასტუროვა და ნადეჟდა გლადიშევა.

◆ ამავე დღეს შეიპყრეს ქურდი პორფილე ნიკოლოზისძე ნეფარიძე.

◆ **დაიკარგა** სოფ. ახალდაბას (დუშეთის მაზრა) მცხოვრები ბავშვი 12 წლისა, არჩილი დიმიტრისძე პატაშური, საშუალო ტანისა თვალ-ჭრელა და ბლუ.

◆ **დეზერტირების ბაზარში** შეიპყრეს ერვანდ სარქისისძე ნაზარიანცი, რომელმაც კონსტანტინე ჯაფარიძეს ამოართვა სახაზინო ფული.

სასამართლო

გაუპატიურების განზრახვა

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში გაირჩა ხოსრო აბაზოვის (16 წლისა) საქმე. აბაზოვს ბრალდებოდა ვ. გ. გაუპატიურების განზრახვა.

სასამართლომ აბაზოვს მიუსაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ მხედველობაში მიიღო მისი სიახალგაზრდავე და სასჯელი შეუმცირა ერთი მესამედით.

აკოფ სარქისოვის საქმე

ეს ამბავი ასე დაიწყო: მოქ. გრიგოლ ტოკმაჩიანცმა 1920 წ. წაღვერში, საგარაკოთ ყოფნის დროს, გაიცნო აკოფ სარქისოვის ცოლი ასია (21 წლისა). გაცნობას მოჰყვა დაახლოვება.

ასია სიმდიდრის გულისათვის წაჰყვა სარქისოვს და მასთან ხშირად ჩხუბი მოსდიოდა.

ტოკმაჩიანცმა თავისი „ტკბილი სიტყვით“ ისე შეაყვარა თავი ასიას, რომ უკანასკნელისთვის „გაგიჟებული“ იყო. აი, რას ამბობს ასია თავის ჩვენებაში:

—„გრიშა იშვიათი სიტყვაკაზმულობის კაცია და თანაც არაჩვეულებრივი მიდგომა აქვს ქალებისადმი. მასავით ჩემს სიცოცხლეში არავინ შემყვარებია“.

ტოკმაჩიანცი წაღვერში მართავს ქეიფს. სტუმრები სადღეგრძელოებს სვამენ... გრიგოლი დგება და ბრძანებს:

— კაცი გაგზავნეთ და ასია სარქისოვა აქ მოაყვანინეთ!

ასია მოჰყავთ. ტოკმაჩიანცი ტკბილი ალერსით ხვდება და ქათინაურებით ამკობს მას.

— „თუმცა ცოლიანი ვარ, მაგრამ ჩემი გული თქვენ გეკუთვნის. თქვენს იქით გზა არა მაქვს“.

ასია სიყვარულის გრძნობით შეპყრობილი იყო და არ დაეძებდა, თუ გინდ ოცი ცოლი ჰყოლოდა ტოკმაჩიანცს.

ასე გავიდა ორი წელი. შემდეგ კი ტოკმაჩიანცმა ინტიმიური კავშირი დაიჭირა ასიასთან.

გავიდა ხანი. ტოკმაჩიანცს მოუკვდა ცოლი. მან მეორე ცოლი შეირთო. ასიას ელდა ეცა. ის დარწმუნდა, რომ გრიგოლმა მას უღალატა.

ასია წაეჩხუბა ტოკმაჩიანცს და თანაც დაემუქრა:

-- „ქალი არ ვიქნები, თუ სამაგიეროს არ გადაგიხდი“.

ტოკმაჩიანცმა ნახა „გამოსავალი“..

ჩვენი „გმირი“ თავჩაქინდრული და აცრემლებული თვალებით სდგას ასიას წინაშე:

— „სხვა გზა არ მქონდა. შეუყვარდი იმ ქალს. ჩემი გულისათვის დღე და ღამ არ სძინავდა. სიყვარული მან პრაქტიკულადაც დამიმტკიცა. ნამუსი ავხადე. რომ არ შემერთო თავს მოიკლავდა... მე თქვენ კი ძველებურათ მიყვარხართ“...

დაღვრემილი ვაჟკაცის მუდარამ მოალბო სარქისოვის ცოლის გული. მან განაგრძო გრიგოლთან კავშირი.

ეს ამბავი მივიდა სარქისოვის ქმრის ყურამდე.

აკოფ სარქისოვმა გადასწყვიტა მოეკლა მისი ოჯახის შეურაცმყოფელი.

ა. წ. 15 ივნისს, ტოკმაჩიანცი სარქისოვის სახლის წინ უცდიდა ასიას. როცა მას აკოფმა თვალი მოჰკრა, ხელში მომარჯვა რევოლვერი, გამოუმიზნა ტოკმაჩიანცს და შიგ გულში ესროლა. ტოკმაჩიანცი იქვე გარდაიცვალა. სარქისოვი დაპატიმრებულია. საქმე გადაეცა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს.

ავტომობილის კატასტროფა
სამხედრო გზაზე

გუშინ, დღის პირველ საათზე, „ფიატ“-ის სისტემის ორ კერძო ავტომობილს თბილისიდან 108 ვერსის მანძილზე სადგურ მლეთსა და ფასანაურს შუა შეემთხვა მარცხი.

ორთავე ავტომობილს კავკავიდან მოჰყავდა რვა მგზავრი.

როგორც ირკვევა, კატასტროფა მომხდარა შემდეგ პირობებში:

მლეთსა და ფასანაურს შუა შემობრუნებისას ავტომობილი დაეჯახა ქვის კუნძებს. ავტომობილმა ინერციით განაგრძო გზა და გადაბრუნდა ხევში. მეორე ავტომობილის შოფერმა სწრაფად შეამჩნია პირველი ავტომობილის მარცხი და ძლიერ დაამუხრუჭა ავტომობილი. მიუხედავათ ამისა, ავტომობილი დაეჯახა დიდ ქვას. დაჯახება იმდენათ მძლავრი იყო, რომ ავტომობილი ჩავარდა თხრილში.

კატასტროფის დროს მძიმედ დაშავდა ხამი მგზავრი, დანარჩენები კი მსუბუქად.

დაშავებულთა თბილისში ჩამოსაყვანად „ზაკავტოპრომტორგ“-მა გუშინ გაგზავნა ავტომობილი.

ორთავე ავტომობილს გაუტყდა წინა ბორბლები.

დაშავებულთა ვინაობა ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

გამოძიება სწარმოებს.

ხელოვნება

საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში

საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის აჭარისტანის განყოფილება

20 სექტემბერს ქ. ბათომში შესდგა აჭარისტანის პროლეტ. მწერალთა ასოციაციის კრება, რომელმაც მოისმინა საქ. პრ. მწ. ას. გამგეობის თავმჯდომარის ამხ. **ბ. ბუაჩიძის** მოხსენება. მომხსენებელმა გაარკვია პროლეტარულ მწერალთა მოძრაობის წარმომშობი პირობები და მისი განვითარების ეტაპები. შემდეგ მომხსენებელმა დაახასიათა თანამედროვე პროლეტარული მწერლობა. მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიდაც მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა პროლეტ. მწერლებმა.

შემდეგ კრებამ მოისმინა პროლეტ. მწერლების ასოციაციის ადგილობრივი განყოფილების საორგანიზაციო ბიუროს მუშაობის ანგარიში. ბიუროს მუშაობა კრებამ დამაკმაყოფილებლად სცნო.

ამავე სხდომაზე საბოლოოდ ჩამოყალიბებული იქნა საქ. პრ. მწ. ასოციაციის აჭარისტანის განყოფილება, რომელშიდაც არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები:

თომა სიხარულიძე, ევგრაფ ჯიჯეიშვილი, (თავმჯდომარე) **ხარნაზ თადუბაძე, ჯემალ ნოლაღდელი, პ. ლორია, მაია** (რუსულ სექციიდან). **ისკანდერ ლაზური;** კანდიდატებად: **ლიუბა ყვანია და ვ. მახარაძე.** განყოფილებაში შედიან რუს პროლეტმწერალთა სექცია და აგრეთვე ლაზი მწერლები.

ამ მოკლე ხანში განყოფილების მიერ გამოშვებული იქნება პერიოდული ჟურნალი, ან ალმანახი.

ხელოვნების ქრონიკა
სახკინმრეწვში
„კრაზანა“

რეჟისორ კ. მარჯანიშვილის კინო - ექსპედიცია, რომელიც ამჟამად ბათომში იმყოფება და სურათებს იღებს „კრაზანა“-სათვის, უმთავრესად მუშაობას აწარმოებს ბუნების პეიზაჟების გადასაღებად.

ექსპედიციის მუშაობა კარგად მიმდინარეობს. სურათში მთავარ როლს თამაშობს ახალგაზრდა მსახიობი **მერაბიშვილი.**

მთელ მუშაობას ბათომში კინო - ექსპედიცია დაამთავრებს ამ ათი დღის განმავლობაში. ამ დროისათვის ბათომში ჩავა მსახიობი **ალ. იმედაშვილი,** რომელიც ამჟამად რეჟ. **ნიკ. შენგელაია**ს ექსპედიციაში იმყოფება. ალ. იმედაშვილი თამაშობს „კრაზანა“-შიც, თბილისში ჩამოსვლისას ექსპედიცია განაგრძობს მუშაობას სურათის დასამთავრებლად. სურათი მზათ იქნება 1928 წლის იანვრისათვის.

— **33 სურათი.** საქარ. სახკინმრეწვის მიერ დღემდე გამოშვებულია 33 სურათი.

— **ჩვენი სურათები საზღვარგარეთ.** საბერძნეთის კინო - სააქციო საზოგადოება „ვარხკგლაკს“ მიმდინარე წელს საქ. სახკინმრეწვმა მიჰყიდა 31 სურათი. საქ. სახკინმრეწვის სურათებს უმთავრესად ყიდულობენ ბალტიის სანაპირო ქვეყნები, პოლონეთი, სამხრეთ - სლავია, მექსიკა და სხვ.

მიმდინარე წელს ამ ქვეყნებში გაყიდულია 20.000 მანეთის კინო - სურათები.

შრომის ბირჟაში
მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 29 სექტემბერს, შრომის ბირჟა სამუშაოზე იწვევს შემდეგ უმუშევართ:

კვალიფიციური მუშ. 1-ლი სექცია: აგაზოვ გრიგოლ, ტიმოევა ეკატერინა, მხიტაროვ არამ, ზახალიანც კარაპეტ, ენუქიან ავეტიკ, სეროფიან ნინა. გოგიაშვილი მიხეილ, გულიაშვილი მიხეილ, არუთინოვ ტიგრან.

გონებრივ მუშაკთა მე-2 სექცია: დოლიძე ვანო, პალტრიბედსკი ისაკ, ფლიტი ალექსანდრე.

მშენებელ მუშათა მეხუთე სექცია: ტერ-ლემაზიან ვანო, კაკრამანოვი სარქის, ცაგარეიშვილი ალექსანდრე, ბობილოვი სარქის, გუდაძე დავით.

რკინის გზის მე-7დ-ე სექცია: ხეთაგური ნიკო. გუგუნაძე ალექსანდრე, ბოჭორიძე იოსებ, დემეტრაშვილი ივანე.

სპორტი
„ნაკრები პროფკავშირები“—„დინამო—მეორე“

დღეს, 29 სექტემბერს, დინამოს სტადიონზე გაიმართება პროფკავშირების ნაკრები გუნდის და „დინამო-მეორეს“ ამხანაგური შეჯიბრი. მატჩი დაიწყება ნაშუადღევის 4 ნახ. საათზე.

„ნაკრები პროფკავშირები“ გამოდის შემდეგი შემადგენლობით: **დ. ცომაია, ვორონოვი, მატენკო, გონელი, მდივანი, ორეხოვი, აივაზოვი, მაღალაშვილი. სოლტანი, ასლამაზოვი და ბონდარევი.**

რატომ არა ვარ მიცემული პასუხისგებაში
(წერილი რედაქციის მიმართ)

ამხ. რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით განვაცხადო შემდეგი: ამ რამდენიმე თვის წინათ, „კომუნისტში“ ჩემ მიერ მოთავსებული იყო წერილი, რომელშიაც აღვნიშნავდი, **რომ საამშენებლო კოოპერატივს „ქალაქი-ბაღის“ გამგეობაში, ინჟენერ მადიჩის ხელმძღვანელობით ადგილი ჰქონდა აფერისტობას და გაფლანგვას.** დავსძენდი, რომ ვიღებდი პასუხისმგებლობას წამოყენებული ბრალდების დასამტკიცებლად. იუსტიციის სათანადო ორგანოებს ეს ცნობა პირადათ გადავეცი. სისხლის სამართლის მილიციის გამომძიებელს კი გადავეცი მთელი მასალა საქმის შესახებ და დავასახელე მოწმეებიც. პროკურორის ზედამხედველობის წესით საქმე არ მოსპობილა. ნახევარ წელზე მეტი გავიდა და საქმე არც სასამართლოს წესით ირჩევა. ძნელი ხდება ივით საქმის აღმოჩენაც კი. ჩვენ ვეკითხებით სათანადო ორგანოებს—თუ აღძრული საქმე საფუძვლიანია, რატომ არ არის მიცემული პასუხისგებაში ინჟ. მადიჩი, თუ უსაფუძვლოა—რატომ არა ვარ მე მიცემული პასუხისგებაში, როგორც ცილისმწამებელი?

ამხ. სალამით **სერ. ამაღლობელი.**

24 სექტემბერი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი
დადგენილება
საქართველოს სოც. საბჭ. რეს. სახალხო კომისართა საბჭოსი.
1927—28 წლის ხარჯთ-აღრიცხვებით საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების შემცირების შესახებ.

ა.-კ. სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. სექტემბრის 22-ს დადგენილების („ზარია ვოსტოკა“-ს 1584 №-ით 1927 წ. სექტემბრის 24-სა) მე - 6 მუხ. თანახმად—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს კომერციულ (სამეურნეო) ანგარიშის საფუძველზე მომქმედ, რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო საწარმოოთ, აგრეთვე სახელმწიფო კაპიტალის უპირატესი მონაწილეობით მომქმედ სააქციო საზოგადოებათ, რომელთაც რეგისტრაცია უკეთდებათ ა-კ სფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს (საქართველოში) სამმართველოში, მოახდინონ 1927—28 წლის ხარჯაღრიცხვებით საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯებისათვის დანიშნულ თანხების შემცირება არა ნაკლებ, ვიდრე 20 პროც. რაოდენობით 1926—27 წ. ფაქტიურ ხარჯებთან შედარებით.

2. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, ა-კ სფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოში და საქართველოს სსრ სხვა უწყებათ, რომელთაც თავიანთ გამგებლობაში ჰყავთ ზემოაღნიშნული საწარმონი, აგრეთვე საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატსა და სახელმწიფო საგეგმო კომისიას—1927-28 წლის საწარმოო-საფინანსო გეგმების განხილვის დროს მტკიცედ იხელმძღვანელონ ზემოაღნიშნულ დირექტივით.

3. საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების შემცირება უნდა მოხდეს ზემოაღნიშნული ორგანოების აპარატების გაიაფებით, რისთვისაც განხორციელებულ უნდა იქნეს უპირატესად შემდეგი ღონისძიებანი:

ა) საგამგებლო აპარატის სტრუქტურის გამარტივება და შტატების შემცირება მუშაობის სისტემისა და მეთოდების გაუმჯობესების საფუძველზე:

ბ) წარვლინებათა რიცხვის მაქსიმალურად შემცირება და საწარვლინებო სასყიდლის გაცემისათვის არსებული წესების მტკიცედ დაცვა;

გ) სამსახურის საქმისათვის უპირატესად მასსიური მიმოსვლის საშუალებათა გამოყენება:

დ) ყრილობათა და თათბირთა მოწვევასთან და მოსამსახურეობასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირება:

ე) საუწყებო გამოცემათა ხარჯების მაქსიმალური შემცირება:

ვ) საგამგებლო ორგანოების სადგომების შენახვა-პატრონობისათვის საჭირო ხარჯების რეალური შემცირება:

ზ) ყოველი იმ ხარჯების სრულიად მოსპობა, რასაც კავშირი არა აქვს ხსენებული ორგანოების პირდაპირ მიზნებთან.

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნული ყველა ღონისძიების განხორციელებამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიწვიოს მომუშავეთა სამუშაო ხელფასის არსებული განაკვეთების შემცირება.

4. წინა მუხლებით გათვალისწინებული შემცირება 1927-28 წლის ხარჯთაღრიცხვებით საადმინისტრაციო საგამგებლო ხარჯებისათვის დანიშნული თანხებისა განხორციელებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 1927 წლის ოქტომბრის 1-სა იმ პირობით, რომ აღნიშნული ხარჯები 1927-28 წლის დასაწყისიდან გაღებულ იქნეს უკვე შემცირებულ თანხების ფარგლებში.

5. დაეკისროს საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს შემოწმოს ამა დადგენილების 1—4 მუხ. ასრულება.

6. წინადადება მიეცეს აფხაზეთის სსრ და აჭარისტანის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს, აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს გამოსცენ დადგენილებანი, რომლებითაც გათვალისწინებული იქნება ამა დადგენილების 1—3 მუხლებში აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელება ზემოდ განსაზღვრულ ვადაზე, და დააკისრონ სათანადო უწყებათ ამ ღონისძიებათა ასრულება.

7. მიენდოს საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატს, სათანადო პროფესიონალურ ორგანიზაციებთან ერთად, შეიმუშაოს ორი კვირის ვადაზე საკითხები აპარატის რაციონალიზაციის გამო დათხოვნილ მომუშავეთათვის გასასვლელი დახმარების მიცემის შესახებ, 1—2 თვიური სამუშაო ხელფასის რაოდენობით, დათხოვნილთა ხელახლად მომზადების შესახებ, რათა ისინი გამოყენებულ იქნენ სხვადასხვა კულტურულ-სოციალურ დაწესებულებათა და საწარმოში ოპერატიული მუშაობისათვის; მათთვის შეღავათების მინიჭების შესახებ შრომის ბირჟების მეშვეობით სამუშაოზე გაგზავნის დროს; შეღავათიანი ტარიფების შეფარდების შესახებ დათხოვნილთა ერთი ადგილიდან მეორე ადგილას სამუშაოდ გადაყვანისათვის და აგრეთვე სხვა ღონისძიებათა შესახებ დათხოვნილთათვის სამუშაოს მისაცემად და, უკეთუ საჭირო იქნება, წარმოუდგინოს საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს სათანადო დადგენილებათა პროექტები.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის თაო. დრ. ალმ.

ს. სტეფანოვი.

1927 წ. სექტემბერი 28.
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— **დღეს, 29 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, პროფსაბჭოს მცირე დარბაზში მოწვეულია თბილისის საბჭოს დეპუტატ ქალების და სექციებზე მიმაგრებულ დელეგატ ქალების თათბირი. გამოცხადება სავალდებულოა.**

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის საღრიცხვო განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდნენ ამხ. ჩანჩიძესთან 29 სექტემბერს, დილის 10 საათზე: 1) ივანე ნარ. რაპავა, 2) ნიკოლოზ ივ. ტერ-გევონდიანი, 3) ექვთიმე სპირ. მარჯანიშვილი და 4) დიმიტრი რაჟდენისძე გაბარაევი.

— 29 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე არსენალის რაიკომში აგიტ-პროპმუშაკის კაბინეტში შესდგება პირველი საფეხურის პოლიტსკოლის პროპაგანდისტთა პირველი საორგანიზაციო კრება

სავალდებულოა მე-2-ე რაიონის ყველა აღნიშნულ საფეხურის პროპაგანდისტთა დასწრება.

— თავდაცვა-ავიაქიმის თბილისის საბჭო აცხადებს, რომ დღეს, 29 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, საქ. თავდაცვა-ავიაქიმის შენობაში (კალოუბნის ქ. 7), შესდგება თბილისის საბჭოს პრეზიდიუმის მორიგი სხდომა.

დასწრება ყველა წევრთათვის სავალდებულოა.

გულდათუთქულნი მშობლები: ვარლამ და ლიუბა შვილებით მიშიკო და ბესარიონით ქარქაშაძენი, მამიდა: ტერეზა ღლონტისა თავისი ქმარ-შვილით ბებიები: მინადორა ქარქაშაძისა და ფოტინე ჩიხლაძისა, ბიძები: შალვა ქარქაშაძე თავის ცოლშვილით, იპოლიტე ჩიხლაძე თავის ცოლშვილით, სერგო ჭანჭალეიშვილი [illegible] ცოლშვილით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 27 სექტემბერს, დილით გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

ნაზიკო ვარლამის ასული
ქარქაშაძე

დასაფლავება მოხდა ოთხშაბათს, 28 სექტემბერს. კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე უ

გულდათუთქულნი და უზომო მწუხარებაში მყოფნი ანა სიმონის ასული და ანტონ თედორეს-ძე გალდავაძეები შვილებით მილიცა, ქენია, თინა, ზინა, გრიგოლი და სიმონი და სიძეები მიხეილ კარახანაშვილი და გიგლა მებუკე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ქ. ოზურგეთში გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და საყვარელი—პირველთა შვილი, მეორეთა და და მესამეთა ცოლისდა

შურა ანტონის ასული
გალდავაძე-ასათიანისა

დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (დ)

ღრმად დამწუხრებულნი და გულ-მოკლულნი მიხეილ მაქსიმეს ძე და ტატიანე დავითის ასული ჩხეიძეები თავის პატარა რეზიკოთი და თამრიკოთი, ანნა მაქსიმეს ასული და იოსებ არტევანის ძე კიკნაძეები, მარიამ მაქსიმეს ასული და ალექსანდრე სიმონის ძე კურცხალიეები თავის შვილებით ჟორჟიკა და ვახტანგით, მარიამ და ტარიელ სვანიძეები, ეკატერინე და დავით მეგრელიშვილები, ელენე და ევგენი ნუცუბიძეები, გუგულა და სოფიკო კიკნაძეები, სამი პატარა ობლები არჩილ, ოთარ და სიმონ მერაბის ძენი ჩხეიძეები განუსაზღვრელი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ტკბილი და საყვარელი პირველის დედა, მეორის დედამთილი, მესამის და მეოთხეების დედა და სიდედრი, დანარჩენების კი კეთილი და მოამაგე ბებია

ივლიტე სიმონის ასული ჩხეიძისა

დაკრძალვა მოხდება ს. ობჩაში 30 სექტემბერს, დღით, პარასკევს.

3961 1—1

ევდოქსია დულარიძის ასული, მარიამი, ეთერი, ზიზო და ვიქტორ შარაშენიძეები ღრმა მწუხარებით აუწყებენ მეგობრებს 36 წლის განმავლობაში მასწავლებლად ნამყოფ

ელისაბედ ივანეს ასულის
დულარიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 29 სექტემბერს, ნაშუადღევის 4½ ს. საქართველოს ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოდან (ყოფილი მიხეილის საავადმყოფო) კუკიის სასაფლაოზე. 3956 1—1

გულდამწვარი და გაუბედურებული დები ეკატერინე და ნინო, ძმა დავით გრიგოლის ძე და რძალი მაკრინე იოსების ასული ლობჟანიძეები აუწყებენ ნაცნობთა და მეგობრებს, რომ შაბათს, პირველ ოქტომბერს, შუადღის თორმეტ საათზე, გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი ქ. ქუთაისში საფირჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში მათთვის ძვირფასის და დაუვიწყარი

გიორგი გრიგოლის ძის
ლობჟანიძის

გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავად. 3954 1—1

„კომუნისტი“
დიდი პოლიტიკური გაზეთი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის
და
თბილისის კომიტეტის
და
სრულიად საქართ. მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და
მეზღვაურთა ცენტ. აღმასრულებელი კომიტეტის ორგანო

მიიღება ხელის მოწერა წლის ბოლომდე

გაზეთი ეღირება:

მუშა-მოსამსახურეთა, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეებისა და მასწავლებლებისათვის	
1 თვით	1 მან.
2 „	2 „
3 „	2—90

დაწესებულებათა, ორგანიზაციებისა და კერძო პირთათვის	
1 თვით	1—30
2 „	2—60
3 „	3—80

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებში	
1 თვით	1 მან. 50 კ.
1 წლით	18 მან.

საზღვარ-გარეთ			
1 თვით	1 ნახ. დოლ.	6 თვით	8 ნახ. დოლ.
3 „	4 ნახ. „	1 წლით	16 ნახ. „

0—1 0—1

გახსნა
კინო-თეატრებისა
აპოლო-არფასტო
სოლეი-მინიონი

4 ოქტომბრიდან

ამოკი

4 ოქტომბრიდან

ს. ცვეიგის რომანის მიხედვით.
კ. მარჯანიშვილის დადგმა

საქართველოს სახკინმრეწვის სურათი. ნ. 1715

ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სასამართ. აღმასრულებელი ქ. ძამოევი

ამით აცხადებს, რომ ის 2 ოქტომბერს 1927 წ. დილის 8 საათზე ძვლის ქარხანაში, ალავერდის ქუჩაზედ **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის არტემ სტეფანიანის მოძრავ ქონებას: ძვლებს და შემდეგ იმავე დღეს, 10 საათზე, დესიმონოვის მოედანზე მისავე ცხენებს და სხვას შინამრეწველ კრედიტის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-3 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 6 სექტ. 1927 წ. თარიღით, № 4164 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 1713 1—1

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—

ექიმი **ქ. ს. ფონ-ირტელი**
საშარდე, სასქესო, ვენერ., სიფილისი, კანის და ქირურგ. ავადმყოფობანი
(სიმსივნე, ბუასილი, სქესობრ. უძლურება, სიფილისი და ტრიპერი და მათი შედეგები) სპეციალისტი.
ელექტრო მკურნალობა და ოპერაცია. ავადმყოფების მიღება დილის 7 ს-დან 11 ს-მდე, საღამოს 5—7 ს-მდე. ქალების მიღება დილის 11 ს-დან 1 ს.
პლეხანოვის პრ. № 10, მარქსის მოედნის ახლო, (ყოფ. ვორონცოვის) 3645—18—1

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. **შინაგანი სნეულებანი.** სპეციალურად **კუჭის და ნაწლავების** სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფ. ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02. 13—1

დაჰკარგა მედსანშრომის კავშირის წიგნაკი № 1454 გიორგი ქრისტეფორეს-ძე კალანდარიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3962

დავკარგე ორი თამასუქი; ერთი ას მანეთის, მეორე ორასი მანეთის ვასილ თედორეს-ძე ბურდილაძის მიერ ხელმოწერილი; მასთან ერთად **დავკარგე** პირადობის მოწმობა, გემო-კვების კავშირის წიგნაკი № 2549 და დამზღვევ სალაროს წიგნაკი, ვასილ თედორეს-ძე ბურდილაძეს სახელზე, ჩ. გ. 3953

დაჰკარგა კირილე მიქაიამ მობარებული შესანახავად თამასუქი 50 მან., დაწერილი 1925 წ. ოქტომბრის თვეში, რომლის თანახმად ქ. ზუგდიდის მცხ. კაპიტონ ლაშხიას უნდა გადაეხადა ამავე ქალაქში მცხ. ვასილი სანაიასათვის 50 მ. ჩ. გ. 3958

დაჰკარგა მეტრიკული ამონაწერი № 4526 ქეთევან მგალობლიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3960

დაჰკარგა მე-3 უბნის სამხედრო მაგიდიდან მიღებული სამხედრო საღრიცხვო ბარათი შოთა ალქ.-ძე სიამაიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3959

ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)
სოლეი
დარბაზი
(ბაღში, პლეხანოვ. № 91)
აპოლლო
(არტის ბაღში).
0—17 ნ. 1388

ყველამ უნდა ნახოს სეზონის საუკეთესო სურათი
„ქ ა რ ი“
შეფერის დადგმა. მთ. როლ. პოდლესნაია და სალტიკოვი

იშვიათი წარმატება დადგმის მე-2 კვირა
„სამი ეპოქა“
მთავარ როლში—ბესტერ კეიტონი

პირველად თბილისში
„ქაჩალი ქალი“
მილტონ სილსის მონაწილ.

იშვიათი მხატვრული სურათი
„ლეონ კუტიურიე“
სოლნცევას მონაწილეობით

ა ნ ო ნ ს ი: სამშაბათიდან, 4 ოქტომბრიდან „ამოკი“ კ. მარჯანიშვილის დადგმა

განათლების კომისარიატის **პირველი**
საბუღალტრო კურსებზე
დაიწყო ახალ (მეორე) ჯგუფში ჩაწერა. საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე საღამოს 5—7 საათამდე. კეცხოველის ქ. (ყოფ. ლორისმელიქოვისა), 1 სამრეწველო-ეკონომიური ტეხნიკუმის ბინა, მესამე სართული, ოთახი 13.
კურსების გამგე **მ. თაქთაქიშვილი**
2—1 3947

ექიმი **მეგრაბიანცი**
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
ფილტვების, ყლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა
ხელოვნური მთის მზე. იონნოტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ.. 13—1

ექიმი **ჯალალოვი**
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფობის მიღება
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—1

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 1-ლ ოქტომბერს 1927 წ. დღის 4 საათზე სახლში № 5 ლენინის ქუჩაზედ **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. სერგო კახეთელიძის მოძრავ ქონებას: სასადილო „მცხეთა“-ს მოწყობილობას: სკამებს, მაგიდებს და სხვა და სხვა ჭურჭლეულობას შეფასებულს 250 მანეთად, სახკვების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 6 სექტემბერს 1927 წ. თარიღით, № 3246 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ვაჭრობა იწარმოებს შემძლეულ ფასებიდან. 1714 1—1

ექიმი **მ. ო. ზანდუკელი**
დაბრუნდა და დაიწყო ავადმყ.
მიღება
შინაგან და ნერვიულ ავადმყ. ელექტრონით და სინათლით მკურნალობა
ავადმყ. მიღება ახალი მისამართით ლენინის ქუჩა (ოლღას ქ.) № 11 საღ. 7—8 საათ.
ტელ. 4—82 25—1

კბილის ექიმი
ა. გ. სოლოლაშვილი
დაბრუნდა და განაახლა
ავადმყოფების მიღება რუსთაველის პროს. № 12.
13—1 3846

დავკარგე პროფკავშირის წიგნაკი, გაცემული ხონის პროფ. ბიუროს მიერ და საანგარიშო წიგნაკი—ხონის დ. 1 კ. მიერ № 335 ლიუბა მურზაყანის ასული მელაძის სახელზე, ჩ. გ. 3985

დავკარგე საკავშირო ა.ლ.კ.კ. წიგნაკი № 34061 შალვა ალექსანდრეს-ძე მთვარელიძის სახელზე, ჩ. გ. 3952

დავკარგე პირადობის მოწმობა № 413 ქათამაძეს სახელზე, ჩ. გ. 3957

საბჭ. და საქ. მუშ. პროფკავშირის მე-2-ე
საანგარიშო მეცნ-თა
(საბუღალტრო) კურსებზე
მსმენელთა მიღება დაიწყო. მსმენელები მიიღებიან **ზოგად** და სპეციალ. განყოფ-ზე. ცნობების მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 საათამდე, პლეხანოვის გამზ. **№ 166 მე-5 პროფ.** სკოლის შენობაში. 10—2 ნ. 1637

ექიმი **ი. ი. გერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“ პირდაპირ „ჩოდრიშვილის“ შესახვევი ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორანოვის ქ., № 20 1—25

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 8—12 დილ. 7—9 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116.

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე
განაახლა ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 10—1 საათამდე და საღ 6—7 საათამდე
როგორც მოზრდილთა, ისე ბავშვთა შინაგანი ორგანოებისა და ნერვიული სისტემის ავადმყოფობათა მკურნალობა. გიპნოზი.
კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქუჩა № 17, ზემო სართული. 25—

ექიმი
ბ. ი. მირიანაშვილი
შინაგანი სნეულებანი
მიღება დილის 8—10
ორჯონიკიძის (ყ. ანდრეევის) ქ., № 74

...ის სტამბა კამოს ქ. 68.